საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმები
კიკნაველიძეები

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

2023

UDC (უაკ) 364.054(479.22)
ძ-671

რედაქტორი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

© ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ISBN 978-9941-9867-1-0

სტამბა „ფავორიტი სტილი“
საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5
032 2 500 580

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 5

წინათქმა 7

უცნობი ავტორი

რევოლუციამდელი კიკნაველეთი 9

იუზა ხაზარაძე

ბუდეაშლილი არწივები 44

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ქართული, სპარსული და რუსული წყაროები

ძმები კიკნაველიძეების სპარსეთში საქმიანობის შესახებ 66

ფოტოალბომი 97

რედაქტორის წინათქმა

ძმები კიკნაველიძეები გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს საყურადღებო და ტრაგიკული ფიგურები არიან. მათ შესახებ ბევრი რამ დაწერილა, თუმცა მათი სრული პორტრეტის შექმნამდე კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი.

2021 წელს იმედაშვილების საოჯახო არქივში ლევან თაქთაქიშვილმა მიაკვლია ანონიმურ, მანქანაზე ნაბეჭდ ტექსტს, რომელიც ეხება ძმები კიკნაველიძეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას საქართველოსა და სპარსეთში. მან ასევე ყურადღება მიაქცია რაიონულ გაზეთ „ბაღდათის“ 1990 წლის 2, 4, 7 და 9 აგვისტოს ნომრებში (NN92, 93, 94, 95) იუზა ხაზარაძის (1932- 1992) მიერ ამავე თემაზე გამოქვეყნებულ და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ წერილებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში ვიკვლევდი ძმები კიკნაველიძეების სპარსეთში საქმიანობის პერიოდს და ირანელი კოლეგის, პროფ. გუდარზ რაშთიანის დახმარებით ხელი მიმიწვდა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება უმცროსი კიკნაველიძის, მანუელის მკვლელობას მაზანდარანის პროვინციის ქართულ სოფელ გორჯიმაჰალეში, ასევე ვიცნობდი რა ამ ფაქტის შესახებ ქართული წარმოშობის მაზანდარანელი მკვლევრებისა და მწერლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და ჩატარებული მქონდა მათი კრიტიკული ანალიზი და შეპირისპირება ქართულ წყაროებთან, გაჩნდა აზრი, რომ ახლადაღმოჩენილი ანონიმური ტექსტი, ი.ხაზარაძის საგაზეთო სტატიები, ჩემი კვლევის შედეგები და საარქივო ფოტომასალა თავმოყრილიყო ერთ გამოცემაში, რათა სპეციალისტებს თუ რიგით მკითხველს გაიოლებოდა კიკნაველიძეების თემის ქართული და სპარსული ურთიერთსაწინააღმდეგო ნარატივის გაცნობა.

დროის სიმცირის გამო ვერ დადგინდა ანონიმური ტექსტის ავტორის ვინაობა, თუმცა ერთი რამ ცხადად გამოჩნდა: ავტორი ამბებს ყვება, როგორც, სულ ცოტა, აღწერილი მოვლენების თანამედროვე. ასევე ამ ტექსტისა და ი.ხაზარაძის საგაზეთო სტატიების შედარებამ აჩვენა, რომ ი.ხაზარაძეს ხელთ ჰქონდა ეს ტექსტი და მისი ზოგიერთი პასაჟი თითქმის უცვლელად გადმოიტანა თავის პუბლიკაციებში.

ანონიმი ავტორი მიუთითებს, რომ მასთან ინახება ყარამან კიკნაველიძის არქივი რუსულ და სპარსულ ენებზე, რაც უაღრესად საყურადღებო ცნობას წარმოადგენს. ამ არქივის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა არ არის გამორიცხული, ის ი.ხაზარაძის არქივში აღმოჩნდეს.

ანონიმურ ტექსტსა და იუზა ხაზარაძის საგაზეთო სტატიებს დავურთე ზოგიერთი აუცილებელი კომენტარი. შენიშვნებში გასწორებულია ან იდენტიფიცირებულია არასწორად დაწერილი სპარსული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები. სქოლიოში ჩატანილი ეს კომენტარები და შენიშვნები გამოკვეთილია დახრილი, მუქი შრიფტით, რათა არ აირიოს თავად ამ ტექსტების ავტორების მიერ დართულ შენიშვნებთან.

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც გამოჩნდება არაერთი ახალი დოკუმენტი რუსეთის იმპერიასა (საქართველო, თურქესტანი) და სპარსეთში ძმები კიკნაველიძეების ტრაგიკული, რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი
2023 წლის 11 ნოემბერი

წინათქმა

ბატონ კობა იმედაშვილთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა. 2003 წლიდან ვიყავი მისი ოჯახის ხშირი სტუმარი. კოტე მესხის ქუჩაზე მდებარე სახლში ინახებოდა უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი მისი პაპის, იოსებ იმედაშვილისა, რომელიც შემდგომ გაიოზ იმედაშვილის მიერ შეივსო და გაიზარდა. ბატონი კობა უფლებას მაძლევდა, საათობით მექექა ეს არქივი, რომელიც, ძირითადად, პირველ სართულზე, ორ ოთახში იყო განთავსებული, ნაწილი კი – სხვენში. უამრავი საინტერესო ხელნაწერი, ფოტო და ბეჭდური გამოცემა წამოვიღე იმედაშვილების ისტორიული სახლიდან, რომელიც დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

2021 წლის ერთ წვიმიან დღეს დამირეკა უკვე ავადმყოფობამორეულმა ბატონმა კობამ და მთხოვა, მნახეო.

დავადექი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩას, ავყევი კოტე მესხის ქუჩამდე, და ერთიანად გალუმპული მივადექი ბატონ კობას, რომელმაც შინ შემიპატიჟა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, მეუღლეს გასძახა, რამე ცხელი საჭმელი ვაჭამოთ ჩვენს სტუმარსო. ახლაც მახსოვს გემო იმ ახლადგამომცხვარი ხაჭაპურისა, რომლითაც ბატონი კობას უსათნოესი მეუღლე გამიმასპინძლდა.

მაგრამ მთავარი სიამოვნება ამ ხაჭაპურის მირთმევის შემდეგ მივიღე. ბატონმა კობამ მთხოვა – ნახე შენებურად ეს განჯინა, დღეს ვალაგებდი სახლს და, მგონი, ბიძაჩემის შემდეგ არავის გაუხსნიაო. გაზეთებისა და ჟურნალების დიდი შეკვრა იდო მხოლოდ და ერთიც საქაღალდე, რომელსაც ეწერა: „ძმები კიკნაველიძეები“. მე ამ გვარის არცერთ წარმომადგენელს არ ვიცნობდი. წამოვიღე ეს საქაღალდე და ერთ ღამეში წავიკითხე. შთაბეჭდილება დიდი იყო. გადავწყვიტე, მომეძებნა მათი შთამომავლები. თბილისში აღმოჩნდა უბრწყინვალესი ქალბატონი თუთი ჩიჯავაძე, რომელმაც სახლში მიმიპატიჟა და გადმომცა კიკნაველიძეების უნიკალური ფოტოარქივი, რომელიც ამჟამად ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული და ამ ფოტოებს აქაც იხილავს მკითხველი.

ოთხი ძმა კიკნაველიძეების შთამომავალთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული სწორედ ქალბატონი თუთი ჩიჯავაძე გახლდათ. ის აღიზარდა ნიკოლოზ კიკნაველიძის ქალიშვილის, მართა კიკნაველიძისა და ცნობილი რუსთველოლოგის, შოთა ჩიჯავაძის ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თუთი ჩიჯავაძემ ნაყოფიერად იღვაწა ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

და სახელოვნად განვლო გზა ლაბორანტობიდან პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორობამდე. ქალბატონმა თუთიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში: სტუდენტებისათვის შექმნა სამი სახელმძღვანელო ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში, იყო ორმოცამდე შრომისა და სტატიის ავტორი, სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით. იგი აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუტის საზოგადოებრივ, სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იყო სანიმუშო მეუღლე, სამი შვილის დედა და მზრუნველი ბებია.

თუთი ჩიჯავაძე სათუთად ინახავდა თავისი სახელოვანი წინაპრების ხსოვნას. როდესაც შეიტყო ძმები კიკნაველიძეების შესახებ წიგნის გამოცემის ამბავი, მან დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით ითანამშრომლა ჩვენთან.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ქალბატონი თუთი ვერ მოესწრო ამ გამოცემას. ის ბედნიერი იქნებოდა, რომ ხელში აეღო ეს წიგნი, გადაეფურცლა და ენახა თავისი ნაოცნებარი.

ამიტომ ჩვენ, დიდი მოწიწებით, ამ გამოცემას სწორედ მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნით.

ლევან თაქთაქიშვილი

უცნობი ავტორი

რევოლუციამდელი კიკნაველეთი

ცოტა რამ წარსულიდან

თვალწარმტაც საკრაულას ხეობით რომ აღმოსავლეთისაკენ აიღოთ გეზი, ოციოდე კილომეტრის შემდეგ მაიაკოვსკის რაიონის ყველაზე მაღალმთიან სოფელში აღმოჩნდებით, რომელსაც ოცდაათიან წლებში მისივე მდინარის საკრაულას სახელი შეარქვეს, თორემ ამ სოფელს წარსულში კიკნაველეთი ერქვა იმის გამო, რომ სოფლის მკვიდრთა უმრავლესობას კიკნაველიძეების გვარეულობა შეადგენდა და ამჟამადაც შეადგენს.

არის გავრცელებული აზრი, რომ კიკნაველიძეების წინაპრები ზემო იმერეთიდან გადმოხვეწილი აზნაურები – კიკნაძეები ყოფილან, რომლებიც მკვლელობის, თუ სხვა რაიმე მძიმე დანაშაულის გამო, გამოქცევიან მრისხანე ფეოდალებს – ალბათ წერეთლებს ან აბაშიძეებს და ამ მიუვალ და მაღალი მთებით შემოზღუდული უკაცრიელი ადგილისათვის შეუფარებიათ თავი.

შემდეგში, ბუნებრივია, ფეოდალების დევნისათვის რომ აერიდებინათ თავი, გვარიც გამოიცვალეს და კიკნაველიძეები დაირქვეს.

ფრიად საინტერესოა ახალი გვარის – კიკნაველიძის წარმოშობა. როგორც ცნობილია, სოფელი საკრაულა მეტად მთაგორიანია და მხოლოდ მის ცენტრალურ ნაწილშია მცირე ვაკე ადგილი, ანუ ველი და, რადგან ძველი ქართულში მცირეს „კიკნა“ ერქვა, მიღებული იქნა საკმაოდ ორიგინალური სახელწოდება – „კიკნაველი“, რაც მცირე ველს ნიშნავს, სინამდვილეში ეს სოფელი მართლაც მცირე ველიანი ადგილია და სახელწოდებაც – კიკნაველეთი – სწორედ გამოხატავს მის ადგილმდებარეობას.

ასე მიიღეს ახალი გვარი კიკნაძეებმა და, როგორც ხატოვნად იტყვიან, „ორი კურდღელი დაიჭირეს“, ვინაიდან არც ძველი გვარი დაკარგეს მთლიანად, რადგან წინსართი „კიკნა“ მაინც დაიტოვეს, რათა თავიანთ აზნაურულ შთამომავლობას საბოლოოდ არ გამოთხოვებოდნენ და ადგილმდებარეობის შესაფერისი სახელწოდებაც მოხერხებულად იქნა შერჩეული, „კიკნაველი“, „კიკნაველეთი“, კიკნაველიძე. ასე გაჩნდა ამ უდაბურ ადგილზე ახალი სოფელი კიკნაველეთი და გვარი კიკნაველიძე.

კიკნაძეები აქ მოსულნი უნდა იყვნენ ქართველი ხალხისათვის მეტად ძნელბედობის ხანაში – მე-17-18 საუკუნეში, იმ დროს, როდესაც სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული, ურიცხვი გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმებით და შინაური ფეოდალური აშლილობით

განაწამები ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო სისხლისაგან იცლებოდა, როდესაც მთელ საქართველოში მოღალატე თავად-აზნაურების მნიშვნელოვან ნაწილს ტყვეების მოტაცება-გაყიდვა თავიანთი შემოსავლის წყაროდ გადაექციათ. ამ ეროვნულ უბედურებას ემატებოდა დაუსჯელი თარეში ლეკთა ბრბოებისა, რომლებიც იტაცებდნენ ადამიანებს, პირუტყვს და ყველაფერს, რაც კი შინამოღალატეებს გადარჩენოდა. ე. წ. „ლეკიანობას“ რომ მეტად საშიში ხასიათი მიუღია, იქიდან ჩანს, რომ მეფე ერეკლე მეორემ ლეკთა ბელადს ომარ-ხანს წელიწადში 5000 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნა, რათა მათი თარეშისათვის ბოლო მოეღო. ერეკლეს, ცხადია, სხვა გზა არ ქონდა, რადგან ლეკები ისე იყვნენ გათამამებულნი, რომ დღისით-მზისით იტაცებდნენ ხალხს, თვით დიდ თავადებსაც კი. გავიხსენოთ თუნდაც დავით გურამიშვილის მოტაცების ამბავი. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა უპატრონო და დაუცველი ხალხი, თუ კი თავადებსაც არ ინდობდნენ.

მეტად გამწვავებული იყო, აგრეთვე, ბატონყმური ურთიერთობაც, გაღატაკების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას. „ქვეყანაში გაუკითხაობა მეფობდა, საბატონყმო ურთიერთობა ყოვლად აუტანელი შეიქმნა, გამხეცებული ბატონისაგან გლეხი, რითაც შეეძლო თავს იცავდა“.[1]

ასეთ ვითარებაში გლეხობა და ხშირად წვრილი აზნაურობაც კი გარბოდნენ თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ.

ბუნებრივია, მოთმინებიდან გამოსული გლეხობა ბატონების აწიოკებას, სახლკარის გადაწვას და მკვლელობასაც არ ერიდებოდა.

ასეთი ამბები საქართველოში იშვიათი როდი იყო და ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბევრი ცნობები მოგვეპოვება: ისტორიულ წყაროებსაც რომ არ მივმართოთ, გურჯაანის რაიონში არის ერთი მაღალმთიანი სოფელი ჭერები, რომელშიც ორას კომლამდე ზემო იმერეთიდან გამოქცეული გლეხები (გელაშვილები, კობერიძეები, ჯაჭვაძეები, ჩიხლაძეები, გაჩეჩილაძეები და სხვ.) ცხოვრობდნენ. თუ რამ აიძულა ისინი მიეტოვებინათ თავისი მიწაწყალი, ადვილი გასაგებია: კვლავ ბატონების მოძალება და შევიწროება, მკვლელობა და უცხო მხარეში გადახვეწა.

საფიქრებელია, რომ ვერც კიკნაძეები აცდებოდნენ ამ ხვედრს და არც ის არის გამორიცხული, რომ შემდეგშიც ხშირად მოინახულებდნენ მათ ძველი მტერმოყვარენი და იოლი გზით გამდიდრების მოყვარულნი. მაგრამ კიკნაველიძეებსაც უყვარდათ პატივი ეცათ „დაუპატიჟებელი“

---

[1] საქართველოს ისტორია, ნაწილი I. ს. ჯანაშიას რედაქციით. სახ. გამომც., 1948 წ. გვ. 355.

სტუმრებისათვის. ასე რომ, მათი დაჩაგვრა არც ისე ადგილი იყო, მით უმეტეს, რომ სოფელი მეტად მიუდგომელი გახლდათ და ადვილად დასაცავი. მაგრამ, რაც მთავარია, კიკნაველიძეები მკაცრი ცხოვრების პირობებიდან გაკაჟებულნი იყვნენ და იმ არემარეში საუკეთესო ვაჟკაცებად ითვლებოდნენ. მათი გულადობის სახელი ძალიან შორს იყო გავარდნილი და მათთან ჩხუბსა და უსიამოვნებას ყველა ერიდებოდა და, თუ მაინც გამოჩნდებოდა ვინმე აბეზარი და თავზე ხელაღებული, იშვიათად თუ გადარჩებოდა დაუხანჯლავი. აი, ამ მაღალმთიანი სოფლის ერთ-ერთ სახელოვან შვილს, ყარამანს, ეძღვნება ეს ნარკვევი.

ყარამანი. ყარამანის მშობლები, სიმონი და მართა, საშუალო შეძლების, მაგრამ ძალზე ენერგიული და შრომისმოყვარე ხალხი იყო. 8 შვილი ყავდათ: 4 ვაჟი და 4 ქალი, ყველა მშვენიერნი და ერთმანეთზე უკეთესნი, მაგრამ ძმებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ყარამანი და მანუელი, ხოლო დებიდან – ანეტა. ანეტა კარგ ვაჟკაცს არ ჩამოუვარებოდა. მშვენიერი სანახავი იყო იგი, მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი, ყაბალახით თავგაკრული, ხელში მათრახით და საუკეთესო ბედაურზე ამხედრებული შიშის ზარს სცემდა მეფის აგენტებს. იგი 1905-1907 წ.წ. რევოლუციაში ვაჟკაცების მხარდამხარ იბრძოდა საძულველი ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ. ამ ყოჩაღ ქალიშვილს ყველა დიდი პატივს სცემდა და მაინცდამაინც ბევრი როდი იყო მასთან ურთიერთობის გამწვავების მსურველი.

სამწუხაროდ, ანეტა, ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა ქალიშვილი, 1918 წელს ვერაგულად იქნა მტრის ტყვიით განგმირული.

მიუხედავად იმისა, რომ ყარამანის მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მათ ყარამანი (ხოლო შემდგომშიც დანარჩენი ვაჟებიც) ქუთაისში მიაბარეს სასწავლებლად და მაშინდელი დროის შესაფერისი საფუძვლიანი განათლება მიაღებინეს. ყარამანი, როგორც უფროსი შვილი, მამის სურვილის თანახმად, თავის სოფელს დაუბრუნდა და ენერგიულად ჩაება მშობლიური ხალხის კულტურული აღორძინების საქმეში.

იგი სოფელში დაბრუნებისთანავე, ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა, მონაწილეობდა რევოლუციონურ საქმიანობაში, შემოიკრიბა თავის ირგვლივ 200-ზე მეტი კაცი, მეტწილად ახალგაზრდები და მათგან შექმნა წითელი რაზმი, რომლის გაწვრთნა და პოლიტიკურად გათვითცნობიერება თვითონვე იკისრა.

ყარამანის წითელი რაზმის ბირთვს წარმოადგენდა კიკნაველეთის საუკეთესო ვაჟკაცები: მიხა ბაქრაძე, კირილე, კოლია, იასონი, გიორგი, სანდრო, ნიკოლა, კარპეზი, ყარამანის დაძმები (კოლა, შალვა, მანუელი, ანეტა), ომფორ, ალექსანდრე, კირილე, შაშია, მოსე, ვანო, დიმიტრი, პე-

ტრე და ონისიმე კიკნაველიძეები, კოწია ჯოხაძე, სავლე კუპრაძე, ტარასი თაბუკაშვილი და სხვა.

წითელ რაზმს დიდ მატერიალურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევდნენ სხვა ქალაქებში (ქუთაისი, ახალ-სენაკი, ზესტაფონი, თბილისი, ბაღდადი) სამუშაოდ წასულნი კიკნაველეთის მკვიდრნი: ლადიკო კიკნაველიძე, პლატონ კიკნაველიძე, კოწია კიკნაველიძე, თომა კიკნაველიძე, კალენიკე კიკნაველიძე, ვასილ კიკნაველიძე, ანტონ კიკნაველიძე, იონა ბაქრაძე და სხვა).

ყველა ზემოხსენებული პირი, რომლებიც არც თუ ისე დიდ შემოსავლიან ადგილებზე მუშაობდნენ, რაზმს, ფულადი დახმარების გარდა, ამარაგებდნენ იარაღითა და არალეგალური ლიტერატურით. ამასთან საუკეთესო მეკავშირეებიც იყვნენ რევოლუციურ არალეგალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარების საქმეში, რაშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლადიკო კიკნაველიძე, პლატონ კიკნაველიძე.[1] წითელი რაზმის ხშირი სტუმრები იყვნენ, აგრეთვე, ტყეში ფირალად გავარდნილი ცნობილი წითელრაზმელები: სერგო ლაბაძე, ყარამან ხუსკივაძე, შალვა წერეთელი და თვალსაჩინო რევოლუციონერები: აფრასიონ მერკვილაძე, რაფიელ ჩიხლაძე, გრიგოლ ქარცივაძე, ზოტიკე ჩიქვილაძე და სხვ. ამრიგად, ყარამანმა გარედან დახმარებისა და თავისი დაუღალავი ენერგიის წყალობით შექმნა საკმაოდ გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული რაზმი, რომელიც მზად იყო მთავრობის წინააღმდეგ გამოსასვლელად და შესაფერის დროს უცდიდა. ამ დრომაც არ დააყოვნა.

როგორც ცნობილია, 1905-1907 წ.წ. მთელი ქართველი ხალხი აღდგა საძულველი მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ დიდ სახალხო მოძრაობას, ცხადია, არც ჩვენი სოფელი ჩამორჩენია და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მასში. საბრძოლველად გაემზადა წითელი რაზმიც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყარამანი. ყოველდღე იმართებოდა კრებები და მიტინგები, რომლებიც ეწყობოდა კიკნაველეთის ჩრდილოეთით მდებარე ცნობილ „მაყვლარიანის სერზე“. ქუთაისიდან და ზესტაფონიდან თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ აგიტატორები, რომლებსაც ხალხი „მოქადაგეებს“ უწოდებდა. აღნიშნული მოქადაგეები თავმოყრილ ზღვა ხალხს უხსნიდნენ რევოლუციის მიზნებს და ამოცანებს, მოუთხრობდნენ, თუ როგორ ტა-

[1] პლატონ კიკნაველიძემ ქალაქ ზესტაფონში საკანცელარიო და წიგნის მაღაზია გახსნა, რაც საუკეთესო შენიღბულ ადგილს წარმოადგენდა ფართოდ დახმარებოდა რევოლუციონერებს არალეგალური ლიტერატურის მიწოდების, კრებების მოწვევის თუ სხვა საკითხების მოგვარების საქმეში.

ნჯავდნენ და ხოცავდნენ უდანაშაულო ხალხს, როგორ წვავდნენ მათ კარ-მიდამოს მეფის დამქაშები და დამსჯელი რაზმები. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს აჯანყებულიყვნენ და მოესპოთ მეფის საძულველი ხელისუფლება.

მოქადაგეების მოყვანა, მიტინგებისა და კრებების ორგანიზაცია და მოსული ამხანაგების უვნებელყოფა დავალებული ჰქონდათ ლადიკო და პლატონ კიკნაველიძეებს, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს ამ მეტად რთულ და სახიფათო საქმეს.

ყოველ დღე მეტად ცუდი ამბები მოდიოდა მთავრობის დამსჯელი რაზმების სასტიკი მოქმედების შესახებ. ხალხი ბობოქრობდა და მთელი სოფელი ერთ საომარ ბანაკს წარმოადგენდა. ყველა შეიარაღებული იყო, რითაც შეეძლო და მზად იყო საბრძოლველად. სწორედ ამ დროს სოფელში მოვიდა ახალი, კიდევ უფრო შემაშფოთებელი ამბავი, რომ ცნობილი შავრაზმელი და ქართველი ხალხის ჯალათი გენერალი ალიხანოვი გამოვიდა წიფის გვირაბიდან და ცეცხლითა და მახვილით შემოესია ისედაც საკმაოდ გაპარტახებულ დასავლეთ საქართველოს. ჯალათის მორიგი მსხვერპლი ზესტაფონი გახდა. მან ქალაქი მთლად გადაბუგა. ვისაც იარაღის ტარება არ შეეძლო, მასობრივად გაიხიზნა. მარტო ჩვენს სოფელს ათასამდე მოხუცმა, ქალმა და ბავშვმა შეაფარა თავი. მთელი სოფელი ფეხზე დადგა და მაყვლარიანის სერზე მოიყარა თავი, რომ იქ დახვედროდნენ შემოსულ მტერს. ეს მთა, რა თქმა უნდა, განგებ იქნა შერჩეული, როგორც ყველაზე მაღალი, საიდანაც, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანდა არა მარტო ზესტაფონი, არამედ მთელი იმერეთი ქუთაისამდე. წითელრაზმელებს შტაბი მოწყობილი ჰქონდათ არა ნაკლებ მაღალ მთაზე, ე. წ. „შუბიქედზე“.

ალიხანოვის დამსჯელ რაზმებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ცნობილი რევოლუციონერი აფრასიონ მერკვილაძე, მაგრამ მტრის რიცხობრივად ჭარბ ძალებს ვეღარ გაუძლო და თავისი საკმაოდ შეთხელებული რაზმით კიკნაველეთს მოაშურა. მას მყისვე შეუერთდა ყარამანი თავისი რაზმით და მაყვლარიანის სერზე გამაგრდნენ.

მერკვილაძის რაზმის ჩვენს სოფელში გადმოყვანას, მის დაბინავებას, სურსათით მომარაგებასა და ადგილობრივ რაზმელებთან კონტაქტს ხელმძღვანელობდნენ სოფლის მკვიდრნი, განთქმული ვაჟკაცები: მიხა ბაქრაძე, კირილე, კოლია და კარპეზ კიკნაველიძეები, რომლებიც ყარამანის რაზმის სული და გული იყვნენ.

ალიხანოვმა, რომელმაც იცოდა აფრასიონ მერკვილაძის კიკნაველეთში წამოსვლის ამბავი და ყარამანის რაზმის არსებობაც, სასწრაფოდ დასძრა კიკნაველეთისაკენ ყაზახთა ცხენოსანი ასეულები. მაყვლარიანის სერიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ გამოემართნენ კიკ-

ნაველეთისაკენ წითელშარვლიანი, შავჩოხოსანი ყაზახები, რომლებიც გზადაგზა ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ. მაყვლარიანის სერზე წითელრაზმელებთან ერთად შეუიარაღებელი ხალხის დიდძალი იყო. მათში ქალებიც ბევრი ერია. ეს გამოუცდელი ხალხი მეტად შეაშფოთა მეზობელ სოფელში ცაში ავარდნილმა ცეცხლის ალმა, ხალხი შიშმა და პანიკამ მოიცვა და უწესრიგოდ ტყეებს მიაშურა თავშესაფარად, მაგრამ ამ დროს ხმები გავრცელდა: ყაზახებს ტყუილად ნუ ვემალებით, რადგან მათ ისეთი უჩინმაჩინის სარკე აქვთ, რომლითაც ყველგან დაგვინახავენო. ამიტომ სჯობს ვაჟკაცურად დავუხვდეთ ან დავიხოცოთ, ან გავიმარჯვოთო (უჩინმაჩინის სარკედ ხალხს მოეჩვენა დურბინდი, რომელიც ყაზახების უფროსს ეჭირა ხელში და ათვალიერებდა მიდამოს).

ამ დროს დაზვერვიდან დაბრუნებულმა ყარამანმა პანიკით მოცული ხალხი ერთ საკმაოდ დაბურულ ტყეში დამალა და თუ მტერი წინ წამოსვლას მოახერხებდა, უკანიდან უნდა დასხმოდა თავს. სხვა შემთხვევაში ხალხს თავისი იქ ყოფნა არ უნდა გაემხილა. ყარამანის ამ ღონისძიებამ გასჭრა და სრული წესრიგი დამყარდა.

ამასობაში ყაზახებიც ფრთხილად მიემართებოდნენ მაყვლარიანის სერისაკენ, მაგრამ ხევებში ორმხრიდან ჩასაფრებულმა ყარამანისა და აფრასიონის რაზმებმა ისე უეცრად დაკრეს, რომ მტერი მოულოდნელად დაბნეული უწესრიგოდ გაიქცა უკან. წითელრაზმელებს კარგა ბლომად თოფები და ცხენები დარჩათ დავლათ. ამ გამარჯვებამ ისინი კიდევ უფრო აღაფრთოვანა და მეტი ენერგიით შეუდგა ბრძოლისათვის მზადებას.

ყარამანმა და აფრასიონმა ზესტაფონში მზვერავები გაგზავნეს, რათა მოესინჯათ ზესტაფონის აღებისა და წიფის გვირაბის ჩაკეტვის შესაძლებლობა, რომ ალიხანოვისათვის საკადრისი მიეზღოთ, მაგრამ მზვერავებმა ვერ მოიტანეს კარგი ამბავი: ალიხანოვს დამხმარე ძალა მიეღო, წიფის გვირაბიც საიმედოდ ჩაეკეტა და დამსჯელ ოპერაციებს კიდევ უფრო აფართოებდა, და ის შეუდგა მთელ დასავლეთ საქართველოსთან ანგარიშის გასწორებას: იწვოდა სახლები, იჟლიტებოდა ასობით ადამიანები და ციხეები ივსებოდა ხალხით.

ალიხანოვმა შეასრულა თავისი შავბნელი ზრახვები – რეაქციამ გაიმარჯვა.

კიკნაველეთში შემოვიდა დამსჯელი რაზმები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ მთლიანად გაეჟლიტათ ხალხი, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგე და წითელი რაზმების ხელის შემწყობი. ყარამანმა და აფრასიონმა მტრის ჯარის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლა უაზროდ ჩათვალეს და თავისი რაზმებით კიკნაველეთის მიუვალ ტყეებს

შეაფარეს თავი. გაიხიზნა მთელი სრულწლოვანი მოსახლეობა, სოფელში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები. დაიწყო ეგზეკუციის მძიმე პერიოდი. დამსჯელი რაზმის უფროსი ყარამანის ახლად აგებულ სახლში მოთავსდა და შემდეგში მისი გადაწვა ჰქონდა გადაწყვეტილი. კაზაკები შეესივნენ მოსახლეობას და ძალით ართმევდნენ სურსათს და ცხენების საკვებს, ქალების გაუპატიურებასაც არ ერიდებოდნენ. დამსჯელი რაზმის უფროსმა სოფელს ულტიმატუმი წაუყენა: გაჟლეტდა ხალხს და გადაწვავდა სოფელს, თუ წითელი რაზმები და გახიზნული ხალხი უსიტყვოდ არ ჩაბარდებოდა ხელისუფლებას. თავის მხრივ, ყარამანმა და აფრასიონმაც კონტრულტიმატუმი წაუყენეს: ხალხს ხელი არ ახლოთ, სახლები არ გადაწვათ, სოფელს მშვიდობიანად გაეცალეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში წითელრაზმელებს გადაწყვეტილი აქვს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონო, და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად სოფლის ირგვლივ საშინელი სროლა ატეხეს. დამსჯელი რაზმის უფროსი საგონებელში ჩავარდა. აშკარა იყო, თუ იგი სოფელს მშვიდობიანად არ გაეცლებოდა, დამსჯელი რაზმის გაჟლეტა და თვით მისი სიკვდილიც გარდაუვალი იყო, რადგან ჯარი ალყაში იყო მოქცეული ყოველი მხრიდან და ადვილად შეიძლებოდა მისი მოსპობა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გამოცხადდნენ მასთან პოლკოვნიკი გრიგოლ მაჭავარიანი და პორუჩიკი ბიჭია კიკნაველიძე, რუსულ სამხედრო მუნდირში გამოწყობილნი, და სთხოვეს, უაზრო სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, გაეყვანა ჯარი სოფლიდან, ხოლო თავის მხრივ შეპირდნენ, სოფელში სულ წესრიგსა და სიწყნარეს უზრუნველვყოფთო.

ყაზახთა რაზმის უფროსსაც სწორედ ეს უნდოდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ფარისევლურად უპასუხა: კაცთმოყვარეობის გულისთვის და თქვენი, როგორც მეფის ოფიცრების, პატივისცემის გამო მოვერიდები სისხლის ღვრას და მშვიდობიანად წავალ სოფლიდანო, და სასწრაფოდ აიყარნენ წასასვლელად. ასე გადარჩა სოფელი.

მეორე დღესვე აფრასიონ მერკვილაძემაც დატოვა სოფელი, დაშალა რაზმი და არალეგალურ ცხოვრებას მიჰყო ხელი, ტყეს შეაფარა თავი, ხოლო ყარამანი თავისი საყვარელი უმცროსი ძმით სპარსეთს გადაიხვეწა. სოფელს გაეცალნენ, აგრეთვე, სანდრო, ნიკოლა და იასონ კიკნაველიძეები.

სანდრო შემდეგში ჟანდარმერიამ დააპატიმრა, რუსეთში გადაასახლა და ის ტუბერკულიოზის მსხვერპლი გახდა. რაც შეეხება იასონს, იგი თბილისში ცხოვრობდა გამოცვლილი გვარით და მოესწრო რევოლუციის გამარჯვებას.

წითელი რაზმის დანარჩენი აქტიური წევრები სოფელში ჩაიკეტნენ და ცდილობდნენ დროებით შეუმჩნეველნი ყოფილიყვნენ. მისი ერთ-ე-

რთი თვალსაჩინო წევრი კარპეზ კიკნაველიძე, უკვე საუკუნეს გადაცილებული, დღესაც ჭარმაგად გრძნობს თავს და წარსული ამბები მხოლოდ მოგონებადღა აქვს შემორჩენილი.[1]

ყარამანმა და მისმა უმცროსმა ძმამ – მანუელმა, გამოცვლილი პასპორტებითა და დიდი ტანჯვა-ვაებით სპარსეთს შეაფარეს თავი. ასე დაიწყო უცხო ქვეყანაში ორი ადამიანის ათასი საშიშროებითა და ხიფათით აღსავსე ცხოვრება, რომლებმაც არც სპარსული ენა იცოდნენ, არც ნივთიერი სახსრები გააჩნდათ და, ცხადია, არ ყავდათ არც ერთი ნაცნობი. ამრიგად, სპარსეთში ყოფნის პერიოდი მათთვის ცხოვრების თავიდან დაწყებას ნიშნავდა, რადგან უნდა ესწავლათ ენა, გამოენახათ ცხოვრების სახსარი და, რაც მთავარია, უნდა გაეჩინათ ნაცნობ-მეგობრები, რომ თავი რამდენადმე უშიშრად ეგრძნოთ.

სპარსეთის პირველი ქალაქი, რომელშიც ყარამანმა და მანუელმა პირველად შედგეს ფეხი, ენზელი იყო (ამჟამად ფეჰხლევი)[2]. დაბინავდნენ ადგილობრივი სასტუმროს ერთ პატარა ოთახში. თუმცა ძალიან დაღლილები იყვნენ, მაგრამ დიდხანს ვერ დაიძინეს, ისე იყო მათი გონება და სული აფორიაქებული. მეორე დღეს ქართულ ჩოხებში კოპწიად გამოწყობილნი, ვერცხლის ხმალ-ხანჯალში ჩამჯდარნი, ნავთსადგურში წავიდნენ თავიანთი მცირე ბარგის გამოსატანად. ხალხი დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ამ მშვენიერ ვაჟკაცებს. ნავთსადგურში მათ ბედნიერი შემთხვევა მოელოდათ. სავსებით მოულოდნელად შეხვდნენ შორეულ ნათესავს, ვლადიმერ ანთაძეს, რომელიც ენზელში ცხოვრობდა ოჯახით და ტელეფონის ქსელი გაყავდა ბაქოდან ენზელსა და სხვა ახლო-მახლო ქალაქებში. ვლადიმერი საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა და რუსეთ-სპარსეთის მთავრობის შეთანხმებით ამ ორი მეზობელი ქვეყნის სატელეფონო ქსელით დაკავშირება სწორედ მას ჰქონდა მინდობილი და დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის. მას მიღებული ჰქონდა შაჰისაგან ფულადი ჯილდოც კი კეთილსინდისიერი მუშაობის გამო. ვლადიმერმა თავისი თანამემამულე ნათესავები დიდი პატივით მიიღო.

პირველ ყოვლისა, დააბინავა თავისი სახლის ერთ-ერთ საკმაოდ ფართო და კარგად მოწყობილ ოთახში. ხოლო შემდეგ მთელი ერთი თვის

---

[1] იგი 105 წლის ასაკში 1972 წელს გარდაიცვალა.

[2] ***სწორი ფორმაა „ფეჰლევი“. ამ ცნობის მიხედვით, ძმები ბაქოდან გემით ჩავიდნენ ენზელის პორტში, რაც წინააღმდეგობაში მოდის იმ შეხედულებასთან, რომ ძმები ჯერ თურქისტანში გადაიხვეწნენ და შემდგომ გადავიდნენ სპარსეთში.***

მანძილზე გააცნო ქალაქები: ენზელი, რეშტი[1], ასტრაბადი[2], გილიანი[3], ბენდერგეზი[4], თეირანი და სხვ.; წაიყვანა მაზანდარაში[5], შემდეგ ფერეიდანში გაემგზავრნენ და იქაური ქართველები მოინახულეს, რომლებმაც ძმები დიდი პატივით მიიღეს და ისე შეიყვარეს და შეიტკბეს, რომ უკან აღარ უშვებდნენ.

ძმებმა გაიცნეს ფერეიდნელ ქართველთა თავკაცები (ხანები): ხუციშვილები, ონიკაშვილები, დავითაშვილები და ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება ფერეიდნელ ქართველებში სეიფოლა იოსელიანი (რომელიც ორჯერ იყო საქართველოში კავშირის გასამტკიცებლად).[6]

სეიფოლამ და სხვა ქართველმა ხანებმა ძმებს წინადადება მისცეს: რაკი „დიდი საქართველოდან" ქართველი კაცის ნახვას ვეღირსეთ, დარჩით ჩვენთან და გაიზიარეთ ჩვენი ჭირი და ლხინიო. მაგრამ ყარამანმა მათ თავაზიანად უთხრა უარი იქ დარჩენაზე, იმავე დროს დაპირდა, რომ ვიდრე მე სპარსეთში ვიქნები, მიგულეთ თქვენს ძმად და მეგობრადო. ასე დაშორდნენ დროებით ერთმანეთს სამშობლოდან იძულებით გადახვეწილნი ძველი და ახალი თაობის თანამემამულენი. შემდეგში ყარამანი მართლაც პირნათლად ასრულებდა დაპირებას, დადიოდა მათთან ხშირად, უძღვნიდა ქართულ წიგნებსა და ეხმარებოდა მატერიალურად თავის 300 წლის მრავალტანჯულ თანამემამულეებს. შემდეგში ყარა-

---

[1] *სწორი ფორმაა „რაშთი". „რეშტი" რუსული გახმოვანებაა.*

[2] *„ ასტრაბადი" დღევანდელი გორგანის ძველი სახელია.*

[3] *სწორი ფორმაა „გილანი". გილანის ქალაქად მოხსენიება შეცდომაა. ის იყო და არის სპარსეთის (ირანის) ერთ-ერთი პროვინცია, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქალაქი რაშთი.*

[4] *„ბენდერგეზი" რუსული გახმოვანებაა. სწორი ფორმაა „ბანდარ-გაზი".*

[5] *სწორი ფორმაა „მაზანდარანი"*

[6] *სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ორჯერ სტუმრობა კიკნაველიძეების სპარსეთში გადახვეწამდე ანუ მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში, ჩვენთვის ცნობილ არცერთ ქართულ, ფერეიდნულ თუ სპარსულ წყაროში არ დასტურდება. ერთადერთი უტყუარი ფაქტია 1922 წელს მისი ჩამოსვლა საქართველოში და უკან დაბრუნება 1923 წელს. დაწვრილებით სეიფოლა იოსელიანის რეალური და მითოლოგიზირებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2020, გვ.105-174. ასევე არსად დასტურდება ძმები კიკნაველიძეების ფერეიდანში (ისპაჰანის პროვინციაში) სტუმრობის ფაქტი. ჩვენი ვარაუდით, ეს ავტორის მიერ მოგონილი ამბავი უნდა იყოს. გეოგრაფიული სახელი „ფერეიდანი" ხშირად შეცდომით ვრცელდება სხვა პროვინციების (გილანი, მაზანდარანი...) ქართველებით დასახლებულ რეგიონებზეც.*

მანი თავისი პირადი სიცოცხლისა და დიდი ქონების დასაცავად მხოლოდ ფერეიდნელ ქართველებს ენდობოდა და ისინიც პირნათლად ასრულებდნენ ამ მოვალეობას.

ყარამანმა და მანუელმა თავიანთი მშვენიერი გარეგნული ვაჟკაცური შესახედაობით, ლამაზ ქართულ ჩოხებში გამოწყობილებმა, ყველა მოხიბლეს და ძალიან მალე ვლადიმერის დახმარებით დიდძალი ნაცნობ-მეგობრები გაიჩინეს. ენზელშივე ნახეს თავიანთი ძველი მეგობარი და ცნობილი რევოლუციონერი ბუდუ მდივანი (შემდეგში საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა ემიგრაციაში და რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა.

ბუდუ მდივანმა გულდასმით გამოკითხა ძმებს სპარსეთში ჩამოსვლის მიზეზი და ურჩია მათ რაიმე საქმისათვის მოეკიდათ ხელი, რათა შემდეგში მატერიალურად დახმარებოდნენ იქ გადახვეწილ რევოლუციონერებს, რომლებიც მეტად ცუდ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ბუდუ მდივანმა და ვლადიმერ ანთაძემ სულ მალე აღმოუჩინეს ძმებს „რუსეთ-სპარსეთის ხე-ტყის მრეწველობის ამხანაგობაში“ ხეტყის დამამზადებლების თანამდებობა. ძმებმა სულ რაღაც ერთი-ორი წლის განმავლობაში კომერციული საქმის დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინეს, საკმაო ფულიც დააგროვეს და მალე მოჯარადრეობას მიჰყვეს ხელი. იჯარით იღებდნენ სპარსელი ხანებისაგან ტყის დიდ ნაკვეთებს, ჭრიდნენ და ამზადებდნენ შეშას და ყოვეგვარ ხის მასალას და უხვად ამარაგებდნენ მყიდველ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ნავთობგადამმუშავებელ სარეწაოებს და ცნობილ მეთევზეს, ლიანოზოვს, რომელსაც დიდი რაოდენობით საკასრე მასალა ესაჭიროებოდა.

ძმების სამრეწველო და კომერციული საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა მის შემდეგ, როდესაც მათ გაიცნეს ცნობილი ქართველი მრეწველი, ხე-ტყის და ნავთის მრეწველობის მფლობელი აკაკი ხოშტარია, რომელსაც სპარსეთში, თავისი კომერციული ნიჭისა და გაქანების წყალობით, მილიონები შეეძინა. ხოშტარიამ ყარამანში გამოიცნო დიდი ჭკუა, უნარი და ნიჭი და აიყვანა თავის უახლოეს პარტნიორად ხეტყის დამზადების საქმეში, ხოლო უფრო მოგვიანებით, იგი გაიამხანაგა ნავთის საძიებელ საქმეებშიც. ხოშტარიამ ყარამანს დასახმარებლად გამოუყო დიდად გამოცდილი მრეწველები: რომან გვარჯალაძე, ბეგლარ მელია და ფარნაოზ ფაღავა.

ამ სამეულის შემატებით ხე-ტყის დამზადების საქმე საგრძნობლად გაფართოვდა და უკვე აღარ იყო საკმარისი მუშა ხელი, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი სპარსელი მოსახლეობა არც ისე სანდოთ გამოიყურებოდა, რის გამოც ძმები იძულებულნი იყვნენ მუშა-ხელი გამოეთხო-

ვათ რუსეთიდან. როგორც ვიცით, ყარამანმა მუშები წაიყვანა აგრეთვე თავისი სოფლიდან და ახლომახლო სოფლებიდან, რაზეც კავკასიის მეფისნაცვლისაგან მიიღო სპეციალური მოწმობა მუშა-ხელის სპარსეთში წაყვანის შესახებ.[1]

ამრიგად ყარამანმა სანდო მუშახელით უზრუნველყო თავისი საწარმოები. შემდეგში ყარამანს მუშა ხელი მიყავდა ფერეიდნელი ქართველებიდანაც.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი მასშტაბები მიუღია ყარამანისა და მისი ამხანაგების საქმიანობას. მოგვყავს ზოგიერთი ცნობები: ყარამანი და გვარჯალაძე ერთ სპეციალურ თხოვნაში სპარსეთის „სააღრიცხვო-გამსესხებელ ბანკის გამგეობისადმი“, უჩივიან სპარსეთის მთავრობას, რომელსაც ხელი შეუშლია მათთვის სოფელ ხუშაბერში[2] 49 კვადრატული ვერსი ტყის მოჭრაში და მოითხოვენ სპარსეთის მთავრობისაგან ზარალის ასანაზღაურებლად 80000 მანეთს რეშთის რუსეთის საკონსულოს მეშვეობით.

აბა წარმოიდგინეთ 49 კვადრატული ვერსი ტყის ფართობის ათვისებას რამდენი მუშახელი და ფულადი სახსრები დასჭირდებოდა.

მეორე დოკუმენტში ყარამანს 60 კვადრატული ვერსი ტყის დამუშავებაზე დაუდვია ხელშეკრულება „დელაიმან სიაკეში“[3] ტყის მეპატრონე ხანებთან: მამედ მუშირელ მემალიკთან[4], მამედ ისმაილ ნასირელთან[5], მეხდი მუჰამედ დივანთან[6], მირზა უსეინ მირზა ხალილთან[7] და სხვებთან, ხოლო შემდეგში ეს ხელშეკრულება გადაუფორმებია აკაკი ხოშტარიაზე.

ყარამანს და მის ძმას იჯარით ჰქონიათ აღებული მეტად დიდი რაოდენობის ტყის ფართობები სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით

---

[1] *ეს ფაქტი დასტურდება იმერული დიალექტური მასალითაც: ვინმე ერისტო შველიძის თქმით, ახლო-მახლო სოფლებიდან ზეგნელმა კიკნაველიძემ სპარსეთის გურჯისტანში ხე-ტყის დასამუშავებლად წაიყვანა 700 კაცი (იხ.ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973, გვ.394-395; ქართული დიალექტების კორპუსი, http://www.corpora.co/№/corpus №3091)*

[2] *https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%AF%D9%87%D8%B3%D8%AA%D8%A7%D9%86–%D8%AE%D9%88%D8%B4%D8%A7%D8%A8%D8%B1. გილანის პროვინციის რეზვანშაჰრის რაიონის სასოფლო თემი ხოშაბარი.*

[3] *დეილამან-სიაჰქალ – ორი დასახლებული პუნქტი გილანის პროვინციაში.*

[4] *მოჰამად მოშირ ალ-მამალექ*

[5] *მოჰამად ესმაილ ნასირი*

[6] *მეჰდი მოჰამად დივანი*

[7] *მირზა ჰოსეინ მირზა ხალილი*

დიდ სამუშაოებს აწარმოებდნენ ასტრაბადის ოკრუგის „ბენდერგიაზის“[1] თვალუწვდენელ ტყეებში.

ამასთან ყარამანს და მის ძმას ქონიათ საკუთარი ტყის დიდი მასივებიც სოფლებში: „სუდტეში“[2] და „კალაფროში“.[3]

ძმებს მათი სპარსეთში ყოფნის 10 წლის მანძილზე თავიანთი ნიჭის, ენერგიის და დაუღალავი შრომის შედეგად კარგად შეუსწავლიათ სპარსული ენა და საკმაოდ დიდი ქონება შეუძენიათ, სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის ადმინისტრაციის დიდი ნდობით და პატივისცემით, რაც იქედან სჩანს, რომ „სპარსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელ ბანკში“ ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იღებდნენ დიდ სესხს და არავითარ შეზღუდვას არ განიცდიდნენ, რადგან აღნიშნული ბანკისათვის ცნობილი იყო მათი სარეწაოების დიდი გადამხდელუნარიანობა.

ყარამანი და მანუელი, რომლებიც ყელამდე იყვნენ ჩაფლულნი კომერციულ საქმიანობაში, როდის ივიწყებდნენ თავიანთ რევოლუციურ მოვალეობას, ისინი პარტიულ ორგანიზაციების მითითებით თუმცა უშუალოდ აღარ მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლებში, სამაგიეროდ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ რუსეთიდან და საქართველოდან ჩამოსულ რევოლუციონერებს და მათი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი რევოლუციურ საქმიანობას ხმარდებოდა. ყარამანი საგრძნობ დახმარებას უწევდა აგრეთვე თვით სპარსეთის რევოლუციასაც, რომელიც დიდ აღმავლობას განიცდიდა 1912, 1917 წლებში.[4] ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა მანუელი, რომელიც 1916 წელს ვერაგულად იქნა კიდეც მოკლული სპარსელი რეაქციონერების მიერ.[5]

ყარამანი დიდად დაამწუხრა და ჩააფიქრა ძმის დაღუპვამ, აშკარა იყო, რომ მასაც დიდი საფრთხე მოელოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ყარამანმა ფართო სამუშაოები გააჩაღა აკაკი ხოშტარიასთან

---

[1] ***ბანდარ-გაზი – ქალაქი გორგანის (ყოფილი ასტრაბადის) რაიონში.***

[2] ***სუთე – გილანის პროვინციის შაფთის რაიონის სოფელი ან მაზანდარანის პროვინციის ფერეიდუნქენარის რაიონის სოფელი. ქოლაფრა – გორგანის პროვინციის ბანდარ-გაზის რაიონის ანზანის სასოფლო თემის სოფელი.***

[3] ეს ცნობები ამოღებულია ყარამანის პირადი არქივიდან, რომელიც შედგენილია რუსულ და სპარსულ ენებზე და რომელიც ინახება ამ სტრიქონების ავტორთან.

[4] ***ირანის კონსტიტუციური რევოლუციის ნამდვილი ვადაა 1905-1911 წლები***

[5] ***სინამდვილეში მანუელ კიკნაველიძე მოკლა მაზანდარანის პროვინციის აშრაფის (ამჟამინდელი ბეჰშაჰრის) რაიონის სოფელ გორჯი-მაჰალეს მკვიდრმა, მაზანდარანელმა ქართველმა მოჰამად ჯაბემ.***

ერთად ნავთობის მოპოვების დარგშიც და მისი კომერციული კარიერა ზენიტში იყო ასული, მაგრამ მანუელის დაკარგვით ფრთა მოტეხილ არწივს დაემსგავსა. უცხო მხარეში გული აღარ უდგებოდა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ერთი წლის განმავლობაში ყველა თავის საქმე მოაგვარა, უკანასკნელად კიდევ ერთხელ მოინახულა ფერეიდნელი მოძმენი, დიდი საჩუქრებიც წაუღო, თვითონაც იტირა და ისინიც ატირა და ისე დაემშვიდობა მათ, თუმცა დაპირდა, ერთი წლის შემდეგ კვლავ მოგინახულებთო, მაგრამ თავისი შეპირების თვითონაც არ ჯეროდა.[1]

უბედური მანუელის დაკარგვიდან სწორედ ერთი წლის შემდეგ ყარამანი გამოემგზავრა საქართველოში და თან ჩამოასვენა ძმის ნეშტი, რომ მისი სურვილისამებრ სამშობლო მიწისთვის მიებარებინა. მისმა უახლოესმა ნაცნობ-მეგობრებმა ენზელის ნავსადგურიდან[2] იგი დიდი მწუხარებით გამოისტუმრეს, რომელთა შორის ყველაზე დამწუხრებული იყო აკაკი და ვლადიმერი.

რამდენიმე სიტყვა თვით ვლადიმერ ანთაძის შესახებ. ვლადიმერი ხარაგოულის მკვიდრი იყო. დაამთავრა თბილისის სატელეგრაფო სასწავლებელი და ბაქოში მუშაობდა ერთხანს ტელეგრაფისტად, ხოლო შემდეგ ტელეფონის ქსელის გაყვანაზე დაიწყო მუშაობა და ძალიან მალე კარგი სპეციალისტის სახელი დაიმსახურა. სწორედ ამ გარემოებამ გააპირობა მისი სპარსეთში გაგზავნა სატელეფონო ქსელის გასაყვანად ბაქო-ენზელის ხაზზე.

ვლადიმერი ენზელში 1906 წელს გაემგზავრა ოჯახით და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას და, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, კარგი სახელი დაიმსახურა. ვლადიმერს 5 შვილი ყავდა, სამი ვაჟი და ორი ქალი. მისი ერთ-ერთი შუათანა ვაჟი ანდრო, ჯერ მთლად ბავშვი, 15-16 წლის ასაკში ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და დიდ სამსახურს უწევდა სპარსეთში ემიგრირებულ ქართველ რევოლუციონერებს. იგი პირადად იცნობდა ბუდუ მდივანს და მისი ხელმძღვანელობით ასრულებდა პარტიულ დავალებებს. შემდეგში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სპარსეთში გადახვეწილნი ყველა

---

[1] ***დიდი ალბათობით, ფერეიდანში იგულისხმება მაზანდარანის პროვინციის ქართველებით დასახლებული რეგიონი.***

[2] ***მანუელი ერთი წელი დაკრძალული იყო სპარსეთის კასპიისპირეთის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე საპორტო ქალაქ ბანდარ-გაზში. სავარაუდოდ, მისი ცხედარი აქედანვე ზღვით გადაასვენეს ბაქოში და ბაქოდან რკინიგზით საქართველოში. საეჭვოა, რომ მანუელის ცხედარი ბანდარ-გაზიდან ჯერ ხმელეთით წაეღოთ დაახლოებით 500 კილომეტრით დასავლეთით მდებარე საპორტო ქალაქ ენზელიში.***

რევოლუციონერი და მათ შორის ანდროც ბაქოში დაბრუნდნენ და მათი მეტი ნაწილი მენშევიკურ საქართველოში ჩამოვიდა არალეგალურად.

არალეგალურად ჩამოვიდა საქართველოში აგრეთვე ანდროც 1920 წლის შემოდგომაზე და ჩაება რევოლუციურ მუშაობაში.

ანდრო ძალიან კარგი გარეგნული შეხედულებისა და საკმაოდ განათლებული ყმაწვილი იყო (მას და მის უფროს ძმას, შალვას დამთავრებული ჰქონდათ ბაქოს გიმნაზია). იგი ცხოვრობდა თავის უფროს ძმასთან არალეგალურად, რომლის კარის მეზობელი ვიყავით მე და ჩემი უფროსი ძმა.

მე და ანდრო ძალიან დავმეგობრდით, რადგან კარგი საამხანაგო ყმაწვილი იყო და ხშირად ერთად ვატარებდით თავისუფალ დროს, თუმცა იგი დიდ კონსპირაციულ მუშაობას ეწეოდა და ბევრი დრო როდი ჰქონდა. მე ძალიან კარგად მახსოვს, თუ როგორ ხშირად მოდიოდნენ მასთან (რადგან მის ძმას ველიამინოვის ქუჩაზე კარგი და მყუდრო ოთახი ჰქონდა. ამავე სახლის მეორე-მესამე სართულზე მოთავსებული იყო საბჭოთა რუსეთის საკონსულო ს. კიროვის მეთაურობით). პირველი ქართველი კომკავშირელები ბორის ძნელაძე, მოსე ცინცაძე და სოგრატ ბაბილოძე ჩაიკეტებოდნენ ხოლმე ოთახში და დიდხანს თათბირობდნენ.

შემდეგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ანდრო პირველ ხანებში სიღნაღის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა, უფრო მოგვიანებით, „მუშგლეხინში“, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში კი საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად. ანდრო უდროოდ დაიღუპა 1937 წელს.

რამდენიმე სიტყვა თვით აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიაზე. ეს დიდი მასშტაბის მრეწველი და კომერსანტი, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა იმ დროს დიდ ბიზნესმენებს სპარსეთში, 1923 წლამდე დარჩა სპარსეთში,[1] რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სპარსეთის მთავრობამ მას მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვა და იგი იძულებული იყო

---

[1] *თარიღი არასწორია. ფაქტია, რომ აკაკი ხოშტარიას მეუღლე მინადორა გარდაიცვალა 1924 წელს და დაიკრძალა თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. აკაკი ხოშტარიამ მეუღლის საფლავს დაადგა ქართული ეკლესიის სტილში შესრულებული აკლდამა, რასაც ასევე გარკვეული დრო დასჭირდებოდა. ადგილობრივ მაცხოვრებელთა მოგონებებით, იგი ხშირად დაიარებოდა მეუღლის საფლავზე (დეტალურად იხ.ნაშრომი „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის რედაქციით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019). აკაკი ხოშტარია ასევე ესწრებოდა რეზა-შაჰის ინაუგურაციის ღონისძიებას თეირანში 1925 წლის 15 დეკემბერს.*

იქ დარჩენილიყო. იგი უნაყოფო ბრძოლის შემდეგ სპარსეთიდან საფრანგეთში გაიქცა და იმ დარტყმის გამო, რომელიც მას სპარსეთში მიაყენეს, უეცრად გარდაიცვალა პარიზში.

ხოშტარია, ისე როგორც ყარამანი, დიდი ქველმოქმედი პიროვნება იყო და დაუფასებელ სამსახურს უწევდა თავის ქვეყანას და, რაც მთავარია, სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს. მან დიდი პატივით მიიღო 1921 წელს სპარსეთში ემიგრირებული ცნობილი ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და მისი თანმხლები პირები მთელი ერთი წლის განმავლობაში მის სრულ კმაყოფილებაზე იმყოფებოდა. ხოშტარიას შესახებ დიდი მადლიერების გრძნობით წერდა შემდგომში გიორგი მაზნიაშვილი თავის „მოგონებაში", რომელიც მან პარიზიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაწერა.

ყარამანს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა მხოლოდ 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ. იგი როგორ თებერვლის რევოლუციამდე, ისე მის შემდეგ ხალხისა და ქვეყნისათვის დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებდა და პირდაპირ საოცარია, რომ მან მეტად მოკლე დროში ბევრი საშვილიშვილო საქმის გაკეთება მოასწრო, ხოლო ძალიან ბევრი განზრახულობანი კი მისმა უდროოდ ტრაგიკულმა სიკვდილმა შეწყვიტა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დიდი სიხარული და წვლილი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. როგორც ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი ადამიანი აღფრთოვანებული იყო ყოველივე კარგი წამოწყებით, რაც კი ჩვენს ქვეყანას პროგრესის გზაზე დააყენებდა. ერთერთი ასეთი კულტურული დაწესებულება ქართული უნივერსიტეტი იყო, რომლის ფონდში მან ათასი მანეთი შეიტანა ოქროთი.

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა მოვიყვანოთ ამ საკითხზე მცირე ამონაწერი პროფ. ს. ჯორბენაძის სტატიიდან, რომელიც მან ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წელთან დაკავშირებით გამოაქვეყნა გაზ. „თბილისის უნივერსიტეტში" 1966 წლის 15 აპრილის თარიღით.

„1917 წლის 3 ოქტომბერს ნამდვილი ზეიმით შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი საერთო კრება, კრება გახსნა ივანე ჯავახიშვილმა და თავმჯდომარედ დაასახელა ექვთიმე თაყაიშვილი, რაც კრებამ ერთხმად და ტაშით დაადასტურა.

საპატიოდ თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე და იმ საქმიანობაზე, რაც გაკეთებული იყო უნივერსიტეტის გახსნისათვის. მომხსენებელი საზოგადოებამ დიდი ტაშისცემით დააჯილდოვა.

მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ კრება შეწყვიტა და მიმართა დარბაზს: ვისაც სურვილი გაქვთ წევრობისა, გთხოვთ ახლავე ჩაეწეროთ და გადასახადიც შემოიტანოთო. ბევრი გახდა იმ დღეს საზოგადოების წევრი. კრება განახლდა. წაიკითხული იქნა სია ახლადარჩეულ პირებისა. ამ სიაში იყვნენ: შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ს. კლდიაშვილი, გ. ღამბარაშვილი, პ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. ლომოური, ნ. კვეზერელი-კოპაძე, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოღაშვილი, შ. მესხიშვილი, გ. მუხაძე, თ. თიკანაძე, თ. ჯავახიშვილი, ი. მერკვილაძე და სხვანი.

8 ოქტომბერს კვლავ გაგრძელდა საზოგადოების საერთო კრების სხდომა, მას უკვე ორასამდე დამფუძნებელი და მრავალი გარეშე პირი დაესწრნენ. კრებამ ბევრი ახალი წევრიც მიიღო. აირჩია გამგეობის წევრები და წევრობის კანდიდატები. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ.

მოხსენების პირველი ნაწილი ეხებოდა უნივერსიტეტის არსებობის საჭირო სახსრებს, ხოლო მეორე ნაწილი შეეხო უნივერსიტეტის სამოსწავლო საქმის დაყენების საკითხს.

კრებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი. გ. დიასამიძის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა ი. ჯავახიშვილს, როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე დაუღალავი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

ამ დროს დარბაზში შემოსულა ყარამან კიკნაველიძე და ივანე ჯავახიშვილისათვის კონვერტი გადაუცია, თვითონ კი კრებიდან წასულა.

კონვერტში აღმოჩენილა ასი თუმანი ფულად და შემდეგი შინაარსის წერილი:

„მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს,

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება. ნება მიბოძეთ, მე, როგორც ჩვენი ერის წინმსვლელობის მომხრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად.

იმედია, თქვენის ჩვეულებრივი მუყაითობით, ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედაქალაქ ტფილისში“.

უნივერსიტეტის საჭირო სახსრების შეგროვება მთელმა ქართველმა ხალხმა იკისრა, ყველა კუთხეში იმართებოდა საღამოები, რომელთა მთელი შემოსავალი უნივერსიტეტის ფონდში შემოდიოდა. დიდძალი ფულადი სახსრები მოდიოდა საქართველოს ფარგლებს გარედ მცხო-

ვრებ არა მარტო ქართველთაგან, არამედ არაქართველთაგანაც კი. მაგალითად, საზოგადო მოღვაწე მ. გენკინი მოსკოვიდან აგზავნის შემოწირულებას 500 მანეთს, სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი 300 მანეთს, ბიბიებითის[1] ნავთის სარეწაოების მფლობელებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა 86,000 მანეთი გაიღეს ამ საშვილიშვილო საქმისათვის და სხვა.

შემოწირულებათა ასეთი მოზღვავება იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართველი ხალხი არასგზით არ გასწირავდა თავის მეცნიერების პირმშოს ქართულ უნივერსიტეტს.

ყარამანი სპარსეთში ყოფნის პერიოდშიც და სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, გაზეთ „ალიონის“ რედაქციას შეუძინა თბილისში მიწის ნაკვეთი სარედაქციო შენობის ასაგებად და მშენებლობის სახსრებიც თვითონ აიღო თავის თავზე. უნივერსიტეტის მახლობლად შეისყიდა მიწის საკმაოდ ორი დიდი ნაკვეთი (16 დესეტინა), რომელზეც განზახული ჰქონდა აეშენებინა სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი, სასადილო, კლუბი, საექიმო პუნქტი და სხვა საჭირო ნაგებობანი.[2]

შეადგინა ხარჯთაღრიცხვა საკუთარი სახსრებით კიკნაველეთიდან ბაღდათამდე კარგი მისადგომი გზის გასაყვანად.

მან პირველმა შემოიტანა ჩვენს სოფელში რკინის გუთანი, რომელიც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ხის კავთან შედარებით. ამ მიზნით ჩვენთვის ცნობილ საღორიათში მან შეისყიდა საკმაოდ დიდი მიწის ნაკვეთი და შეუდგა გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებით მიწის დამუშავებას. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინების მიზნით, გლეხობას დაპირდა უსასყიდლოდ შეეძინა მათთვის რკინის გუთნები, ვინც კი ამის მსურველი იქნებოდა.

ძვირფასი სასახლე, რომელიც მან ხალხის დახმარებით ააშენა, განკუთვნილი იყო სასწავლებლებისათვის და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი ხარჯით გაეხსნა სასწავლებელი, მო ეწვია მასწავლებლები და ეკისრა სასწავლებლისათვის საჭირო ყოველგვარი ხარჯები.

განზრახული ჰქონდა საკუთარი სახსრებით აეშენებინა 50-საწოლიანი საავადმყოფო და საავადმყოფოს მოვლა-შენახვის, მედიკამენტების, საექიმო პერსონალის ხელფასის და ყოველგვარი სხვა ხარჯებიც თვითონ ეკისრა.

---

[1] ***სწორია ბიბი-ეიბათ.***

[2] ეს და სხვა მრავალი ცნობები მომაწოდა ყარამანის ერთ-ერთმა გადარჩენილმა უმცროსმა დამ კეკემ, რომელიც ამჟამად სოფელ დიმში ცხოვრობს, რისთვის მადლობას მოვახსენებ (1973 წელს გარდაიცვალა).

ამ ძვირფასი წამოწყების მეცნიერულ დონეზე დაყენების საქმე სიხარულით იკისრა მაშინ უკვე სახელმოხვეჭილმა ექიმმა და ლიტერატორმა ივანე გომართელმა, რომლის უშუალო თანაშემწე უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ზესტაფონელი ექიმი ვარლამ საყვარელიძე.

ყარამანი თავის სოფლის ნამდვილი მოამაგე იყო და მის მიზანს, ვასილ მაჭავარიანის მსგავსად, თავისი ხალხის უანგარო სამსახური წარმოადგენდა.

ყარამანი მეტად ახოვანი და თვალწარმტაცი შესახედაობის ვაჟკაცი იყო. როდესაც ის თავისი საყვარელი რუხი ჩოხით და ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ხმლით მოკაზმული ქუჩაში გაივლიდა, გამვლელები თვალს ვერ აშორებდნენ და გაოცებით ათვალიერებდნენ ამ ბრგე ვაჟკაცს. იგი თავისი გარეგნული აღნაგობით ცნობილ „ნიკო ბურს“ (ნ. ბაგრატიონს) მოგვაგონებდა. ძალიან წააგავდა აგრეთვე შალვა დადიანსაც, ვისაც შალვა ჩოხაში გამოწყობილი ახსოვს.

ყარამანის გარეგნულ შესახედაობასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ამბავი: 1917 წლის ზაფხულში ყარამანი დედაქალაქში მისეირნობდა პუშკინის ქუჩაზე და ის-ის იყო ბაღში უნდა შესულიყო, რომ წინ გადადგომია იმ დროს პუშკინის ქუჩაზე არსებული ცნობილი ფოტო-ატელიეს, „პუშკინის“ პატრონი შიხმანი[1] და მოწიწებით მიუმართავს: თქვენო ბრწყინვალებავ, დიდო თავადო, უმორჩილესად გთხოვთ, დაგვდოთ პატივი და ჩემს ფოტოატელიაში გადაიღოთ სურათი, რომელიც გამოფენილი იქნება თვალსაჩინო ადგილზეო. ყარამანმა თურმე ირონიულად გაიღიმა ულვაშებში და ფოტოგრაფის სურვილი შეასრულა. შემდეგში მისი სურათი მთელი სიმაღლით რუხი ჩოხით და ვერცხლის ხმალ-ხანჯლით გამოწყობილი დიდხანს ეკიდა „პუშკინის“ ატელიეს პირველ შესასვლელშივე და ყველა კლიენტს იგი, თავის მეფური შესახედაობის გამო, ბაგრატიონთა გვარეულობის წარმომადგენელი ეგონა. რა იცოდნენ, რომ იგი მხოლოდ უბრალო აზნაური იყო. ყარამანის ეს სურათი მეც, ჩემი მოწაფეობისა და სტუდენტობის პერიოდში, 1920-1929 წლებში არა ერთხელ მინახავს „პუშკინის“ ფოტო-ატელიეში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაკიდებული და ყოველი მისი ნახვა ჩემში უსაზღვრო პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას იწვევდა.

ყარამანი, როგორც პიროვნება, მიუხედავად მისი ერთი შეხედვით ამაყი და ამპარტავნული გამომეტყველებისა – სინამდვილეში მეტად კაცთმოყვარე და გულკეთილი კაცი იყო. მისი ჯიბე და გული ღია იყო ყველასათვის და ძნელი ჩამოსათვლელია, თუ რამდენი კაცი დააყენა მან

---

[1] *ისააკ შიხმანი (1884-1968). https://www.photomuseum.org.ge/photographers/shikhman/shikhman–ge.htm*

ცხოვრების სწორ გზაზე. მან 1915 წლის მიწურულში 200-მდე ხელმოკლე თანასოფლელი და აგრეთვე მეზობელი სოფლელები წაიყვანა სპარსეთში ლუკმა პურის საშოვნელად და რამდენიმე წლის შემდეგ ისინი მატერიალურად საკმაოდ მოღონიერებულნი საღ-სალამათად დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს. აბა წარმოიდგინეთ, იმ დროს ამოდენა ხალხის წაყვანა სპარსეთში, მათი სამგზავრო ხარჯები, კვება, პატრონობა, დაბინავება, ჩაცმა-დახურვა და სხვა ათასი წვრილმანი რა დაჯდებოდა! მარტო ამოდენა ხალხის ვიზების აღება რამდენ ფულად ხარჯებთან და რისკთან იქნებოდა დაკავშირებული, ჭეშმარიტად მხოლოდ ყარამანისთანა ენერგიულს, ჭკვიანს კაცს თუ შეეძლო შეებედა ასეთი დიდი საქმისათვის. დღეს, როდესაც ყარამანის წარსულს ვიგონებთ, გაოცებას იწვევს მისი ენერგია და უნარი, თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია და ფაქტი ხომ ჯიუტია.

ყარამანი მეტად ფხიზელი და საღი გონების ადამიანი იყო. იგი მიუხედავად დიდი სიმდიდრისა, რომელიც მან თავისი ჭკუითა და გამჭრიახობით შეიძინა სპარსეთში, საკმაოდ ზომიერ ცხოვრებას ეწეოდა, იგი მაგარ სასმელებს არ ეტანებოდა და მას სამართლიანად თვლიდა ყველა ბოროტების წყაროდ.

იგი არ იყო ამყოლი მსუბუქი ცხოვრებისა და ზნეობრივად უთუოდ მაღალ დონეზე იდგა. ოჯახში ყველას დიდ პატივს ცემდა და განსაკუთრებით მისაბაძი იყო დედმამის მიმართ.

ჩვენ პირადად ვართ მნახველი, რომ ყარამანი სუფრას პირველი თვითონ არასდროს არ მიუჯდებოდა, პირიქით, ჯერ დედას და მამას გაუყრიდა ხელს და მიიყვანდა სუფრასთან, მერმე თავის დებს მიიწვევდა, ხოლო შემდეგ თვითონ და მისი ძმები მიუსხდებოდნენ სუფრას.

ყარამანი ქვეყნის და ხალხის სამსახურში გაჭაღარავდა და პირადი ბედნიერებისათვის არ უზრუნია. მან მხოლოდ 50 წლის ასაკში, მის შემდეგ, როდესაც ყველა თავის და-ძმებს უპატრონა და დააბინავა, შეირთო ქუთაისელი იურისტის, დავით ქვარიანის 18 წლის ულამაზესი ქალიშვილი ოლიკო. ბოროტი ხმები ამბობდნენ: თითქოს ყარამანმა დიდი ფულით მოისყიდა დავით ქვარიანი, რომ იგი დათანხმებულიყო ქალიშვილის გატანებაზეო, მაგრამ ეს ვერსია მტკნარი სიცრუე იყო, ყარამანისადმი პირადი შურით მოგონილი. პირიქით, ქუთაისში თავისი სილამაზით ცნობილი ქალიშვილი პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა ყარამანის შესახედაობით და უყოყმანოდ დათანხმდა გაყოლოდა ცოლად 32 წლით უფროს მამაკაცს.[1]

---

[1] ***ოლიკო ქვარიანზე დაქორწინებისას ყარამან კიკნაველიძის ასაკი (50 წელი) სწორი არაა. იგი 40 წლის ასაკში იქნა მოკლული. ასევე არასწორია 32-წლიანი ასაკობრივი სხვაობა ოლიკო ქვარიანსა და მის მეუღლეს შორის.***

ეს ულამაზესი ქალი შემდეგში ერთგულად ამოუდგა მხარში თავის საყვარელ ქმარს და ყველა მისი ღონისძიებისა და განზრახულობათა ცხოვრებაში გატარების უყოყმანოდ თანაზიარი გახდა.

მანუელი. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყარამანს სამი ძმა ყავდა: კოლა, შალვა და ყველაზე უმცროსი მანუელი, ოთხივენი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, მაგრამ მანუელს ყარამანის შემდეგ ვერავინ შეედრებოდა. იგი იყო მაღალი, წერწეტი, მხარბეჭგანიერი, მიმინოსებური, ჭროღა გამჭირვალე თვალებით, მეტად ლამაზი მწითური ელვარე თმებით, იყო შეუდარებლად გულადი, გაბედული ვაჟკაცი და რაიმე საქმეში უკან დახევა და შედრკომა არ ახასიათებდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ყარამანი მხოლოდ მას ანდობდა ყველაზე უფრო სახიფათო დავალებებს, რომლებსაც იგი ყოველთვის უნაკლოდ ასრულებდა. მაგალითად, როდესაც ყაზახების მეწინავე რაზმი მიუახლოვდა მაყვლარიანის სერს, მანუელი, რომელიც 10 კაცით იყო ჩასაფრებული ხევში, გრიგალივით დაატყდა თავს ყაზახებს მაუზერით ხელში და ეს თავდასხმა იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ დამფრთხალმა ყაზახებმა უწესრიგოდ დაიწყეს სროლა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ უკან საწყის პოზიციებზე. მხოლოდ სამშვიდობოზე გასვლის შემდეგ მოვიდნენ გონს და მიხვდნენ, რომ რაღაც ათიოდე კაცმა ბოლი ადინა 50 კაცს.

აფრასიონ მერკვილაძე მოხიბლული იყო მანუელის ვაჟკაცობით და დიდი სურვილი ჰქონდა, იგი თავის რაზმში გადაებირებინა, მაგრამ მანუელმა არ მოისურვა ეს და თავის სოფელში დარჩენა არჩია.

მანუელმა დაამთავრა თუ არა ქუთაისის 4 კლასიანი სასწავლებელი, დაუბრუნდა თავის სოფელს და უფროს ძმას ყარამანს ამოუდგა მხარში. იგი ძალიან ენაწყლიანი მოლაპარაკე იყო და მსმენელებს პირდაპირ აჯადოებდა. მის საუბრებში არ შეიმჩნეოდა მედიდურობა, ყოყლოჩინობა და სხვა მანკიერი მანერები, რაც ასე ხშირად ახასიათებდა სხვებს. მისი საუბრების თემა მხოლოდ მშრომელი ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხებოდა და გასაგებად განმარტავდა, თუ როგორ უნდა ეხსნათ თავი მშრომელ მასებს საძულველი ცარიზმის ბრჭყალებისაგან. ასე რომ, რევოლუციური იდეების მასებში შეტანისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ ხალხის დარაზმვის საქმეში მანუელი დიდ დახმარებას უწევდა თავის უფროს ძმას და მისი მარჯვენა ხელი იყო.

მანუელი ამასთან ერთად საუკეთესო ამხანაგი და მეგობარიც იყო. იგი ისე უყვარდა ხალხს, რომ მისი გულისათვის ცეცხლში ჩადგებოდა. იგი სულ ხალხში ტრიალებდა და ხალხის ჭირსა და ლხინს იზიარებდა. მანუელი ძალიან მშრომელი ახალგაზრდა იყო, მისი ინიციატივით დაიწყო ყარამანმა საუკეთესო სახლის აშენება, რომელიც სკოლისათვის

იყო გამიზნული. ყარამანმა და მანუელმა მართლაც ააგეს მშვენიერი ორსართულიანი სახლი კიკნაველეთში და სახლის გარეგანი ხედი და ოთახების განლაგება მხოლოდ და მხოლოდ სკოლისათვის იყო გათვალისწინებული. იცოდა რა ხალხმა ძმების ეს კეთილშობილური მიზანი, სახლის აშენებაში ყოველმხრივ მხურვალე მონაწილეობას იღებდა და დიდი მატერიალური და შრომითი რესურსები მოახმარა ამ საუკეთესო სახლის აშენებას. შემდეგში მანუელმა მთავრობის ნებართვის გარეშე, თითქმის არალეგალურად მოიწვია სოფელ ბზვანიდან უმაღლესი ცოდნის მქონე ახალგაზრდა ენთუზიასტი მასწავლებელი აკ. ნაცვლიშვილი და საკუთარი სახსრებით ეწეოდა მასწავლებლის მოწვევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს. სკოლას დაეთმო ერთი დიდი დარბაზი, თავი მოუყარეს 50-მდე ახალგაზრდას და შეუდგნენ მეცადინეობას. სკოლამ რამდენიმე წელიწადს იარსება და დიდი სამსახური გაუწია სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობას.

რამდენიმე წლის არსებობის შემდეგ სკოლა ლიკვიდირებული იქნა ხელისუფლების მიერ, როგორც უკანონოდ გახსნილი.

რამდენადაც მანუელი ხალხს უყვარდა, იმდენად საძულველი იყო იგი მეფის აგენტებისა და დამქაშებისათვის და არაერთხელ დაუპირეს მოსპობა, მაგრამ მასთან პირისპირ შებრძოლებას ვერ ბედავდნენ, ხოლო ვერაგულად სიკვდილი ვერ მოახერხეს, რადგან სოფელში მოღალატე, ცხადია, არავინ აღმოჩნდა. მაგრამ ის, რაც საქართველოში ვერ მოახერხეს, ადვილად შეასრულეს სპარსეთში და 1916 წლის 9 მკათათვეს ვერაგულად მოკლეს მაზანდარანის რაიონში სოფელ გურჯიმალაში[1], რომელიც წლისთავზე გადმოსვენებული იქნა მშობლიურ სოფელ კიკნაველეთში და 1917 წლის 23 მკათათვეს მიაბარეს მიწას 35 წლის ასაკში.

მანუელის ორი სურათი, ერთი ჩოხაში და ერთიც წითელრაზმელის ფორმაში, აგრეთვე მისდამი მიძღვნილი ლექსი მოათავსა ჩვენმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა თავისი ჟურნალის „თეატრის და ცხოვრების“ N37-ში 1917 წლის 24 სექტემბრის თარიღით.

ჟურნალში გამოქვეყნებულ ლექსს თუმცა ხალხური იერი დაკრავს, მაგრამ იგი დაწერილია მანუელის მეგობრის, ი. წითელაშვილის მიერ, რომელიც კარგად იცნობდა მანუელს, რადგან იგი მეზობელი სოფლიდან – ტაბაკინიდან იყო და ორივე ძმების დიდი გულშემატკივარი გახლდათ. აი ის ლექსი:

---

[1] ***მაზანდარანის პროვინციის აშრაფის (ამჟამინდელი ბეჰშაჰრის) რაიონის სოფელი გურჯიმაჰალე, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ მაზანდარანელი ქართველები.***

ადრე მზე-დაბნელებული

გამოგონილი ამბავი
(მანუელ სიმონის ძის კიკნაველიძის ხსოვნას)

ძღვნად სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს

ტანით ლერწამის მოცილე,
სახით მზეს უდარდებოდა,
თვალწამწამით და ღიმილით
ვარსკვლავთა ექიშპებოდა.
გულით კლდე, რწმენით ფოლადი,
შიშის ღმერთს ეჯიბრებოდა,
ქალი მის ერთხელ მჭვრეტელი
გულაფრენილი ბნედობდა.

სახელი მისი მანუელ,
ამოსულიყო სვეტადა,
ორგულთა თავზარდამცემი
ერთგულთა იყო ბედადა.
ჩაგრულებისა მალამო,
მჩაგვრელებისა ელდათა,
ძმობის და ერთობისათვის
მოძღვრებდა სოფელ-ველადა.

შავი დრო იყო მისი დრო:
მეფობდა სისხლის მწოველი,
მეფე ნიკოლოზ მეორე,
ყოველ კეთილის მშთობელი.
ვინ მოთვლის, მისი ბრძანებით,
რამდენს მიუგო დღე ბნელი...

დევნა დაუწყო მანუელს,
არ ზოგდნენ დასახვრეტადა,
ვაჟკაცმა თავი შეიდო
მტარვალთა გასაწყვეტადა.

თქვა, თუ რაღად ვარ მე კაცი,
რად დავალ სოფელ-ქვეყნადა,

თუ ბოროტების მეუფეს
თავს მივცემ ალალ-ბედადა.
ადგა და სპარსეთს გაიჭრა
ბედისა საძებნელადა:
რას არგებს კაცსა ერთ ადგილს,
შინ იჯდეს დედაბერადა.
რას გვარგებს ქედის მოდრეკა,
სხვა რომ თავს გვადგეს მტერადა?
უჯობს, არ იყოს ვაჟკაცი,
ვიდრე სხვის სახლის მხვეტადა.
მომოვლო სპარსთა მიწანი,
სთქვა: მადანია აქაო.
იხილა ქართველ სპარსელნი,
ეს ძველი დროის ლაქაო.
საიდან საით მოგზიდეს,
თავს გადაგხდიათ ჯაფაო.
ძმანო, აწ ვიცნოთ ურთ-ერთი,
ეს არის ჩვენი სარფაო.
სთქვა და შეუდგა საქმესა,
მოძღვრებდა ქართველობასა,
თვითტომთა ასამაღლებლად
შეუდგა მრეწველობასა.
ხმალი და თოფი მუდამო
არ მოგვცემს კეთილ წყობასო,
თუ შრომა, სასწორ-გუთანიც
არ გვიწევს წინამძღვრობასო.

მანუელ გურჯის სახელი
გაითქვა შორი შორადა,
სპარსეთის რაინდ-ხანები
რაცხდნენ თვის თანასწორადა.
ჩაგრულ-დევნილნი მამადა,
მუდამ გულდამწველ ტოლადა,
ბედს ანანებდა მანუელ,
მტერს გამოსულსა ბრძოლადა.
ძილი დაუფრთხათ უცხო ტომთ,
სპარსთა ქონებით მცხოვრებთა,
თქვეს: თუ არ მოკვდა მანუელ,
მზეს დაუბნელებს ჩვენ დღეთა.

მოიხმეს ავაზაკები,
მავალნი მუდამ კლდე-ღრეთა,
მუხანათობით მოკლეს და
გმირი მოსწყვიტეს მშრომელთა.

ვეღარ იხილა ვაჟკაცმა
მტარვალთ მეფობის დამხობა,
ვეღარ იხილა თვის ქვეყნის
თავისუფლება, ლაღობა.

გულგანგმირულმა ესღა თქვა:
ეგებ წამიღოთ შინაო,
მაღირსოთ ჩემი სამშობლო,
მამაპაპათა მიწაო.

ძაძით შეიმკო, ვისაც კი
ესმინა გურჯის სახელი,
მხოლოდ წლისთავზე შეიქმნა
მშობელი მისი მნახველი.
სამშობლო მიწამ მიიღო
ნაადრევათა მზებნელი,
ყვავილობს მისი ნათესი,
არ ქრება მისი სანთელი...

ი. წ-ი.

ეს გულისმომწყლელი ლექსი, რომელიც დიდი აღფრთოვანებით დაბეჭდა ი. იმედაშვილმა თავის ჟურნალში, თუმცა მთელი სისრულით ვერ ასახავს მანუელის კაცურ-კაცობას, მაგრამ იგი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა მანუელის პიროვნებაზე, მის საქმიანობაზე, მის დიდ პატრიოტიზმსა და სიყვარულზე სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა ფერეიდნელებზე, რომლებთანაც მანუელს მეტად ახლო მეგობრობა ჰქონდა და ადვილად საფიქრებელია, რომ მისი მოკვლის ერთ-ერთი მიზეზი ალბად ფერეიდნელი ქართველების გამოქომაგებაც იქნებოდა. ის ხომ ქართულ დასახლებულ პუნქტში – გურჯიმალაში იქნა მოკლული. გურჯიმალა სპარსულად ქართველების უბანს ნიშნავს და ყარამანის და მანუელის მუდმივსამყოფელი ადგილი იყო, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ძმები გურჯიმალაზე უფრო საიმედო ადგილს ვერ იშოვნიდნენ

სპარსეთში. ამიტომ იყო, რომ ყარამანს თავისი კანტორა და საცხოვრებელი სახლები ამ პუნქტში ჰქონდა. ალბათ ეს ის პუნქტი იყო, საიდანაც ტყვე ქართველებს ანაწილებდა მაზანდარანის სხვადასხვა პუნქტებში წყეული შაჰაბაზი.

ყარამანი დიდად დაამწუხრა თავისი ერთგული თანამებრძოლის, საყვარელი უმცროსი ძმის უდროოდ სიკვდილმა. იგი ფრთამოტეხილ არწივს დაამსგავსა, მაგრამ ყარამანი სულით როდი დაცემულა. მან თავისი საყვარელი ძმა ჯერ სპარსეთში დაასაფლავა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მისი ნეშტი სამშობლოში წამოასვენა.

ზესტაფონში მანუელის კუბოს ჩვენი სოფლის დიდძალი ხალხი შეეგება, დამსწრეთა გადმოცემით, დამხვდურთა რიცხვი 400 კაცამდე იყო რამდენიმე ათეული ურმით, თუმცა ხალხს კუბო ურემზე არ დაუსვენებია და 14 კილომეტრის მანძილზე, ცნობილი „მაყვლარიანის სერზე“ გადავლით, კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა და ისე მოასვენეს სახლში. უბედური მანუელის კუბოს ლოყებდაკაწრულნი და თმაგაწეწილნი შეხვდნენ თალხებში ჩაცმული მოხუცი დედა და ხუთი და, აგრეთვე რამდენიმე ათეული დათალხული ქალი. მეტად მძიმე იყო მდუღარე ცრემლებით მტირალი ქალების შეხედვა, რომლებიც კუბოს ისე დაკვროდნენ, რომ აღარ ჩანდა იგი.

მანუელის ცხედარს ორი კვირის განმავლობაში დასტიროდნენ თავს ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები. დაკრძალვის დღეს, რომელიც 23 მკათათვეს იყო დანიშნული, რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი. წარმოითქვა ბევრი გულსაკლავი სიტყვა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვასილ მაჭავარიანის, ნიკოლა კიკნაველიძისა და იონა ბაქრაძის გულშიჩამწვდომი სიტყვები. დაკრძალვის ცერემონიალი და სიტყვები გაგრძელდა გვიან საღამომდე და მხოლოდ შებინდებისას მიაბარეს მიწას უბედური მანუელის ნეშტი.

გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებდა სასულიერო ორკესტრი და მგალობელთა გუნდები, რომელთაგან ერთი ქუთაისიდან იყო მოწვეული, საუკეთესო მომღერლებით დაკომპლექტებული, ცნობილი ლოტბარის, კორნელი მაღარიძის ხელმძღვანელობით. მგალობელთა ერთი გუნდი თვით კიკნაველეთიდან იყო შედგენილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაღდათის რაიონში განთქმული მომღერალი, საუკეთესო ბანის მქონე მღვდელი ვარლამ გორგოძე.

სასულე ორკესტრი და მგალობლები მორიგეობით ცვლიდნენ ერთმანეთს და მთელი დღის განმავლობაში მათი ხმა არ შეწყვეტილა.

ასე გულმდუღარებით გამოიტირა ხალხმა თავისი საყვარელი შვილი, რომელმაც უცხო ქვეყანაში დალია სული.

* * *

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...

რუსთაველი

ნათქვამია: „კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დააღრჩოო“ – სწორედ ისე დაემართა ყარამანს. კაცმა, რომელმაც ათასი ხიფათით და ფათერაკებით აღსავსე ბობოქარი ცხოვრება განვლო, გადაიტანა აურაცხელი განსაცდელი და ჭირ-ვარამი, ათასჯერ შებრძოლებია სიკვდილს და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, დაეცა იქ, სადაც სულ არ მოელოდა, თავისივე სოფელში, თავისივე ნათესავის ხელით, რომელმაც, პირადი შურით დაბრმავებულმა, ჩაიდინა უსაშინლესი დანაშაული, სასიკვდილოდ გასწირა ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ადამიანი.

1918 წლის 6 თებერვლის ცივ და სუსხიან დილას ყარამანი, ოლიკო, კოლა, შალვა, ანეტა და მოხუცი დედა ღალატით და მუხანათურად იქნენ დახოცილნი.

ყარამანისა და მისი ოჯახის წევრების მკვლელები მხოლოდ ბრმა იარაღი იყო პირადი შურით დაბრმავებული მოღალატის ხელში.

შურმა გააკეთა თავისი შავბნელი საქმე, სოფელს ხელიდან გამოსტაცა კეთილისმყოფელნი.

ასე უსახელოდ დასრულდა ამ სახელოვანი ადამიანის ბობოქარი ცხოვრება ჯერ კიდევ შუახნის ასაკში და სოფელმა კიკნაველეთმა დაკარგა საყვარელი ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის დაიწვა, „ვითა აბედი კვესითა“.

მაგრამ, რამდენადაც ვფიქრობ, მკითხველისათვის და შთამომავლობისათვის საინტერესო იქნება, თუ რა პირობებში დაიღუპა ყარამანი და მისი ოჯახი – მე შევეცდები, მოკლედ დავწერო იგი.

როგორც ზემოთ ითქვა, ყარამანმა ძმის სიკვდილის შემდეგ მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას რეალიზაცია უყო (რაშიც დიდად დაეხმარა აკაკი ხოშტარია) და თავის უახლოეს ამხანაგებთან ერთად 1917 წლის მკათათვის პირველ რიცხვებში სპარსეთიდან საქართველოში გამოემგზავრა, თან წამოასვენა, რა თქმა უნდა, ერთი წლის წინათ ტრაღიკულად დაღუპული ძმის, მანუელის, ნეშტიც. თუ რა ტანჯვა-წამება გადახდებოდა გზაში ყარამანს იმ არეულ დროში, ამის წარმოდგენა და განსჯა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია.

ყარამანმა მოხუცი დედისა და ახლო ნათესავების დაჟინებითი თხოვნით ცოლი შეირთო და განზრახული ჰქონდა ახლა საქართველოში გაეშალა თავის კომერციული, სამრეწველო და ქვეყნისათვის სხვა სა-

სარგებლო საქმიანობა, რისთვისაც მას საკმაო ენერგიაც და ნივთიერი შესაძლებლობაც გააჩნდა და შეუდგა კიდეც საქმეს.

უწინარეს ყოვლისა, ერთ ლამაზ ამაღლებულ გორაკზე ახლო მეზობლისაგან მიწა შეისყიდა და საკმაოდ ლამაზი ხის ეკლესია ააშენა და თავისი დიდი ხნის მიცვალებული მამა ამოიღო მიწიდან და იქ დაასაფლავა, იქვე დაკრძალა მანუელის ნეშტიც, ამასთან, თავის მახლობლებთან თქვა: ეს ეკლესია მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრების საფლავებისათვის არის გათვალისწინებულიო. ზოგ ვინმეს ეს ამბავი მაინცდამაინც არ მოეწონა, განსაკუთრებით კი განაწყენდა მისივე ბიძაშვილი ონისიმე, რომელსაც ისედაც შურდა ყარამანის კარგი სახლკარი, მისი დიდი სახელი და სიმდიდრე და ყველას გასაგონათ ამბობდა: ღარიბ მეზობელს მიწა წაართვა და საკუთარი საგვარეულო ეკლესია აიშენაო, სპარსეთიდან ყაჩაღური გზით ნაშოვნი სიმდიდრე ჩამოიტანაო, მისი ძმაც იქ ყაჩაღობის გამო მოკლესო, ალბათ მეც მალე ამყრის ჩემი კარმიდამოდანო (სხვათა შორის, ონისიმეს ეზო, ვენახი და სახლი ყარამანის ეზოს ბოლოში იყო და მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა), თუ მაგას რამე არ მოუხერხეთ, მთელ სოფელს ჩაყლაპავსო. ამ დატანებაზე ვიღაც ღვთის მტერს ონისიმესთვის ენა მიეტანა, რომ ყარამანს შენი ეზო-ყურეს შესყიდვა უნდაო (თუმცა ყარამანს ეს აზრი ფიქრადაც არ მოსვლია, რადგან იგი ქუთაისში აპირებდა გადასვლას თავისი ახალგაზრდა ცოლით). ცხადია, ყარამანის ყურამდეც მივიდა ონისიმეს ეს ცილის წამება, მუქარა და პირადად სცადა მეზობლურ-ნათესაური მოლაპარაკების გზით გაეფანტა მისი ეჭვები კარმიდამოს წართმევის შესახებ და შეეწყვიტა ყარამანის წინააღმდეგ ცილისწამებები, მაგრამ ამაოდ, ონისიმემ ყარამანის ლაპარაკს ყური არ ათხოვა და დამდურებული გაშორდა მას.

ყარამანს ამ ამბისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია. იფიქრა: ჩემი ბიძაშვილია და მალე გულს მოიბრუნებსო და თავის მომავალ საზოგადო საქმიანობის გეგმების განხორციელებას შეუდგა, მაგრამ ონისიმე კი სულ სხვას ფიქრობდა და ყარამანის მოსპობის გეგმებს ადგენდა და ხელსაყრელ დროს უცდიდა.

ასე მოახლოვდა 1917 წლის დეკემბერი.

ყარამანის მეზობლად ცხოვრობდა მისივე მოგვარე ერთი ქვრივი კაცი სიმონ კიკნაველიძე, უკვე 60 წელს გადაცილებული, რომლის სამი ვაჟი (ამბროსი, პაპალა და ვლადიმერი) პირველ მსოფლიო ომში იყვნენ გაწვეულნი და სამივე თურქეთის ფრონტზე იბრძოდნენ. მამამ მათ ომამდე ქუთაისში დაამთავრებია ოთხკლასიანი სასწავლებელი და ომმაც მოუსწრო და გაიწვიეს კიდეც. ეს ბიჭები ძალიან გონება-გახსნილნი, ზრდილნი, ჭკვიანნი და ყველასათვის საყვარელნი იყვნენ, მაგრამ მათი

მამა სიმონი კი პირიქით, ზომაზე მეტად კარჩაკეტილი, უმეზობლო, მიუკარებელი და ძუნწი კაცი გახლდათ, არც სხვისი უნდოდა რამე და არც სხვას მისცემდა რამეს, არც ერთი მეზობელი არ იყო მასთან დაახლოებული. კვირეები და თვეები ისე გავიდოდა, რომ მასთან არავინ მივიდოდა, თითონაც ხომ, ცხადია, არავის ეკარებოდა იმის შიშით, რომ არაფერი მთხოვონო. ცხოვრობდა ასე განმარტოებული განდეგილივით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეტად დიდი მშრომელი კაცი იყო, ჰქონდა კარგა მოზრდილი ვენახი, რამდენიმე დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, ორი უღელი ხარი, რამდენიმე ძროხა, ხბორები, წვრილფეხა ფრინველის რომ სათვალავი არ ჰქონდა. ამასთან, არავის არ ქირაობდა, ყველაფერს თავის ხელით აკეთებდა: ხნავდა, თესავდა, ვენახს უვლიდა, ძროხებს წველიდა, ყველსაც თვითონ ამზადებდა, წიწილებს აჩეკინებდა და საჭმელ-სასმელსაც თვითონ იმზადებდა. გლეხებს ხშირად უნახავთ, რომ იგი მთვარიან ღამეში სიმინდს ამტვრევდა და ჩალას სჭრიდა, ერთი სიტყვით, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა.

ერთი სიტყვით, დიდი მშრომელი კაცი იყო და ამიტომ განსაკუთრებით უშრომელ და უქნარა ხალხს ჭირივით სძულდა. სწორედ ასეთმა ხალხმა დაუყარა ხმა, რომ სიმონი მილიონერიაო. მილიონერის რა მოგახსენოთ, მაგრამ მდიდარი და ფულიანი კაცი კი მართლაც რომ გახლდათ.

1917 წლის დეკემბრის პირველი დღეებიდანვე დიდი თოვლი ჩამოყარა, ყველა სახლში ჩაიკეტა, მაგრამ ამ გაგანია ზამთარში სიმონის მეზობლებს საქონლისა და წვრილფეხა პირუტყვის ბღავილი მოესმათ, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ როდესაც მეორე-მესამე დღეს პირუტყვის ბღავილმა და ყვირილმა ყველა მეზობელი ძალიან შეაწუხა, მაშინ ერთმა მეზობელმა ვეღარ გაუძლო პირუტყვის საცოდაობას, მივიდა შიგნიდან დაკეტილ ჭიშკართან, სიმონ, სიმონო, რამდენჯერმე გადასძახა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, გადახტა ღობეზე, გააღო ბოსლის კარები და ძლივს გამორეკა გარეთ სიმშილისა და წყურვილისაგან დაოსებული საქონელი – ცხვარი, თხა, ღორი, ფრინველი. ამ დროს სხვა მეზობლებიც მოვიდნენ, შევიდნენ სახლში, მაგრამ სიმონი არსად ჩანდა, შემოიარეს ვენახი, ხევი, ღელე და მთელი კარმიდამო, მაგრამ ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ აღმოაჩინეს. რამდენიმე ადგილას თოვლიც გადაწმინდეს, მაგრამ ამაოდ, გაქრა კაცი უკვალოდ. ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო და დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სიმონის ეზოში. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. განსაკუთრებით გულგრილად იყო სიმონის ძმის შვილი შაშია, რაც არავის გაკვირვებია, რადგან იგი ბიძას ემდურებოდა იმის გამო, რომ მაგან მამაჩემის მიწა და ვენახი წამართვაო. ეს ამბავი გაიგო ყარამანმაც, რო-

მელსაც ძალიან ეწყინა და ეთქვა: მე ყარამანი არ ვიყო, თუ ეს საქმე არ გამოვარკვიოვო.

ამ საქმეში ყველაზე უფრო ონისიმე წიწმატობდა და მრავალმნიშვნელოვნად აქნევდა თავს და ამბობდა: მკვლელი მალე დადგინდებაო, – როგორო, რომ შეეკითხნენ, – მალე გაიგებთო.

ასე გავიდა დეკემბერი და სიმონის სამივე შვილი მშვიდობით დაბრუნდნენ შინ თოფებით, ხელ-ყუმბარებით, ტყვიებით და „ნაგანის“ რევოლვერებით შეიარაღებულნი (იმ ხანებში თითქმის ყველა ჯარისკაცი ასე შეიარაღებული ბრუნდებოდა შინ).

ომში 3-4 წლით განაწამები სახლში დაბრუნებული შვილები უკვალოდ დაკარგული მამისა და გაპარტახებული ოჯახის გამო (ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი ხანგრძლივი შიმშილისა და წყურვილისაგან დახოცილიყვნენ) ძლიერ დამწუხარდნენ, აფორიაქდნენ, აბორგდნენ და შეუდგნენ მამის მკვლელის ძებნას. ამავე დროს ისე იყვნენ აღელვებულნი, რომ ამ უწყინარმა ბიჭებმა სავსებით დაჰკარგეს წონასწორობა და თავისთავისადმი კონტროლი, რომ ყველას, ვინც რამეს ეტყოდა, ბრმად უჯერებდნენ. აი სწორედ ახლა დაუდგა შურიან ონისიმეს დრო. ერთ ბნელ ღამეში საიდუმლოდ მივიდა ძმებთან და ჩაუსისინა: მე ნამდვილად ვიცი, რომ ნოემბრის ბოლო რიცხვებში მამაშენი ყარამანის და მისი ძმების მიერ უნდა იყოს მოკლულიო და სავარაუდო მოწმეებიც დაასახელა: სიმონის ძმის წული შაშია, თავისივე მეზობელი, ჯარიდან ადრე დაბრუნებული პეტრე კიკნაველიძე, აგრეთვე ადრე ყარამანის დის ანეტას მიერ ცხენდაცხენ მათრახით ნაცემი ანტონ კიკნაველიძე (რომელიც, ცხადია, დიდი მტერი იქნებოდა ყარამანის ოჯახისა).

ძმებმა პირველად არ დაიჯერეს მამის მკვლელობაში ყარამანის მონაწილეობა და დიდი ფიქრის შემდეგ ყარამანს შეუთვალეს: მამაჩემის მკვლელობა გაძარცვის მიზნით თქვენ გბრალდებათო. ამის გამო გთხოვთ, მიგვიღოთ, მოგვცეთ განმარტება და თავი იმართლოთო. ძნელად ასაღელვებელი ყარამანი ფრიად განრისხდა და ძმებს შეუთვალა: მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, ყარამანი ისე არ დაღარიბებულა, რომ კვერცხის გაყიდვიდან აღებული ფული წამერთმია მამაშენისთვისო – და მათი მიღება არ შედგა.

ონისიმესაც ეს უნდოდა და შეუდგნენ ყარამანის მთელი ოჯახის ამოწყვეტას, პირდაპირ თავდასხმა ვერ გაბედეს, რადგან ყარამანიც საკმაოდ იყო შეიარაღებული: შაშხანებით, ხელყუმბარებით, მაუზერებით, თანაც ოჯახში 5 ვაჟკაცი იმყოფებოდა: ყარამანი, კოლა, შალვა, ორი შინამოსამსახურე და მეექვსე ანეტა, რომელიც ერთ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდა.

შეთქმულები სხვა გზის ძებნას შეუდგნენ და ეს გზაც თვით ყარამანმა უნებლიეთ აჩვენა. საქმე იმაში იყო, რომ ყარამანის მეუღლე 6 თუ 7 თვის ორსული იყო, ეშინოდა რა სოფელში მშობიარობისა, ყარამანმა ქუთაისში წაყვანა გადაწყვიტა, თანაც, როგორც ახალი სიძე, მოყვრებიდანაც მიპატიჟებული იყო. ამ რიგათ ყარამანიც 1918 წლის პირველი თებერვლიდან ქუთაისში წასვლის სამზადისს შეუდგა.

რა თქმა უნდა, როგორც მოყვრობის წესია, ძვირფასი საჩუქრებით ოთხი ჩემოდანი გაჭედა და გასაგზავნად გაამზადა და თვითონაც ცოლით და ორი ძმით – კოლა და შალვათი, წასასვლელად მზადებას შეუდგა.

დასადგენი იყო, რომელი გზით წასულიყვნენ, ზესტაფონით თუ ბაღდადით. ზესტაფონამდე 14 კილომეტრი იყო მანძილი, რომელიც ცხენებით უნდა გაევლოთ, ხოლო შემდეგ ქუთაისამდე მატარებლით წავიდოდნენ და ცხენებს თავის შინა მოსამსახურეებს გამოატანდნენ უკან სოფელში. ქუთაისამდე 50 კილომეტრი უნდა ევლოთ ცხენით, გზა თუმცა ნაკლებ სახიფათო იყო, მაგრამ თითქმის 4 ჯერ მეტი და სავსებით სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ვაი თუ ფეხმძიმე ქალმა ვერ აიტანოს ასეთ დიდ მანძილზე მგზავრობაო. რაც შეეხება თოვლს, იგი ერთ მეტრს აღემატებოდა. რომელი გზიდანაც არ უნდა წასულიყვნენ, ხალხის ვიწრო გატეხილი ბილიკით უნდა ევლოთ, რომლის დროსაც ორი კაცი ერთმანეთს ძლივს თუ შეუვლიდნენ გვერდს.

ბოლოს ოჯახურ წრეში დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ 5 თებერვალს საღამოთი ბარგით დატვირთული ორი შინამოსამსახურე წასულიყვნენ ზესტაფონში, ბარგი შემნახველ საკანში უნდა შეენახათ და თვითონ ეცადათ მეორე დღემდე მათ ჩასვლამდე ცხენების წამოსაყვანად. ამასთანავე, ყარამანს რაღაც უსიამოვნო წინაგრძნობა უკარნახებდა, მათი გადაწყვეტილება, თუ რომელი გზით წასულიყვნენ, არავის გაეგო. ყარამანმა განკარგულება გასცა, კარგად შეიარაღებულიყვნენ ყველა (გარდა ცოლისა), მაუზერები ჰქონოდათ მზადყოფნაში. ამ გარემოებამ ცოლი ძალიან შეაშინა, მაგრამ ყარამანმა მალე დაამშვიდა, ქუთაისში ისეთი რიხით უნდა შევიდეთ, რომ ყველა გავაკვირვოთო.

რა ხდებოდა ამ დროს მოწინააღმდეგეთა ბანაკში? ძმებმა ანტონ და პეტრე კიკნაველიძეებმა, გარდა დამატებით კიდევ საიდანღაც 10 დეზერტირი შეიარაღებული ჯარისკაცი დიდი ნადავლის დაპირებით შეიერთეს და 15 კაცამდე გაზარდეს თავისი რაზმი. გაიგეს, აგრეთვე, რომ ყარამანი რამდენიმე დღეში ქუთაისში აპირებდა წასვლას, მაგრამ ვერაფრით ვერ დაადგინეს, რა დღეს და რომელი გზით. ეს კი აუცილებელი იყო, რათა ხელსაყრელ ადგილზე და პოზიციაზე ჩასაფრებულიყვნენ.

აქაც კვლავ ონისიმემ თქვა თავისი სიტყვა: მე წავალ ყარამანთან, თავს მოვიმდაბლებ, მოვინანიებ ჩემს დანაშაულს მასთან, მას ეს ძალიან გაეხარდება და შემირიგდება, თანაც შევაპარებ, რა გზით და როდის მიდიხარო. ამავე დროს თქვენს მუქარასაც შევახსენებ თავდასხმაზე, რათა ჩქარა გაეცალონ აქაურობასო.

თავდამსხმელებს ძალიან მოეწონათ ეს აზრი და ონისიმეს გზა დაულოცეს.

4 თებერვალს საღამოს ონისიმე პირმოთნე დარცხვენილი ეწვია ყარამანს და უთხრა: მომიტევე, ძმაო ყარამან, რაც გაწყენინე, ამ შენ საყვარელ დედას, მართა ბიცოლას გაფიცებ, მაპატიე, შემირიგდი და კვლავ საყვარელ ბიძაშვილებად დავრჩეთო. ყარამანს ძალიან გაეხარდა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა, რადგან კარგად იცოდა ონისიმეს ორპირობა, მაგრამ როდესაც დედამაც ურჩია: შერიგდით, შვილებო, ერთი სისხლი და ხორცი ხართო, ყარამანი, რომელსაც დედას დიდ პატივს სცემდა, ადგა და თვალებში ცრემლმორეულმა სიყვარულით გადაკოცნა ონისიმე, ასევე დედამ, რძალმა, ყველა და-ძმებმა გადაკოცნეს იგი. ასე და ამრიგად, გასჭრა იუდის ამბორმა, მალე შერიგების სუფრაც გაიშალა და ოჯახურ წრეში ფრიად გულახდილი საუბარი და საღღეგრძელოები წარმოითქვა. საუბარში ონისიმემ ნელნელა შეაპარა, რომ ის თავზეხელაღებული ბიჭები კარგს არაფერს გიქადიან და სანამ გული გაუგრილდებოდეთ, მცირე ხანს გაეცალე სოფელსო. ამაზე ყარამანმა უპასუხა: ჩემო ონისიმე, მე სპარსეთში ვერაფერი დამაკლეს და ეგ ლაწირაკები რას მიზამენო. მაგრამ მე ცოლის მომშობიარების გამო ქუთაისში ვაპირებ გამგზავრებას თებერვლის 6 რიცხვში დილითო, ხოლო ხვალ საღამოს ორი კაცის ხელით ბარგს ვაგზავნი ზესტაფონშიო, რადგან ბარგი ცხენებზე ვერ მოთავსდებაო. ამრიგად, ღვინო მოკიდებულმა ყარამანმა უნებლიეთ თვითონ გასცა საიდუმლო, რომელსაც სხვა უკრძალავდა. ონისიმეს დიდათ მოეწონა ეს გადაწყვეტილება, გზა მშვიდობისა უსურვა და მცირე ხნის გულთბილი საუბრის შემდეგ კვლავ ყველა დაკოცნა და ახლა უკვე საიდუმლოდ შეთქმულებთან მივიდა და კარგი ამბავი ახარა.

შეთქმულები მეორე დღეს ონისიმეს სიმართლეში სავსებით დარწმუნდნენ, როდესაც სპეციალური მეთვალყურის მეშვეობით გაიგეს, რომ ყარამანის ორი მოსამსახურე ბარგით დატვირთული ზესტაფონისაკენ გაუდგნენ გზას.

მეორე დღეს 1918 წლის 6 თებერვალს ყველაზე უფრო ვიწრო ხევში მაყვლარიანის სერის ძირში, რომელიც თოვლის ნამქერით იყო სავსე და მხოლოდ ერთი გატეხილი ბილიკით შეიძლებოდა სიარული, თავდამსხმელებმა ასეთი პოზიცია დაიკავეს: ხევის ბოლოს ხელ-ყუმბარით და

გადაჭრილი შაშხანით უმცროსი ძმა ვლადიმერი (კიტუა) ჩასაფრდა, ხევის დასაწყისში უფროსი ძმები ამბროსი და პაპალა ჩასხდნენ, გაღმა-გამოღმა 6-6 კაცი ჩასაფრდა, რომელთა ხელმძღვანელები იყვნენ ანტონი და პეტრე. ხევის სიგრძე დაახლოვებით 100-150 მეტრი იყო. ისე რომ, ასეთ რკალში მომწყვდეული ხალხი, რაც არ უნდა ბევრი ყოფილიყვნენ, მათი ბედი გადაწყვეტილი იყო.

დილის 10-11 საათზე გამოჩნდნენ მსხვერპლნი: წინ ყარამანი, იარაღში ჩასხმული, რუხი ჩოხით და ნაბდით, საუკეთესო ბედაურზე მჯდომი მოდიოდა, უკან ერთ მეტრზე დაშორებით მისი მეუღლე ოლიკო, ქალის უნაგირზე გვერდულად მჯდომი, ხოლო შემდეგ კოლია და ბოლოს უმცროსი ძმა შალვა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს წეროები მიფრინავენო.

როდესაც ყველა ალყაში მოექცა, უცბათ შუა გზაზე გადაჭრილი შაშხანით ხელში და წელზე რამდენიმე ხელყუმბარით გადმოხტა და ყარამანს დაუმიზნა თოფი უმცროსმა ძმამ ვლადიმერმა. შეცბუნებულმა ყარამანმა შესძახა: არ გაბედო, ბიჭოო, და თვითონაც მაუზერისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ მყისვე იჭექა ეგრეთწოდებულმა „დუმდუშის“ ტყვიით გატენილმა თოფმა და ყარამანი და მისი მეუღლე ოლიკო ცხენებიდან უსულოდ გადმოცვივდნენ. იმავე ტყვიით მსუბუქად დაიჭრნენ კოლა და შალვა და უმისამართოდ ისროდნენ ტყვიას, რადგან შენიღბულად ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს სრულებით ვერ უცქეროდნენ. მალე ისინიც ორ ცეცხლ შუა მოექცნენ და თუმცა ხევში ცხენებიანად გადაცვივდნენ, მაგრამ ამაოდ: ხევში ჩასაფრებულებმა ისინიც ცხენებიანად დახოცეს. ასე სულ რაღაც 10-15 წუთში ყველაფერი დამთავრებული იყო. თოვლში უსულოდ ეყარნენ ყარამანი, ოლიკო, კოლა, შალვა და ოთხი ცხენი.

შემდეგ მოცვივდნენ დაქირავებული მკვლელები და შეუდგნენ ძარცვას: ძმებს აართვეს ნაბდები, გახადეს ჩოხები და წაღები, აართვეს იარაღები, ჯიბიდან ამოართვეს ფულები. უბედურ ოლიკოს გახადეს ძვირფასი ქურქი, ჩექმა-ბოტები, წაგლიჯეს საყურეები, ძვირფასი თვალმარგალიტის ყელსაბამი მანიაკი და ბოლოს ჯერ მიდგა თითებზე, და რადგან ბეჭდების წაძრობა ვერ მოახერხეს, ხანჯლით წააჭრეს ბეჭდიანი თითები.

უნდა აღინიშნოს, ძარცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ ძმებს და დაძმარებული შეჰყურებდნენ ამ უმსგავსო სურათს.

შემდეგ მთელი ეს მკვლელთა ბრბო, ყველა თხუთმეტივე, მიუვარდა ყარამანის ოჯახს, აცვივდნენ მეორე სართულზე, სადაც ორი და, ანეტა და კეკე გრამაფონს უკრავდნენ, ხოლო დედა სპარსულ სავარძელში ჩამჯდარი, დინჯათ კრიალოსანს მარცვლავდა. მათ, რა თქმა უნდა, თავზე დატეხილი უბედურების შესახებ არაფერი იცოდნენ და

ამდენი მძარცველი რომ დაინახეს სახლში, ოქროულს და სხვა ძვირფასეულობას რომ დაუწყეს ძებნა, ოჯახის დედამ, მართა დევდარიანის ქალმა, ჯერ ტკბილათ უთხრა: შვილებო, ეს ყარამან კიკნაველიძის ოჯახია, ხელი არაფერს ახლოთ, ახლავე გადით აქედან, თორემ მას ცოცხალი ვერ გადაურჩებითო. მაგრამ როდესაც გრამაფონი და პიანინო აივანში გაათრიეს და მეორე სართულიდან ეზოში გადააგდეს, მაშინ კი იყვირა დედამ: დღესვე ყარამანს შევატყობინებ და ვაი თქვენი ბრალიო. ამ დროს წარსდგა მის წინაშე ერთ-ერთი მკვლელი და შესძახა: შენი შვილები და რძალი მაყვლარიანის ხევში ჩავხოცეთ და ახლა შენი ჯერი დადგა, შე ქოფაკოვო – ტყვია დაახალა და სული გააფრთხობინა. ამ აურზაურში ორივე დები მეზობლებში მიიმალნენ. ონისიმემ და პეტრემ ისინიც მალე მოძებნეს და მოიყვანეს. ონისიმეს ანეტა ეჭირა, პეტრეს – კეკე. ონისიმე ანეტას ამშვიდებდა: ნუ გეშინია, მე შენს თავს არავის მოვაკვლევინებო. ამავე დროს რომელიღაც უცხო მკვლელს ანიშნა, შენ მეორე მხრიდან ამოუდექი და მკლავი დაუჭირეო. ეს რომ ანტონმა დაინახა, გაიხსენა ანეტას მიერ გადაკრული მათრახები (მან ხომ შეურაცხყოფის გამო მიიღო მკვლელობაში მონაწილეობა), იძრო „ნაგანი“ და ერთი-ორი ნაბიჯიდან ესროლა ტყვია ორ კაცს შუა გაკავებულ ანეტას, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და უსულოდ ჩაიკეცა. ეს ყველაფერი უამრავი ხალხის წინაშე მოხდა, მაგრამ ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას!

მხოლოდ კეკე გადარჩა სიკვდილს, რადგან მისი მოკვლა პეტრემ არავის დაანება. ასე უღმერთოდ მოკლეს იმ დღეს ყარამანი, ოლიკო, კოლა, შალვა, მათი მოხუცი დედა მართა და ანეტა – სულ ექვსი ადამიანი.

მკვლელებმა რომ საქმე დაამთავრეს, შემდეგ შეუდგნენ ძარცვას, მთელი კუთხე-კუნჭული, სხვენი და სარდაფი გადააბრუნეს და უჭველია, რომ დიდ ქონებას წაიღებდნენ, რადგან მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ყარამანი სპარსეთიდან ხელცარიელი არ ჩამოსულა. ის მდიდარი კაცი იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ სიმონის შვილებს, მათ და სასახელოდ, ყარამანის ქონებისათვის ხელი არ უხლიათ და ერთი კაპიკითაც კი არ უსარგებლიათ. მკვლელობა კი მთლიანად თავის თავზე აიღეს და დაქირავებული მკვლელები არ დაუსახელებიათ. ვინ იცის, იმ არეულ ხანებში შეიძლება მათ არც კი იცნობდნენ ხეირიანად.

დახოცილები სოფელმა, როგორც წესი და რიგია, თავიანთ ახალ ეკლესიაში დაასაფლავეს.

მკვლელი ძმები თითქმის ყოველდღე ელოდნენ მილიციის თავდასხმას, მაგრამ ისე მიიწურა მარტის თვეც, რომ არც ბაღდადიდან და არც ზესტაფონიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, თვითონ კი ნებაყოფლობით ხელისუფლებაში არ ცხადდებოდნენ. პირიქით, სახლი გაამაგრეს და

ამბობდნენ: ცოცხალის თავით არავის დავნებდებითო. მამასახლისი კი შეშინებული ყავდათ და აბა რას გაბედავდა?!

30 თუ 31 მარტი იყო, როდესაც ერთი გლეხი მოვარდა მკვლელებთან და განუცხადა, რომ მამათქვენი ატპანის (სოფლის საყანე ადგილია ორი სამი კილომეტრით დაშორებული სოფლიდან) ღელეში ვიპოვე ნახევრად წყალში მდებარეო. შვილები და ათამდე კაცი ამბის მომტანის თანხლებით იმ წუთშივე გაიქცნენ და საღამოსათვის მამა საკაცით ჩამოასვენეს. შვილები შეუდგნენ დასაფლავების თადარიგს. ხალხს, თუმცა დიდი გულისტკივილი არ გამოუჩენია დასაფლავების საქმეში, მაგრამ შვილების ხათრით და უფრო შიშით, მაინც მხარში ამოუდგნენ მათ.

გათენდა 2 აპრილი, საკმაოდ ბურუსიანი დილა იყო, ჟინჟღლავდა კიდეც, რომ თაყა კიკნაველიძის დუქანთან 15-მდე ზესტაფონიდან გადმოსული ცხენოსანი მილიციელი გაჩერდა.

უფროსმა თაყას მკვლელების მისამართი ჰკითხა. სწორედ ამ დროს თაყამ შორიდან თვალი მოჰკრა სიმონის საშუალო შვილს, რომელსაც მესაფლავე მიჰყავდა ეკლესიაზე სამარის გასაჭრელად. თაყას არ უნდოდა გაემხილა მკვლელის ვინაობა, რადგან იცოდა, რომ ძმებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მთავრობას ცოცხალი თავით არ დავნებდებითო. ამიტომ იფიქრა, ამ ერთ ძმას მაინც გადავარჩენ ცოცხალსო და უფროსს უთხრა: აი აგერ მოდის შუათანა ძმა პაპალაო. ამ დროს მათაც დაინახეს მილიცია, ფეხი შეანელეს, პაპალა უიარაღო იყო, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და დანებდა.

მილიციამ პაპალაც და მესაფლავეც წინ გაიგდო და ასე მივიდნენ სახლამდე. ჭიშკართან და ეზოშიც ხალხი ირეოდა, დასაფლავების თადარიგს იჭერდნენ, მათში უფროსი ძმაც, ამბროსიც ერია და შეშინებული მესაფლავის მითითებით ისიც დააპატიმრეს. უმცროსი ძმა არსად სჩანდა. გაქცევის აღსაკვეთად ეზოს და სახლს ალყა შემოარტყეს.

მილიციის მოსვლისა და ძმების დაპატიმრების ამბავი რომ გაიგო უმცროსმა ძმამ, ოთახის უკანა მუხის კარები ურდულით ჩაკეტა, ხოლო თვითონ კი წინა კარები გააღო და ხელყუმბარებით კარებში ჩადგა და სროლით იმუქრებოდა, გაქცევა კი უკვე აღარ შეეძლო ალყის გამო. რამდენიმე წუთს მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, ხალხი შიშით მიწაზე იყო გართხმული. მაშინ მილიციის უფროსმა ხერხს მიმართა და უმცროს ძმას გასძახა: წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, გიგზავნი შენივე მეზობლის (მესაფლავე ზებედო კუპრაძე) ხელით შეწყალების ქაღალდს, წაიკითხე და დაგვნებდი – და კუპრაძეს რაღაც ქაღალდი შეაჩეჩა ხელში. იგი შიშით აკანკალებული წავიდა, მას კი მოკლე შაშხანიანი მილიციელი შეუმჩნევლად მიყვა უკან. როგორც ვთქვით, მეტად ბურუსიანი დღე იყო და უმცროსმა ძმამ მისკენ მიმავალი მეზობელი

კუპრაძე კი დაინახა, მაგრამ მის უკან ამოფარებული მილიციელი ვერ შენიშნა. სწორედ ამ დროს შუამავლის ზურგს უკან მდგომმა მილიციელმა უცბათ მოიმარჯვა შაშხანა და შიგ გულში დაახალა ტყვია იმ უბედურს. შემდეგ გაჩხრიკეს სახლი, წაიღეს იარაღი, ხოლო დატუსაღებული ძმები ზესტაფონის ციხეში წაიყვანეს. ამის შემდეგ კი, სულ რაღაც სამი კვირის შემდეგ, ამ საქმის ირგვლივ დააპატიმრეს ონისიმე, შაშია, ანტონ და პეტრე კიკნაველიძეები.

სასამართლოს სხდომაზე, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, მრავალრიცხოვანი მოწმეების დაკითხვის და სხვა სამხილების საფუძველზე, აგრეთვე თვით ბრალდებულთა ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგათ, ყარამანის და მისი ოჯახის წევრთა მკვლელობაში ძმებმა ამბროსიმ და პაპალამ თავი დამნაშავედ სცნეს. ამასთანავე, სასამართლოზე აშკარად განაცხადეს, რომ ჩვენ ონისიმემ ბრმა იარაღად გამოგვიყენა და ხელი გაგვასვრევინა უდანაშაულო ხალხის სისხლშიო.

ონისიმემაც, მის შემდეგ, რაც ძმებმა პირში ამხილეს მისი დანაშაული, თავი დამნაშავედ სცნო და აღიარა, რომ სიმონის შვილები ყარამანის წინააღმდეგ მე წავაქეზე, რადგან ყარამანი თავისი ეზოს გაფართოების მიზნით ჩემი კარმიდამოდან აყრას მიპირებდაო. გარდა ამისა, მე დიდათ ვარ ნაწყენი მისგან იმის გამო, რომ მან სპარსეთში არ წამიყვანა სამუშაოდ, მაშინ როდესაც სხვა ჩემზე უფრო უცოდინარი ხალხი წაიყვანა და ფული აშოვნინაო. რაც შეეხება სიმონის სიკვდილს, იგი მის ძმისწულს, შაშიას გადააბრალა.

თავისი დანაშაული ბიძის მკვლელობაში შაშიამ უარყო და განაცხადა: თუმცა ბიძაჩემმა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემი კუთვნილი მიწები მიითვისა და მე იგი ძალიან მძულდაო, მაგრამ ჩემი საყვარელი ბიძაშვილების გამო ბიძის სისხლში ხელს როგორ გავისვრიდიო, მით უმეტეს ვიცოდი, რომ ჩემი ბიძაშვილები მათი მამის სიკვდილის შემდეგ წართმეულ მიწებს დამიბრუნებდნენო. დასასრულს დასძინა, რომ ყარამანისა და მისი ოჯახის წევრების მკვლელობა ბოროტი და შურიანი ონისიმეს საქმეა და ბიძაჩემიც მისი მოკლულიაო. ჩემი დანაშაული ის არის, რომ ონისიმეს განზრახვები მე ყველა ვიცოდი, იგი მენდობოდა, ყველაფერს მეუბნებოდა და ისე ვყავდი ხელში ჩაჭერილი, რომ არ მეყო გამბედაობა, ყარამანი წინასწარ გამეფრთხილებინა და ექვსი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე გადამერჩინა, რისთვისაც მე სასტიკი სასჯელის ღირსი ვარო.

სასამართლომ 1918 წლის ივნისის თვეში ყველა ბრალდებულს 10 დან 15 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ, 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, ამნისტიით განთავისუფლდნენ.

იუზა ხაზარაძე

ბუდეაშლილი არწივები[1]

ცხოვრება დიდი ჭაპანწყვეტით მიიზლაზნებოდა. დრო ყველაფერზე თავის კვალს ტოვებდა.

თბილისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევისათვის ქართველი მამულიშვილები ხანგრძლივი დროის მანძილზე გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდნენ. ბოლოსდაბოლოს საქმე იქამდე მივიდა, 1917 წლის 3 ოქტომბერს უკვე ო კრებაც შედგა.

კრება 8 ოქტომბერსაც გაგრძელდა, რომელსაც ესწრებოდნენ ღირსეული მამულიშვილები ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, აკაკი შანიძე, ილია ზურაბაშვილი და სხვები.

შეკრებილთ წინაშე მოხსენებით კვლავ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა. მას დიდი გულდაჯერებით მოუსმინა დარბაზმა და თაოსნობისათვის ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოეს.

აღტაცებისა და ოვაციების ტალღა ჯერაც არ იყო დამცხრალი, როცა დარბაზში ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ფართო მხარბეჭიანი ერთი მამაკაცი წამოდგა, ნაბადი მხრებზე მოხდენილად გაისწორა და პრეზიდიუმისაკენ გაემართა. ყველას აინტერესებდა, თუ ვინ იყო ეს პიროვნება და თვალს არ აცილებდნენ მის მოხდენილ ნაბიჯებს, გამართულ, რაღაცნაირ მიმზიდველ სიარულს. იგი ივანე ჯავახიშვილთან მივიდა, ბოდიშის მოხდით ცოტა მძიმე, უჩვეულო კონვერტი გადასცა, ზედმეტი რევერანსების გარეშე მადლობის ნიშნად თავი მძიმედ დახარა და უკან გამობრუნდა.

დარბაზში მსხდომთა ინტერესი კიდევ მეტად გაძლიერდა. ყველა ფიქრობდა, თუ ვინ იყო ეს ბრგე, მხარბეჭიანი მამაკაცი და თვალს არ აცილებდნენ მის ვაჟკაცურ შესახედაობას. იგი კრებიდან წავიდა. ცნობისმოყვარეობამ ყველა დამსწრეში იჩინა თავი და თითოეულმა მათგანმა მხოლოდ ეს ინატრა: ნეტავ ვინ იყო იგი, ანდა რას თხოვდა პრეზიდიუმს.

ხალხის გულისთქმას თითქოს ივანე ჯავახიშვილიც მოუხვდა, კონვერტიდან ბარათი ამოიღო, გაშალა და ხმამაღლა, დარბაზის გასაგონად კითხვა დაიწყო. დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ხმასაც გაიგონებდით.

---

[1] გაზ. ბაღდათი. 1990 წ., 2, 4, 7, 9 აგვისტო (N92, 93, 94, 95).

„ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა დაუდგა. ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩვენი ერის წინმსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროული დახმარება მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი), ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად. იმედია, თქვენის ჩვეულებრივი მუყაითობით, ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედაქალაქ ტფილისში.

დავშთები მარადის თქვენი პატივისმცემელი!

ყარამან სოლომონის ძე კიკნაველიძე.

ღვინობისთვის 8, 1917 წ.“

დაამთავრა თუ არა ივანე ჯავახიშვილმა წერილის წაკითხვა, დარბაზში ერთბაშად ტაშმა იგრიალა. ასეთი სოლიდური შემოწირულობისათვის შეკრებილებმა ყარამანს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

– თქვენი ხანგრძლივი ტაში იმის დამადასტურებელია, რომ მადლობა გამოვუცხადოთ ამ კეთილ და ერის წარმატებით მოტრფიალე ადამიანს ყარამან კიკნაველიძეს. ვფიქრობ, ასეთი მამულიშვილები კიდევ ბევრი გვეყოლება. ამ დიდი საშვილიშვილო საქმისათვის, დიდი ტაძრისათვის ერთი სანთელი მან აანთო, – თქვა გულთბილი თანაგრძნობით აღფრთოვანებულმა ივანე ჯავახიშვილმა, რასაც დარბაზი კვლავ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგება.

ამ ინციატივამ შეკრებილ საზოგადოებას მართლაც ისეთი სტიმული მისცა, რომ აღანთო სურვილით, თვითონაც მიეღო მონაწილეობა ასეთ მამულიშვილურ საქმეში. ბევრმა იმ დღესვე დაუჭირა მხარი ყარამან კიკნაველიძეს და ვის რა შეძლება ჰქონდა ფულადი შემოწირულობისა, ის უბოძა, გაიღო ამ საშვილიშვილო საქმის დასაგვირგვინებლად, ზოგი იქნებ მცირედიც იყო, მაგრამ რამდენიმე კეთილი გულით იყო მიძღვნილი.

ხალხი დიდ მოსიყვარულე ვაჟკაცად, დაუცხრომელ მეცენატად იცნობდნენ ჩვენს თანამემამულეს ყარამან კიკნაველიძეს არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ საქართველოში. საზოგადოებაში იგი ისეთი პატივისცემით სარგებლობდა, რომ ერთხელ, როცა თბილისში პუშკინის ქუჩაზე, ის-ის იყო ბაღში უნდა შესულიყო, რომ წინ გადაუდგა ფოტოატელიეს პატრონი და მოწიწებით მიუმართავს:

– თქვენო ბრწყინვალებავ, დიდო თავადო! უმორჩილესად გთხოვთ, დაგვდოთ პატივი და ჩემს ფოტოატელიეში გადაიღეთ სურათი, რომელიც გამოფენილი იქნება თვალსაჩინო ადგილზე.

ყარამანს ირონიულად გაუცინია, ფოტოგრაფს სურვილი შეუსრულა. მართლაც მალე ფოტოატელიეში ქართველ მოღვაწეთა და წარმოსადექი თავადების გვერდით, რამდენიმე წლის მანძილზე ყარამანის დიდი სურათიც იყო გამოფენილი და იქ ჩავლილი ქართველი მანდილოსნები ტკბებოდნენ მისი ვაჟკაცური შესახედაობით, ელეგანტურობითა და განუმეორებელი სილამაზით.

საინტერესოა, როგორ წარიმართა ქვეყნისათვის ასეთი თავდადებული კაცის ცხოვრება.

* * *

1900 წლის შემოდგომა იწურებოდა.

საამოა საცქერლად ამ დროს იმერეთი, მით უმეტეს, შემოდგომისას.

შემოდგომის ტკბილ საღამოს უეცრად ამოვარდნილმა ქარმა ზუზუნით გადაუარა სოფელ კიკნაველეთს და ხის სახლები აკვანივით გადაარწია.

მძიმედ დატვირთული ურმები ზლაზვნით მიჭრიალებდნენ სოფელში და თავისებურად აფხიზლებდა გზებს. მამლის ყივილი და ძაღლების გაუთავებელი ყეფა ხან სოფლის ერთი კუთხიდან მოჰქონდა ქარს, ხან მეორედან.

როგორც იქნა გვიან ღამით ჩადგა ქარი. ახლადამოსულმა მთვარემ დღესავით გაანათა არე-მარე და მეტი სილამაზე შესძინა სოფელს. „ეს სოფელი დიდათაა დაჯილდოებული ბუნებისაგან, – წერს ჟურნალი „კვალი“ 1899 წელს, – მშვენიერი ჰავა, კარგი, წმინდა ანკარა წყაროები და დაბურული ხე-ტყე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, მაგრამ საუბედუროდ, ვისთანაც უნდა მიხვიდეთ, ყველგან შეხვდებით ძველებურ სახლს, ჭვარტლით სავსეს და მასთან ქუბით დახურულს. ნუთუ ამისთანა ალაგას კაცმა ვერ უნდა ისარგებლოს მით, რაც მისთვის ბუნებას უხვად მიუცია... უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას შეადგენენ კიკნაველიძეები, რომლებიც აზნაურის შვილობას ჩემულობენ და ძიებაში არიან“.

ბევრი აზნაურიშვილობას არ უყურებს და შრომობს თავდადებით.

გვიან ღამემდე არ ეძინა გამრჯე, ხელმოკლე აზნაურს სოლომონ კიკნაველიძის ოჯახს. მართას ძროხები კარგა ხანია მოეწველა და ახლა ბუხრის პირას ჩაცუცქული ყველის ამოყვანაში გართულიყო. სოლომონს ეზოში ქარისაგან მიმოფანტული ჩალის ფოთლები შეეკალიფებია და ახლა თავმოყრილი ხელში მომარჯვებულად აკრიფა და ბოსლისაკენ გაემართა.

ცხრა შვილის პატრონს, მართა და სოლომონ კიკნაველიძეებს აბა რა მოასვენებდათ და გათენებიდან გვიან ღამემდე გაუთავებელ შრო-

მა-ფუსფუსში იყვნენ. წამოიზარდნენ თუ არა შვილები, წამოეშველენ და საქალო საქმეს საგრძნობლად უადვილებდა ხუთი ქალიშვილი, რომელთაგან ზოგი რეცხავდა, ზოგი ოთახს ჰგვიდა, ალაგებდა, ზოგიც მჭადს აცხობდა.

ვაჟებიდან სასულიერო სასწავლებელდამთავრებული ყარამანი ოჯახს დაუბრუნდა, მთელი დღე მამას უდგა მხარში და ქანცგამწყვეტ შრომას მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა: თუ ვაზს უვლიდა, თუ არადა სამასალე მორებს და შეშას ეზიდებოდა შორეულ ტყიდან.

მთელი დღის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ ყარამანი დროს იშოვნიდა თუ არა, გრიგოლ მაჭავარიანის საოჯახო ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს გადაშლიდა და შუაღამემდე გატაცებით კითხულობდა. მანუელი და ანეტაც უფროს ძმას ბაძავდნენ და წიგნებს თუ ჟურნალ-გაზეთებს ისინიც ძალზე ეტანებოდნენ – გვიან ღამემდე კითხულობდნენ.

სოფლის კეთილდღეობითა და წინსვლით დიდათ იყო გატაცებული ყარამანი და სულ იმის ფიქრში იყო, რა გაეკეთებინა, რა შეემატებინა მისთვის. ერთხელ გვიან, ნავახშმევს, ის იყო დასაძინებლად ემზადებოდნენ, რომ ყარამანმა თავის ძმას განზრახვა გაანდო:

– მანუელ, სამრევლო სკოლა, რომელიც ჩვენ სოფელში აგერ რვა წელია არსებობს, საფუძვლიან ცოდნას ვერ აძლევს ჩვენს მოზარდებს. ამ მხრივ სამინისტროს სკოლები უკეთეს შედეგს იძლევა. რას იტყვი, ხომ არ აჯობებს სოფელში სამინისტროს სკოლა გავხსნათ?

– ღმერთმა გიშველოს, ეს კარგია, ჩემო ყარამან, მაგრამ მაგის მოგვარება ადვილი საქმე როდის. ქუთაისის მაზრის ბარის სოფლებში თითზე ჩამოსათვლელია ასეთი სკოლები, მთიან სოფელში კი არა, ასეთი სასწავლებელი ვარციხელებსაც ვერ გაუხსნიათ, – უპასუხა მანუელმა და გული რომ არ გაეტეხა ძმისათვის, სარწმუნოდ უთხრა: – თუ მოინდომებ, დაუძლეველი არაფერია!

– ვიცი, რომ ძნელია, მაუწვდომელსა და მიუკერძოებელს რომ გააკეთებ, ვაჟკაცობაც ისაა, თორემ ადვილ საქმეს ყველა დაძლევს... რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მივაღწიო.

– თუ საჭირო გახდება, მეც შენთან მიგულე! – დააიმედა მანუელმა ძმა.

მეტისმეტი მონდომებით ზრუნავდა ყარამანი სოფელში სასწავლებლის გახსნისათვის. ვინ არ შეაწუხა ქუთაისის სასწავლებელთა ოლქის დირექციაში, ვინ არ ჩარია საქმეში, რათა მიზნისათვის მიეღწია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერს გახდა, მხოლოდ დაპირებები იყო, საქმე კი არსად ჩანდა.

სოფელში „ჩვენ ბედიღბალზე მხოლოდ ერთადერთი სამრევლო სკოლა გვაქვს, – წერდა „ივერიაში“ ვლადიმერ კიკნაველიძე, – რომელ-

შიც 35 მოსწავლეაო. კარგი იქნება, რომ სოფელმა იზრუნოს და ერთი სამინისტროს სკოლა დააარსოს... სოფელში ორასზე მეტი კომლია და ამოდენა სოფელს არ უნდა გაუჭირდეს ერთი რიგიანი სკოლის დაარსება თავიანთი შვილების აღსაზრდელად".

წერდა რა ამას ვლ. კიკნაველიძე, თითქოს ვინმეს აქეზებდა, რათა ინიციატივა აეღო და თავდადებით ეზრუნა ახალი სასწავლებლის გახსნისათვის. გაზეთში ამის წაკითხვამ ყარამან კიკნაველიძეს მიზნის მიღწევის სურვილი კიდევ მეტად გაუძლიერა.

1902 წლის ზამთარი იდგა.

თოვლი ბარდნიდა არე-მარეს.

ადრიანად გამოღვიძებულ ყარამანს ერთი ფიქრი აეკვიატა და გუმანით სულ იმაზე მსჯელობდა, ფიქრობდა, როგორი პრინციპით გაეკეთებინა მარტივი კონსტრუქციის მექანიკური პირსაბანი, რომელიც მსუბუქიც იქნებოდა, თანაც პატარა ადგილს დაიკავებდა. ფიქრებში ჩაფლულ ყარამანს თავში იმდენი ვარიანტი წარმოესახა, რომ მარტო იმ ღამით კი არა, მთელი თვეები ფიქრობდა იმაზე, თუ რომელი ვარიანტი დაემუშავებინა. ამ საქმეს ყარამანმა, ბოლოსდაბოლოს, დაადგა თავი და თავისი ახალი გამოგონებით კომისიის წინაშე წარსდგა:

„ტაშტის ჩასადგმელი კრკალი კედელზე დამაგრდება ერთი ლურსმნით. იგი ისე უნდა მიმაგრდეს კედელზე, რომ შეიძლებოდეს მისი აკეცვა, – უხსნიდა კომისიას ყარამანი, – წყლის ჩასასხმელი ცილინდრი ღერძზე ისე უნდა გაკეთდეს, რომ საჭიროებისამებრ ტრიალებდეს. ცილინდრს გაუკეთდება ტუჩიანი ძაბრი, რომელიც ერთსა და იმავე დროს წყლის ჩასასხმელიც იქნება და გადმოსასხმელიც. წყლის გადმოსასხმელად გამოიყენება ჯაჭვი, რომლის ერთი წვერი ჩაბმული აქვს ცილინდრის ქვემო ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილი – ფეხის დასადგმელს. ეს ჯაჭვი ცილინდრს გადმოატრიალებს და წყალი გადმოვა. ხოლო თუ ფეხს აუშვებ, წყლის სიმძიმით ცილინდრი ისევ გადაბრუნდება და დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას.

გამოგონება ისეთი მოხერხებელი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი გახდა, რომ ბატონ ყ. კიკნაველიძეს პრივილეგია ერგო და მოკლე ხანში ამხანაგობის შედგენას აპირებდა პატარა ქარხნის მოსაწყობად" (გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1902 წელი, 19 აგვისტო).

კომისია ყარამანმა დაარწმუნა გამოგონების სიკეთეში და დაუმტკიცეს კიდეც მისი გამოშვება.

ამითაც არ დაუმთავრებია პირსაბანზე მუშაობა ყარამანს და ვიდრე სერიულად გამოუშვებდნენ, იგი კიდევ რამდენადმე დახვეწა, დაამუშავა. სოფელ კიკნაველეთის მცხოვრებ ყარამან კიკნაველიძეს თავის მიერ გამოგონილი ხელსაბანი ბევრად გაუუმჯობესებია. ხელსაბანი

ახლა ასაწევ-დასაწევია. ასე რომ, როგორც დიდს, ისე პატარას შეუძლია მით სარგებლობა. შეიძლება მისი როგორც კედელზე მიკიდება, ისე ყოველ ადგილას დადგმა. ხელსაბანი ეხლა უფრო მრგვალია და ნიკელისაგან კეთდება, რომელსაც ჟანგი არ ეკარება. ხელსაბნის საკეთებლად ბ-ნს კიკნაველიძეს გაუმართავს საკუთარი სახელოსნო ბალახვნის ქუჩაზე, რიონის პირას, სადაც საწყობიც აქვს გამართული. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ბ-ნმა კიკნაველიძემ მეორე მანქანაც გამოიგონა, რომლის საშუალებითაც აუზიდან ჯერ მაღლა აჰყავს წყალი, იქედან წყალი ისხმება დიდ ბოჭკაში, საიდანაც გადის და აბრუნებს ბორბალს. შემდეგ ეს წყალი ისევ პირველ აუზში ისხმება, ისევ მაღლა ადის და სხვ. ამგვარად, ერთსა და იმავე წყლით ბორბალი მოძრაობაშია. ჯერ ამ მანქანას ბევრი რამ აკლია, მაგრამ, იმედია, მალე დამთავრდება და ყველა დავინახავთ, თუ რა შეუძლია ადამიანის ბუნებრივ ნიჭს. სანიმუშო მანქანა ბ-ნ კიკნაველიძეს რიონის ნაპირსავე აქვს გამართული, სადაც ბევრი ხალხი დადის მანქანის სანახავად. ბ-ნ კიკნაველიძეს ძლიერ ხელს უმართავს ფულით ქუთაისში ცნობილი ვაჭარი ნ. ჯანელიძე, რომელიც თურმე ხარჯს არ ზოგავს მანქანის გასაუმჯობესებლად („ცნობის ფურცელი“, 1903 წლის 11 დეკემბერი).

მოპოვებულმა წარმატებებმა და ხალხის ყურადღებამ კიდევ მეტად გააძლიერა ყარამან კიკნაველიძის ინტერესი გამოგონების სრულყოფისადმი, რისთვისაც ბევრს მუშაობდა მის გაუმჯობესებაზე. ამით კი იქმნებოდა იმის პირობები, რათა მეტი პროდუქცია გაესაღებია. მის შექმნაზე უამრავი შეკვეთა მოდიოდა. „ხელსაბანი იწონის მხოლოდ 12 გირვანქას. შიგ ჩადის ერთი ვედრო წყალი. მოძრაობაში მოდის ფეხის საშუალებით, ნამეტურ კარგია ხელსაბანი თავის დასაბანად. ღირს სამი მანეთი“. ბ-ნ კიკნაველიძეს ხელსაწყოს გასავრცელებლად უკვე მიუღია პრივილეგია, რომელიც გადაუცია ბ-ნ ჯანელიძისა და გოცირიძისათვის იმ პირობით, რომ წმინდა მოგების ნახევარი მას მისცენ. უკანასკნელთ ხელსაბანის რამდენიმე ასი ცალის გაკეთება შეუკვეთიათ მოსკოვის ერთი ზავოდისათვის. ოლდენ ბურგელ პრინცის კამფეტის სამზადებელ ფაბრიკას გაგრაში, მაგალითად, შეუკვეთია მათთვის 300 ცალი ხელსაბანი, ათი ცალი უკვე გაუგზავნიათ გაგრაში, რომელიც იქ ძლიერ მოსწონებიათ („ცნობის ფურცელი“, 1903 წლის 13 თებერვალი).

ყარამან კიკნაველიძემ ამ გამოგონებით მთელ საქართველოში იმდენად გაითქვა სახელი, რომ სადაც კი გამოჩნდებოდა – ქალაქში თუ სოფელში, ყველგან დიდი მოწიწებით ხვდებოდნენ. სოფელში სასწავლებლის გახსნა კიდევ უფრო მეტად მოინდომა ყარამანმა, მაგრამ მხარში ამომდგომი არავინ ჰყავდა, მაშინ, როცა სოფელში არსებულ საეკლესიო სამრევლო სასწავლებელზე სოფლის მშრომელებიც გულგატეხილი

იყვნენ. ეს ყველაზე მეტად მაშინ გამოვლინდა, როცა ყარამანმა ხალხს სამინისტროს სკოლის გახსნაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ამის თაობაზე გაწამებულმა ხალხმა ყარამანს ასე უპასუხა:

– რვა წელიწადია, ბატონო, სკოლა არსებობს და გარდა ერთი მასწავლებლისა (იგულისხმება ცნობილი პედაგოგი, ხოლო შემდეგში გაზეთ „ვარსკვლავის“ გამომცემელ-რედაქტორი სერგო ჯინჭველაშვილი – ი. ხ.), რომელმაც ორი წელიწადი დაჰყო ჩვენს სოფელში და სარგებლობაც მოგვიტანა, სხვას არავის ორ-სამ თვეს არ მოუცდია და რა ნაყოფი უნდა მოეტანა. გარდა ამისა, ისეთი მასწავლებელი არავინ მოგვივიდა, რომ ნამდვილი კეთილი მოღვაწე ადამიანი ყოფილიყო და ეზრუნა სოფლის კეთილდღეობისათვის, ხოლო ისეთები მოდიოდნენ, რომელთაც უფრო თავიანთი პირადი ანგარიშები აწუხებდათ: ზოგს სალდათობისაგან თავის დახსნა უნდოდა, ზოგს დიაკვნობა და ზოგს კიდევ სხვა რამ, თორემ ჩვენი შვილების სწავლებისათვის თავს არავინ იცხელებდა. სწავლის ფულს ვიხდით, ხარჯს ვსწევთ და ჩვენმა შვილებმა "ია“ და „თითის“ მეტი ვერაფერი ისწავლაო. დღეს ჩვენ გული გაგვიტყდა და ბავშვებს სკოლაში აღარ ვგზავნით“ („ივერია“, 1903 წლის 25 ოქტომბერი).

ასეთი მტკიცე წინააღმდეგობის შემდეგ ყარამანმა გული მაინც არ გაიტეხა და ვინაიდან სოფელში მხარში ამომდგომი ვერავინ იპოვა, ახლა ისევ თვითონ ყარამანმა იტვირთა საქმის ბოლომდე მიყვანა და ქუთაისის სასწავლებელთა ოლქის დირექტორს ეწვია.

– დიდ ბოდიშს გიხდით, ბატონო ყარამან, მაგრამ თქვენი თხოვნის შესრულება ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ცოტა არ იყოს გვიჭირს. მთიან სოფელში კი არა, ბარშიაც ძალზე ბევრ სოფელში ჯერ-ჯერობით ვერ ვხსნით სკოლებს, – უპასუხა კარგახნის საუბრის შემდეგ დიდის მორიდებით ყარამანს ქუთაისის სასწავლებელთა ოლქის დირექტორმა.

დირექტორის ამ სიტყვებმა კინაღამ ხელი ააღებინა ყარამანს განზრახულის შესრულებაზე, მაგრამ როცა გაიფიქრა: ხალხის დანაპირები თუ არ შევასრულე, სოფელში ვერ გამოვჩნდებიო, ისევ გაბრძოლება სცადა. ამ ფიქრებში რომ იყო, უცებ ყარამანს ჯიბეში ხელი მოხვდა ძმისათვის ნაყიდ ძეწკვიან საათზე და გაიფიქრა: მოდი ამას ვაჩუქებო.

– ბატონო ჩემო, გასაჭირი რომაა, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ რაღაც საშუალება უნდა გამოინახოს. ძვირფასო ნიკოლოზ ვიქტორის ძევ, ჩვენი სოფლის ბავშვებმა დამაბარეს თქვენთვის მომელოცა დაბადების დღე, რომელიც ამ დღეებში შეგისრულდათ და პატარებმა მცირე საჩუქარი გიბოძეს. ვფიქრობთ, არ გააწბილებთ პატარებს, – უთხრა მოხერხებულად ყარამან კიკნაველიძემ და ჯიბის საათი გადასცა.

ასეთი დაფასება იმდენად ესიამოვნა სასწავლო ოლქის დირექტორს,

რომ კიდევ მეტად დატკბა და ახლა თვითონ ეძებდა მდგომარეობიდან გამოსავალს.

– ბატონო თავადო, დიდად მადლობელი ვარ, პირადად თქვენი და პატარა ბავშვებისა, რომლებმაც დაბადების დღე მომილოცეს! – უპასუხა ტროიცკიმ და ცოტა ჩაფიქრების შემდეგ, უფრო მორიდებით განაგრძო. – თუ რაიმე დახმარება იქნება სოფლიდან, რათა სოფელმა შკოლის შენობა მაინც დაიქირაოს და ინვენტარი შეუძინოს, მაშინ საკითხს უფრო ადვილად გადავწყვეტთ.

– მე თვითონ ვსწირავ ადგილს ღირებულს ათას მანეთად, ავაგებ ისეთ შენობას, რომ ორკლასიანი სკოლისათვისაც გამოდგეს. ამასთან, სკოლის მოწყობასაც მე ვკისრულობ. ამას გარდა, განათება, შეშა და მოსამსახურეც ჩემი იყოს, მხოლოდ მასწავლებელს დაენიშნოს ჯამაგირი ხაზიდან, – უთხრა აღფრთოვანებულმა ყარამანმა და საწადელს რომ მიაღწია, ახლა კი მხნედ დაბრუნდა სოფელში („ივერია“, 1903 წლის 25 ოქტომბერი).

ასეთი პირობების დადების შემდეგ ყარამანს ნება დართეს სკოლის გახსნაზე. 1903 წლის 19 ოქტომბრის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინებოდა: „თითქმის რვა წელიწადია ჩვენს სოფელში (იგულისხმება სოფელ კიკნაველეთში, დღევანდელ საკრაულაში – ი. ხ.) არსებობს სამრევლო სკოლა (იგი 1895 წელს დაარსდა – ი. ხ.). სკოლაში ორიოდე მოსწავლეა, ამის მიზეზი ისიც არის, რომ პირველ ამ თვიდან დაარსდა სამინისტროს სკოლა, სადაც ბავშვებს უფასოდ ასწავლიან. ამ სკოლისათვის შენობა თავისი ხარჯით დაიქირავა და მოაწყო აქაურმა მცხოვრებმა ყ. ს. კიკნაველიძემ“.

სავალალოდ, გამოჩნდნენ ისეთი მშობლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ სასწავლებელში ჩვენს ბავშვებს არ გავაგზავნითო. მარტო თვითონ კი არა, სხვებსაც ჩააგონეს: „როგორ შეიძლება, ჩვენ არაფერი გადავიხადოთ, უთუოდ გვატყუებენ და როდესაც ბავშვებს სკოლაში შევიყვანთ, ყოველ ხარჯს ჩვენ მოგვახვევენო“ („ივერია“, 1903 წლის 24 ოქტომბერი).

სოფლის მშრომელთა ასეთი წარმოდგენა რომ გაექარწყლებინა, სკოლის გახსნისას ყარამან კიკნაველიძეს ხალხს განუცხადა:

– ბატონებო! ჩემო თანასოფლელებო! სხვების ხმას და ჭორს ნუ აყოლიხართ, სკოლის შენობა ყოველმხრივ მზად გვაქვს, მასწავლებელიც დაგვენიშნა, რომელსაც ჯამაგირი ხაზიდან მიეცემა, თქვენ კი არაფერი გადაგხდებათ, სხვას ყურს ნუ უგდებთ და ბავშვები შემოიყვანეთ სკოლაში.

ამ სიტყვების სამართლიანობაში კიკნაველეთელი მშრომელები მაშინ უფრო დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივმა მამასახლისმა კ. კელენჯერიძემ საზოგადოებას სახალხო სკოლებისა და ბოქაულის მიწე-

რილობანიც წაუკითხა, რომლითაც ატყობინებდა საზოგადოებას, რომ მათ არაფერი გადახდებათ. ამის შემდეგ ხალხმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ყარამან კიკნაველიძეს ასეთი თანადგომისა და სოფლის დახმარებისათვის. ამ დღიდან 50 ბავშვი სწავლას შეუდგა. მასწავლებლად ახალგაზრდა პედაგოგი აკ. ნაცვლიშვილი გამოგზავნეს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ბავშვებთან მეცადინეობას და მშობლებიც მისი კმაყოფილი იყვნენ.

სკოლის გახსნა ყარამან კიკნაველიძეს ოთხი ათასი მანეთი დაუჯდა და ყოველწლიურად 120 მანეთს ხარჯავდა სკოლის შესანახად. ყარამანი მარტო ამასაც არ დასჯერდა, ღარიბსა და ობლებს შემწეობა აღმოუჩინა და სასწავლო ნივთები თვითონვე შეუძინა. ყარამან კიკნაველიძე არც ამით დამცხრალა, არ დაუყრია ფარ-ხმალი და იმ დღიდან შეუდგა სკოლის ახალი შენობისათვის მასალის დამზადებას. დიდი ზრუნვის შედეგად სამ თვეში სკოლის ახალი შენობაც მზად იყო. ასეთი შემწეობისათვის ყარამან კიკნაველიძე მთელმა სოფელმა შვილივით შეიყვარა და ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. სკოლა ყარამანს ყოველდღიური ყურადღების ცენტრში ჰქონდა, თუკი რამე დასჭირდებოდა, ყოველგვარ შემწეობას უწევდა, რის გამოც იზრდებოდა სწავლის მსურველთა ნაკადი – სკოლის გარეშე არც ერთი ბავშვი არ ჩერდებოდა.

სწავლა-განათლების ეს ერთი ჩირაღდანი, რომელიც ყარამან კიკნაველიძემ აანთო, ახლაც გიზგიზებს.

* * *

1905 წელი იდგა.

რევოლუციის მღელვარებამ ისეთი ძალა შეიძინა, რომ იგი არა მარტო დიდ სამრეწველო ქალაქებს, შორეულ მთიან სოფლებსაც მისწვდა, რევოლუციის ბობოქარმა ტალღებმა კიკნაველეთშიც შეაღწია.

ისე როგორც ყოველი ახლის ქომაგი და მხარდამჭერი იყო ყარამან კიკნაველიძე, ისე რევოლუციის ახალ სიოსაც გაჰყვა იგი – შემოიკრიბა თანასოფლელი ახალგაზრდები და წითელი რაზმი ჩამოაყალიბა. მასში პირველყოვლისა ხალისით ჩაეწერნენ მისი ძმები – კოლა, შალვა, მანუელი, ასევე მიხა ბაქრაძე, კოწია ჯოხაძე, იასონ, კარპეზი, გიორგი, კირილე, სანდრო, ვანო, პეტრე, მამია, თომა, მოსე, ონისე კიკნაველიძეები, სავლე კუპრაძე, ტარასი თაბუკაშვილი და მრავალი სხვა.

რაზმში, რომელიც ორასამდე ვაჟკაცს აერთიანებდა, მოხალისედ ჩაეწერა ყარამანიც და ანეტაც. იგი ძალზე ლამაზი შესახედაობის და მეტად გაბედული ქალიშვილი იყო. განსაკუთრებით ლამაზი მაშინ იყო, როცა ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობილი, ყაბალახით თავწაკრული, ცხენზე ამხედრდებოდა.

ქვეყანაში ძალზე გაჭირვება სუფევდა, გვალვების გამო მოსავალი ნაკლები იყო, ლუკმა-პური ძვირად ფასობდა.

სოფელში შექმნილ წითელრაზმელებს მატერიალურ დახმარებას ვინ გაუწევდა, თუ არა ისევ აქაური ადამიანები, რომლებიც თბილისში, ქუთაისში, ახალ სენაკსა და ზესტაფონში იყვნენ სამუშაოდ წასულნი. რევოლუციონერებს დახმარების ხელი გამოუწვდინენ პლატონ, თომა, ლადიკო, კოწია, კალენიკე, პარმენ, ანტონ და ვასილ კიკნაველიძეებმა, ილიკო კვიჭინაძემ, იონა ბაქრაძემ და სხვებმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ალალი შრომით განსაკუთრებით დიდი შემოსავალი არ ჰქონდათ, მაინც ეხმარებოდნენ წითელარმიელებს, როგორც საშუალება ჰქონდათ, ფულით, ასევე იარაღით და არალეგალური ლიტერატურით.

კიკნაველეთელ წითელრაზმელთა ხშირი სტუმრები იყვნენ თვალსაჩინო რევოლუციონერები: აფრასიონ მერკვილაძე, რაფიელ ჩიხლაძე, გრიგოლ ქარცივაძე და სხვები, რომელთა თანადგომითა და წაქეზებით კიკნაველეთელები კიდევ მეტად აღინთნენ რევოლუციური სულისკვეთებით. დაუღალავი და დაუოკებელი ენერგიის ყარამან კიკნაველიძემ მოკლე ხნის მანძილზე შესძლო საკმაოდ გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული წითელი რაზმის შექმნა, რომელიც მზად იყო საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

სოფელში მაყვლარიანის სერზე პერიოდულად ეწყობოდა თავყრილობა და ხალხის წინაშე გამოდიოდნენ ქუთაისიდან ჩამოსული ორატორები, რომელთაც ხალხი „მოქადაგეებს“ ეძახდნენ. ისინი ხალხს უხსნიდნენ რევოლუციის მიზნებს და ამოცანებს, მოუწოდებდნენ აჯანყებისაკენ, რათა გაენადგურებინათ მეფის რუსეთის ხელისუფლება. ჩამოსული ამხანაგების უვნებელყოფა დავალებული ჰქონდათ წითელრაზმელებს ლადიკო და პლატონ კიკნაველიძეებს, რომლებიც შესანიშნავად ართმევდნენ თავს ყოველგვარ რთულ, სახიფათო საქმეს.

რევოლუციის ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა. იგი ქუთაისის მაზრაში სასტიკად მძინვარებდა. მთელი კიკნაველეთი საომარ ბანაკად იქცა. სოფელში შემაშფოთებელი ამბავი მოვიდა – რევოლუციის ჩასაქრობად დამსჯელი ექსპედიცია გამოუგზავნია ქართველი ხალხის მოძულე ჯალათის გენერალი ალიხანოვის ხელმძღვანელობით. შავრაზმელები წიფის გვირაბს გამოცდნენ თუ არა, სისხლიანი რეპრესიები დაიწყეს. მათი მორიგი მსხვერპლი ზესტაფონი იყო.

ქალაქი გადაწყვეს, გაანადგურეს, რევოლუციონერებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

ალიხანოვის დამსჯელ რაზმს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა აფრასიონ მერკვილაძის რაზმი. მტრის რიცხობრივად ჭარბ, კბილებამდე შეიარაღებულ ძალებს მისმა რაზმმა ვერ გაუძლო და კიკნაველეთის მთებს

მიაშურა. მათ მხარი დაუჭირა ყარამანმა თავისი პატრიოტული მებრძოლებით და მაყვლარიანის სერზე გამაგრდნენ. შავრაზმელები დაედევნენ კიკნაველეთისაკენ მიმავალ აფრასიონ მერკვილაძის რაზმს. სოფლის მშრომელები მეტად აღაშფოთა მეზობელ სოფელში ცაში ავარდნილმა ცეცხლის ალმა და ხალხი პანიკამ მოიცვა. „დაზვერვიდან დაბრუნებულმა ყარამანმა პანიკით მოცული ხალხი ერთ საკმაოდ დაბურულ ტყეში დამალა, – იგონებს დ. ბაქრაძე, – და საჭიროების შემთხვევაში თუ მტერი წინ წამოსვლას მოახერხებდა, უკნიდან უნდა დასხმოდა თავს. სხვა შემთხვევაში ხალხს თავის იქ ყოფნა არ უნდა გაემხილა. ყარამანის ამ ღონისძიებამ გასჭრა და სრული წესრიგი დამყარდა“.

ყაზახები ფრთხილად მოემართებოდნენ მაყვლარიანის სერისაკენ. მაგრამ ხევებში ორმხრივად ჩასაფრებული ყარამანისა და აფრასიონის რაზმებმა ისე უეცრად დაჰკრეს, რომ მტერი მოულოდნელობისაგან დაბნეული უკან გაიქცა.

ყარამანმა და აფრასიონმა ზესტაფონში მზვერავები გაგზავნეს, რათა მოესინჯათ ზესტაფონის განთავისუფლება, მაგრამ მზვერავებმა ვერაფერი სასიამოვნო ამბავი მოუტანეს: ალიხანოვს დამხმარე ძალები მიეღო და საკმაოდ გამაგრებულიყო. ყარამანმა და აფრასიონმა წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალეს და მალე ყაზახები კიკნაველეთში შემოვიდნენ. წითელრაზმელებმა აფრასიონის ჯგუფთან ერთად ტყეს შეაფარეს თავი და შტაბი მაღალ მთაზე – შუბიქედზე ჰქონდათ მოწყობილიმ გაიხიზნა მოსახლეობაც, სოფელში მხოლოდ მოხუცები და ბავშვები დარჩნენ. დაიწყო ეგზეკუცია. დამსჯელი რაზმი ყარამანის ახლადაგებულ სახლში დაბანაკდა. შავრაზმელები მოსახლეობას არ-თმევდნენ სურსათ-სანოვაგეს. ყარამანმა და აფრასიონმა ასეთი ხერხი იხმარეს: ყაზახებს შემოუთვალეს, სოფელს ხელს ნუ ახლებთ, მშვიდობიანად გაეცალეთ, თორემ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო. სოფლის ირგვლივ საშინელი სროლა ატეხეს. ამით გამოირკვა, რომ ყაზახები ალყაში იყვნენ მოქცეულნი. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ყაზახების ხელმძღვანელობასთან გამოცხადნენ პოლკოვნიკი გრიგოლ მაჭავარიანი და პორუჩიკი ბიჭია კიკნაველიძე. მათ სთხოვეს: უაზრო სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, გაეყვანათ ჯარი სოფლიდან, ხოლო თავის მხრივ შეჰპირდნენ – სოფელში სრულ წესრიგსა და სიწყნარეს ვუზრუნველყოფთო.

ყაზახთა რაზმის უფროსს სწორედ ეს უნდოდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ფარისევლურად უპასუხა:

– კაცთმოყვარეობის გულისათვის და თქვენი, როგორც მეფის ოფიცრების პატივისცემის გამო, მოვერიდებით სისხლის ღვრას და მშვიდობიანად წავალთ სოფლიდან.

მართლაც ყაზახები სასწრაფოდ აიყარნენ და გეზი ზესტაფონისაკენ აიღეს. ამით სოფელი აოხრებას გადაურჩა.

რამდენიმე თვის შემდეგ ბუდეაშლილი არწივები – ყარამანი თავის ძმასთან, მანუელთან ერთად ბედის საძებნელად გამოცვლილი პასპორტებით სპარსეთში გადაიხვეწნენ და იქ შეაფარეს თავი. დაიწყო ათასი საშიშროებით აღსავსე ცხოვრება. სპარსეთში ჩასულებმა პირველყოვლისა გადაწყვიტეს კარგად შეესწავლათ სპარსული ენა და გამოენახათ ცხოვრების რაიმე საშუალება.

პირველი ქალაქი, რომელშიც ძმები ყარამან და მანუელ კიკნაველიძეები მოხვდნენ, ენზელი (დღევანდელი ფეჰხლევი[1]) იყო. იქ ისინი სასტუმრო ერთ პატარა ოთახში დაბინავდნენ, მაგრამ ისე იყვნენ აფორიაქებულნი, გვიან ღამემდე არ დაეძინათ.

ყარამანა და მანუელისათვის სპარსეთში ჩასვლა და სამშობლოს დატოვება ცხოვრების თავიდან დაწყებას ნიშნავდა, რადგან უნდა შეესწავლათ სპარსული ენაც და მათი ზნე-ხასიათიც, ეს მაშინ, როცა დიდი სახსარიც არ გააჩნდათ. გარდა ამისა, უნდა გაეჩინათ საიმედო ნაცნობ-მეგობრები, რათა თავი უშიშრად ეგრძნოთ.

სოფელს გაეცალნენ აგრეთვე სანდრო, ნიკოლა და იასონ კიკნაველიძეები და სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. რაც შეეხება სანდრო კიკნაველიძეს, იგი ჟანდარმერიამ ბოლოს მაინც დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა, სადაც ტუბერკულიოზის მსხვერპლი გახდა, ხოლო იასონი თბილისში ცხოვრობდა გამოცვლილი გვარით და მოესწრო რევოლუციის გამარჯვებას. დანარჩენი წითელრაზმელები სოფელში ჩაიკეტნენ და ცდილობდნენ დროებით შეუმჩნეველი ყოფილიყვნენ.

შემოდგომის წყნარი დილა გათენდა. ქართულ ჩოხა-ახალუხში კოპწიად გამოწყობილები, ვერცხლის ქამარ-ხანჯალში ჩამსხდარნი, ყარამანი და მანუელი ქალაქში გამოვიდნენ და ბარგის გამოსატანად გაემართნენ. ხალხი თვალს არ აცილებდა უცხო ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდებს.

ქუჩაში მიმავალ ძმებს მოულოდნელად შეხვდა შორეული ნათესავი, ხარაგაულელი ვლადიმერ ანთაძე და ტკბილად მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთის ამბავი.

ვლადიმერ ანთაძე სატელეფონო კავშირურთიერთობის საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა და როცა რუსეთ-სპარსეთის მთავრობის შეთანხმებით ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის სატელეფონო კავშირი უნდა დამყარებულიყო, ვლადიმერ ანთაძე, როგორც სპეციალისტი

---

[1] ***სწორია „ფეჰლევი“.***

და გამოცდილი მუშაკი საქმის მწარმოებლად სპარსეთში გაგზავნეს. მას ბაქოდან გაჰყავდა სატელეფონო ქსელი ენზელისაკენ. ეს იყო 1906 წელი. იგი ოჯახით დაბინავდა ენზელში და 5 შვილს ბაქოსა თუ უცხოეთში ზრდიდა. ვლადიმერმა თავი გამოიჩინა რთულ პირობებში მუშაობით, რისთვისაც შაჰისაგან რამდენჯერმე ფულადი ჯილდო დაიმსახურა, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გულთბილი სიყვარული და კარგი ავტორიტეტი.

ქართველი ხალხის ტრადიციებისამებრ სტუმართმასპინძლობის ნიშნად ვლადიმერ ანთაძემ სპარსეთში გადმოხვეწილი ნათესავები სახლში მოიპატიჟა და გულთბილი მასპინძლობა გაუწია.

– როგორც არ უნდა იყვეს, მე თქვენ სასტუმროში ვერ გაგიშვებთ, ეს არაფერი ქართველობა იქნება. თუ არ დამძრახავთ, ეს ერთი ოთახი თქვენი იყვეს და როგორც საკუთარ სახლში, ისე მოისვენეთ, – უთხრა სუფრაზე მსხდომ ძმებს ვლადიმერმა და მთელი ღამის ქეიფის შემდეგ ძმებს ერთ კარგ, სრულ ოთახში მოუსვენა.

მართლაც ყარამანი და მანუელი იქ გადმოსახლდნენ და რამდენიმე თვე, თითქოს გაზაფხულამდე იქ გაატარეს.

გულმხურვალე მასპინძელი ვლადიმერ ანთაძე არც ამას დასჯერდა და კეთილ ნათესავებს, ყარამანს და მანუელს, რამდენიმე დღის განმავლობაში დაათვალიერებინეს და დაწვრილებით გააცნეს ქალაქები: ენზელი, რეშტი[1], ასტრაბადი, გილიანი[2], ბენდერბეგი[3], თეირანი. ბოლოს მაზანდარანში ჩაიყვანა, საიდანაც ფერეიდანში გაემგზავრნენ იქაურ ქართველებთან შესახვედრად.[4]

ძმები საფუძვლიანად გაეცვნენ ფერეიდანელ ქართველებს, სადაც ერთი ოჯახიდან, მეორეში იწვევდნენ. განსაკუთრებით ძალზე დაუახლოვდნენ ფერეიდანელ თავკაცებს (ხანებს): ხუციშვილს, ონიკაშვილს, დავითაშვილს და ფერეიდანელ ქართველებში ყველაზე უფრო პოპულარულ პიროვნებას სეიფოლა იოსელიანს.

ძმებმა ფერეიდანელ ქართველებს ორ-სამ დღეში ისე შეაყვარეს თავი, რომ არ იცოდნენ, რომ არ იცოდნენ, როგორ დაემახსოვრებიათ თავი და ბოლოს ერთი სთხოვეს:

– ერთი სისხლისა და ჯილაგის ვართ, ნუ დაგვივიწყებთ, ხშირად გვეწვიეთ ფერეიდანში.

---

[1] *რაშთი*

[2] *გილანი (და არა გილიანი) პროვინციაა და არა ქალაქი.*

[3] *სწორია „ბანდარ-გაზ“-ი.*

[4] *კიკნაველიძეების ფერეიდანში ჩასვლის ფაქტი საკამათოა. იხ.შენიშვნა N6 წინა ტექსტის მე-17 გვერდზე.*

ყარამანი მართლაც პირნათლად ასრულებდა დანაპირებს – მოენატრებოდა თუ არა, დროს გამონახავდა და მიდიოდა ფერეიდანში, თანაც ქართული წიგნები მიჰქონდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა მრავალტანჯულ თანამემამულეებს.

გულწრფელი მეგობრობითა და კეთილშობილური საქციელით ვლადიმერ ანთაძის დახმარებით სულ მოკლე ხანში ძმებმა სპარსეთში დიდძალი ნაცნობ-მეგობრები გაიჩინეს. მათ შორის ენზელში ერთხელ ვლადიმერს ეწვია ცნობილი რევოლუციონერი ბუდუ მდივანი, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა ემიგრაციაში. მთელი ღამის წვეულებისას ბუდუ მდივანმა გულდასმით გამოკითხა ძმებს სპარსეთში ჩამოსვლის მიზეზი და თან ურჩია რაიმე სარფიანი კომერციული საქმისათვის მოეკიდათ ხელი, რათა სამშობლოდან შორს გადმოხვეწილ ქართველ რევოლუციონერებისათვის მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ. ყარამანმა დაწვრილებით მოუყვა ბუდუ მდივანს თავისი თავგადასავალი, რის გამოც კიდევ მეტად დაუახლოვდა და ამით კიდევ უფრო საიმედო ძალად იგულა იგი.

ვლადიმერ ანთაძემ და ბუდუ მდივანმა თანხმობა მიიღეს თუ არა ყარამანისაგან, რამდენიმე დღეში ძმებს მართლაც აღმოუჩინეს ხეტყის კომერციული აგენტების თანამდებობა „რუსეთ-სპარსეთის ხეტყის მრეწველობის ამხანაგობაში“, რომელსაც დიდი გულმოდგინებით მოჰკიდეს ხელი. მოკლე ხნის მანძილზე მათში საღად იჩინა თავი კომერციული საქმის განუსაზღვრელმა ნიჭმა, რის მეოხებითაც საკმაოდ სოლიდური ფული დააგროვეს და მალე მოიჯარადრობას მოჰკიდეს ხელი. ძმები იჯარით იღებდნენ სპარსელ ხანებისაგან ტყის დიდი მასივებს, რომლებსაც ჭრიდნენ და მისგან პირველ რიგში ამზადებდნენ ხის მასალას, ხოლო ნარჩენებისაგან შეშას, რითაც უხვად ამარაგებდნენ ნავთობგადამამუშავებელ სარეწებს და ცნობილ მეთევზე მრეწველს ლიანოზოვს, რომელსაც დიდი რაოდენობით საკასრე მასალა ესაჭიროებოდა.

ძმებთან ახლო ურთიერთობა დაამყარა თუ არა ბუდუ მდივანმა, იგი ხშირად მოდიოდა მათთან და თუ რაიმე საკითხის გადაჭრა იდგა მათ წინაშე, ბუდუ მდივანი ეხმარებოდა მის გადაწყვეტაში, ხოლო ყარამანი საკმაო ეკონომიურ დახმარებას უწევდა თვით ბუდუ მდივანს.

– ყარამან, ერთი კარგი ვაჟკაცი და ინტელიგენტი მეწვია საქართველოდან და შენთან უნდა მოაწყო, შენი მარჯვენა ხელი იქნება, დაუძახეთ, ეზოში მიცდის, – უთხრა ერთხელ ბუდუ მდივანმა.

მალე ოთახში შემოვიდა ბრგე ვაჟკაცი და ძმებს გაეცნო.

– ეს სვანი ვაჟკაცი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ლევან დადეშკელიანია, თქვენი არ იყოს, ისიც საქართველოში 1905 წელს რე-

ვოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა. რეაქციის დროს არც მას აპატიებდნენ ასეთ „თავხედობას“ და ამიტომაც შემოაფარა თავი სპარსეთს, – ასე წარუდგინა ბუდუ მდივანმა ყარამანს სვანი მეგობარი.

– სვანებმა უერთგულესი მეგობრობა იციან, ჩვენი მეხუთე ძმაც მაგი იქნება, – უთხრა გახარებულმა ყარამანმა და ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს.

მართლაც კარგი ძმობა გაუწია ყარამანს და მანუელს სვანმა მეგობარმა ლევან დადეშკელიანმა და წლების მანძილზე სულ ერთად იყვნენ.

– დიდი მადლობელი ვართ, ბატონო ბუდუ, ასეთი მეგობრის შეძენისათვის, – უთხრა ერთხელ ბუდუ მდივანს მეორედ შეხვედრისთანავე ყარამანმა და ამ სამადლობელს იგი ბევრჯერ იმეორებდა.

პარიზში 1909 წელს მსოფლიო ტყეების სამრეწველო დამუშავების შესწავლისათვის გამოფენა ეწყობოდა, რომელზეც ექსპონატები უნდა გაგზავნილიყო. მასში ენთუზიაზმით ჩაება ყარამან კიკნაველიძეც და ხე-ტყის მასალების ნიმუშის ექსპონატები დაამზადა, რათა პარიზის გამოფენაში მიეღო მონაწილეობა და ამით გაეფართოებინა ტყის სამრეწველო დამუშავება. „პარიზის გამოფენის ბიურომ მიიღო ბ. ყარამან კიკნაველიძისაგან ექსპონატები ხე-ტყის მასალებისაგან, – იტყობინება გაზეთი „ცნობის ფურცელი“, – ყოველი ხის ექსპონატი წარმოადგენს ნაჭერს ათი გოჯა სიგრძისა და ორი სისქის, გასუფთავებულია და ზედ აწერია ქართულ და რუსულ ენაზე რა ხისაა.

ამ ექსპონატს თან ახლავს მოკლე აღწერილობა: ვისი ტყეა, სად არის (რომელი სოფელი, უეზდი), რამდენი დესეტინა და რა ხეები იზრდება ამ ტყეში.

ვისაც სურს ხე-ტყის ექსპონატების წარმოდგენა ხსენებულ ბიუროში ამ სახით გამოგზავნოს საჩქაროთ, რადგან ათ ნოემბრამდე მიიღება, მერე აღარ“ („ცნობის ფურცელი“, 1908 წლის 31 ოქტომბერი).

თანდათანობით მარჯვედ იკაფავდნენ გზას ყარამან და მანუელ კიკნაველიძეები კომერციულ ასპარეზზე და ავტორიტეტს იხვეჭდნენ მთელს ირანში. ეს ხმა მიწვდა ცნობილ ქართველ მრეწველს, ქველმოქმედსა და მეცენატს აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას, რომელიც ირანში ხე-ტყის და ნავთობის დიდი სარეწების მფლობელი იყო. იგი შაჰთან და შაჰ მუჰამედ რეზე ფეხლევის ნათლიაც ყოფილა[1]. აკაკიმ ნათლულს მიართვა ბრილიანტისაგან დამზადებული როიალის ფეხები,

---

[1] ***იგულისხმებიან რეზა-შაჰი და მისი ვაჟი, უფლისწული მოჰამად-რეზა ფეჰლევი. ქრისტიანი აკაკი ხოშტარიას მიერ სპარსეთის უფლისწულის მონათვლა სიმართლეს არ შეეფერება.***

რომლის სიმაღლე 8 სმ ყოფილა, ხოლოს თავის ავტომანქანა ფორდს ოქროს ფრთები ჰქონია.

1914 წელს აკაკიმ შეისყიდა თბილისში დიდი მეცნიერის დავით სარაჯიშვილის სასახლე, რომელიც ბოლოს დაუტოვა ბიძაშვილს დუტუ მეგრელს, რათა ქართველ მწერლებისათვის გადაეცა სასახლე, თვითონ კი საფრანგეთში წავიდა.

აკაკი ხოშტარია წლების მანძილზე ცხოვრობდა სპარსეთში, სადაც არსებობდა მისი რკინიგზა ორ ქალაქს შორის და მთელი ამ ტერიტორიის მიწებიც მის მფლობელობაში ითვლებოდა. ირანში მას ჰქონდა საპნის მონოპოლია, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან, რაც მთავარია იყო სპარსეთის ნავთობის კონცესიების მფლობელი.

აკაკის კონსტანტინეპოლში დაუარსებია თურქულ-სპარსული ბანკი, სადაც ამუშავებდა საქართველოდან წამოსულ ბევრ ქართველს. აკაკის არასოდეს ავიწყდებოდა თავისი სამშობლო – საქართველო, გამოირჩეოდა უდიდესი პატრიოტობით, კეთილშობილებით, ახლობლებისადმი უდიდესი სიყვარულითა და მზრუნველობით, იქ წაყვანილი ჰყავდა ძმა გიორგი, ხოლო ერთმა მისმა ახლო ნათესავმა ალ. სხირტლაძემ მისი მეოხებით ისე გაიკაფა გზა სპარსეთში, რომ შემდგომში გახდა ირანის სამთო-მაღაროების მმართველი.

ენზელში აკაკის მფლობელობაში იყო ენზელის ელექტროფიკაცია, რითაც დიდ კონკურენციას უწევდა ინგლისელებს და ამერიკელებს. აკაკიმ გაიცნო თუ არა ყარამან კიკნაველიძე, მასში უმალ ამოიცნო კომერციის დიდი უნარი, რის გამოც იგი აიყვანა პარტნიორად ჯერ ხე-ტყის დამზადების, ხოლო შემდეგ ნავთობის საძიებლო საქმეში. მუშაობა რომ გაადვილებოდა, ყარამანს დამხმარეებად გამოუყო გამოცდილი მრეწველები რომან გვარჯალაძე, ბეგლარ მელია და ფარნაოზ ფაღავა. მათი მეშვეობით საკმაოდ გააფართოვა ხე-ტყის დამზადების საქმე, რის გამოც მუშა-ხელი საკმარისი აღარ იყო, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი სპარსელი მოსახლეობა არც ისე სანდოდ გამოიყურებოდა. ხალხის შესაკრებად ყარამანი თავის სოფელ კიკნაველეთში დაბრუნდა, საიდანაც 200-მდე თანასოფლელი და ახლო-მახლო სოფლებიდან ჯანღონიანი ახალგაზრდები წაიყვანა სპარსეთში ლუკმა-პურის საშოვნელად, რისთვისაც კავკასიის მეფისნაცვლისაგან მიიღო სპეციალური მოწმობა მუშა-ხელის სპარსეთში წაყვანის შესახებ. ამასაც არ დასჯერდა და ფერეიდანელი ქართველებიც მიიწვია სამუშაოდ, რის მეოხებითაც საკმაოდ გაიმაგრა თავისი მდგომარეობა.

ყარამანის გულკეთილობასა და მოძმეთა გულთბილ სიყვარულზე მეტყველებს ყოველივე ეს, თორემ აბა წარმოიდგინეთ იმ პერიოდი-

სათვის იმდენი ხალხის წამოყვანა სპარსეთში, მათი სამგზავრო ხარჯები, კვება, დაბინავება, პატრონობა, ჩაცმა-დახურვა და სხვა ათასი წვრილმანი რა დაუჯდებოდა ყარამანს, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა მოძმეთათვის გაღებულ ხარჯს. ჭეშმარიტად მხოლოდ ყარამანისთანა ენერგიულს, წინდახედულს, გამჭრიახ ჭკვიან კაცს თუ შეეძლო ასეთი რთული საქმისათვის მოეკიდა ხელი, თორემ სხვას კი არა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ ირანში როგორი მასშტაბები მიუღია ყარამანისა და მისი ამხანაგების საქმიანობას, მოგვყავს ზოგიერთი ცნობები: ყარამანი და რომან გვარჯალაძე, ერთ სპეციალურ თხოვნაში, სპარსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკის გამგეობისადმი, უჩიოდნენ სპარსეთის მთავრობას, რომელსაც ხელი შეუშლია მათთვის სოფელ ხუშაბერში[1] 49 კვადრატული ვერსტის ტყის მოჭრა-დამუშავებაში და მოითხოვდნენ სპარსეთის მთავრობისაგან ზარალის ასანაზღაურებლად 80000 მანეთს რეშთს რუსეთის საკონსულოს მეშვეობით. ოცი ამოდენა ფართობის ხე-ტყის დამუშავებასა და გამოტანას რამდენი მუშა-ხელი და ფულადი სახსრები დასჭირდებოდა?

მეორე დოკუმენტში ყარამან კიკნაველიძეს 60 კვადრატული ვერსტის ტყის დამუშავებაზე ხელშეკრულება დაუდვია „დელაიმან სიაკეში“[2] ტყის მეპატრონე ხანებთან: მამედ მუშირელ მამალიკთან[3], მამედ ისმაილ ნასირელთან[4], მეხიდ მუჰამედ დივანთან[5], მირზა უსეინ მირზა ხალილთან[6] და სხვებთან. შემდეგ ეს ხელშეკრულება აკაკი ხოშტარიაზე გადაუფორმებია.

ყარამანს და მის ძმას მანუელს იჯარით ჰქონდათ აღებული მეტად დიდი რაოდენობის ტყის ფართობი სპარსეთის სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით ასტრაბადის ოლქის ბენდერგიაზის თვალუწვდენელ ტყეებში, აგრეთვე, საკუთარი ტყის დიდი მასივები სოფლებში სულტეშსა და კალაფროში.[7]

---

[1] *https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%AF%D9%87%D8%B3%D8%AA%D8%A7%D9%86–%D8%AE%D9%88%D8%B4%D8%A7%D8%A8%D8%B1. გილანის პროვინციის რეზვანშაჰრის რაიონის სასოფლო თემი ხოშაბარი.*

[2] *დეილამან-სიაჰქალ – ორი დასახლებული პუნქტი გილანის პროვინციაში.*

[3] *მოჰამად მოშირ ალ-მამალექ.*

[4] *მოჰამად ესმაილ ნასირი.*

[5] *მეჰდი მოჰამად დივანი.*

[6] *მირზა ჰოსეინ ხალილი.*

[7] *სუთე – გილანის პროვინციის შაფთის რაიონის სოფელი ან მაზანდარანის პროვინციის ფერეიდუნქენარის რაიონის სოფელი. ქოლაფრა – გორგანის პროვინციის ბანდარ-გაზის რაიონის ანზანის სასოფლო თემის სოფელი.*

ძმებმა სპარსეთში ყოფნის ათი წლის მანძილზე თავიანთი ნიჭის, ენერგიის და დაუღალავი შრომით კარგად შეისწავლეს სპარსული ენა და მათი წეს-ჩვეულებანი. ამასთან, სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის ადმინისტრაციის დიდი ნდობით, რის გამოც სპარსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკიდან ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვის გარეშე გამოჰქონდა დიდძალი თანხა.

მანუელი ოთხ ძმას შორის ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ ყარამანის შემდეგ ყველაზე ლამაზი, წარმოსადეგი. „იგი იყო მაღალი, წერწეტი, მხარბეჭიანი, – წერს მანუელის პიროვნების შესახებ დ. ბაქრაძე, – მიმინოსებური, ჭროღო, გამჭვალავი თვალებით, მეტად ლამაზი, მწითური, ელვარე თმებით. იყო შეუდრეკელი, გულადი, გაბედული, ვაჟკაცი და რაიმე საქმეში უკანდახევა და შედრკომა არ ახასიათებდა“. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყარამანი მხოლოდ მას ანდობდა ყველაზე უფრო სახიფათო დავალებებს, რომლებსაც იგი ყოველთვის უნაკლოდ ასრულებდა...

აფრასიონ მერკვილაძე მოხიბლული იყო მანუელის ვაჟკაცობით და დიდი სურვილი ჰქონდა იგი თავის რაზმში გადაებირებინა. მაგრამ მანუელმა არ მოისურვა.

მანუელმა დაამთავრა თუ არა ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებელი, სოფელში დაბრუნდა და თავის ძმას ყარამანს ამოუდგა მხარში. იგი ძალიან ენაწყლიანი მოსაუბრე იყო, რითაც აჯადოებდა მსმენელებს. მის საუბარში არ შეიმჩნეოდა მედიდურობა, ყოყლოჩინობა, პირიქით, იგი უბრალოდ, გასაგებად განუმარტავდა მშრომელებს ცარისტული რუსეთის თავგასულობას.

მანუელი მუდამ ხალხთან ახლოს იდგა – მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდა. რამდენადაც ხალხს უყვარდა მანუელი, ამდენად საძულველი იყო იგი მეფის აგენტებისადმი და არაერთხელ დაუპირეს მას მოსპობა, მაგრამ პირდაპირ შებრძოლებას ვერავინ ბედავდა, ხოლო ვერაგულად მისი სიკვდილი ვერ მოახერხეს.

ყარამანი სპარსეთში მოღვაწეობის პერიოდში უშუალოდ აღარ მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლებში, სამაგიეროდ საკმაოდ სოლიდურ დახმარებას უწევდა რუსეთიდან და საქართველოდან ჩამოსულ რევოლუციონერებს და მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი რევოლუციურ საქმიანობას ხმარდებოდა. ყარამანი საგრძნობ დახმარებას უწევდა აგრეთვე სპარსეთის რევოლუციას, რომელიც განსაკუთრებულ აღმავლობას 1912 და 1917 წლებში[1] აღწევდა. სამაგიეროდ სპარსეთის რევოლუციაში საკმაოდ აქტიურობდა მანუელი.

---

[1] ***ირანის კონსტიტუციური რევოლუციის ნამდვილი ვადაა 1905-1911 წლები.***

ფერეიდანში მაზანდარანის რაიონის სოფელ გულჯიმალში[1] ჰქონდა ყარამანს თავის კანტორა და საცხოვრებელი სახლი, ყარამანთან ერთად ფერეიდანელ ქართველების ინტერესს იცავდა მანუელიც, რომელიც მათთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. 1916 წლის 9 მკათათვეს რეაქციულმა ძალებმა არ აპატიეს ფერეიდანელთა დაცვა-ქომაგობა მანუელს და 35 წლის ასაკში ვერაგულად მოკლეს მანუელი სოფელ გულჯიმალაში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ლაღი ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდა ყარამანს, ფართო სამუშაოები გააჩაღა აკაკი ხოშტარიასთან ერთად ნავთობის მოპოვების დარგში და მისი კომერციულმა კარიერამ ზენიტს მიაღწია.

ყარამანი ძალზე დაამწუხრა და ჩააფიქრა ძმის დაღუპვამ. აშკარა იყო, რომ მასაც დიდი საფრთხე ელოდა. საყვარელი ძმის, მანუელის დაკარგვამ გატეხა ყარამანის რწმენა და ერთობ მოტეხილ არწივს დაემსგავსა. სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა, ძმა მწარედ დაიტირა, ფერეიდანში დაკრძალა[2] და გადაწყვიტა იქაურობას მალე გაცლოდა. მან თანდათანობით სპარსეთში ყველაფერი მოაგვარა და მეორე წელს სამშობლოში დაბრუნდა, რის გამოც 1917 წლის 23 მკათათვეს ძმის ნეშტი სამშობლოში წამოასვენა.

ზესტაფონში, დამგლოვიარებულ ძმას და მის მეგობრებს ზღვა ხალხი დახვდა და სოფლამდე კუბო ხელით წაასვენეს. მშობლიურ მიწისათვის მისაბარებლად დათალხული დედა, ხუთ ქალიშვილთან ერთად მწარედ ტიროდა ნაადრევად დაკარგულ მანუელს. დაკრძალვაზე ორკესტრთან ერთად ორი გუნდი გალობდა – ცნობილი ლოტბარის, კორნელ მაღრაძისა და ვარლამ გორგოძის ხელმძღვანელობით.

მანუელის სიკვდილმა დიდად დაამწუხრა მისი ფერეიდნელი მეგობარი ი. წითელაშვილი, რომელმაც ვრცელი ლექსით გამოხატა მანუელის ვაჟკაცური ბუნება და ქედმოუხრელობა. ეს ლექსი 1917 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 37 ნომერში დაბეჭდა რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა. ლექსი ძალზე ვრცელია და მასში ნათლად არის წამოჩენილი მანუელის პიროვნება, მისი განვლილი ცხოვრება. ახასიათებს რა მანუელის ვაჟკაცურ ბუნებას, ავტორი წერს:

„ტანით ლერწამის მოცილე,
სახით მზეს ედარებოდა,

---

[1] *აქაც შეცდომით ისპაჰანის პროვინციის ფერეიდნის რაიონი მაზანდარანის პროვინციაშია გადმოტანილი. „გულჯიმალა“ კი სოფელ „გორჯი-მაჰალეს“ დამახინჯებული ფორმაა.*

[2] *საქართველოში გადმოსვენებამდე მანუელ კიკნაველიძე დასაფლავებული იყო არა ფერეიდანში, არამედ გორგანის პროვინციის საპორტო ქალაქ ბანდარ-გაზში.*

თვალწამწამით და ღიმილით
ვარსკვლავსაც ექიშპებოდა.
გულით კლდე, რწმენით ფოლადი,
შიშის ღმერთს ეჯიბრებოდა,
ქალი მის ერთხელ მხილველი
გულაფრენილი ჩნდებოდა“.

ლექსი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მანუელის საქმიანობაზე; დიდ პატრიორიზმს და ხალხისადმი სიყვარულზე, ფერეიდნელ ქართველებთან თანადგომაზე.

ძმის სიკვდილით დამწუხრებული ყარამანი გულს მაინც არ იტეხს და მთლიანად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში – მატერიალურ დახმარებას უწევს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და გაზეთ „ალიონის“ რედაქციას თბილისში შეუძინა მიწის ნაკვეთი სარედაქციო შენობის ასაგებად, და მშენებლობის სახსრებიც თვითონ იკისრა, უნივერსიტეტის მახლობლად შეიძინა მიწის საკმაოდ დიდი ორი ნაკვეთი (16 დესეტინა მიწა), რომელზეც განზრახული ჰქონდა აეშენებინა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი თავისი სასადილოთი, კლუბით, საექიმო პუნქტით და სხვა საჭირო ნაგებობებით. განზარხული ჰქონდა სოფელ კიკნაველეთში აეშენებინა 50-საწოლიანი საავადმყოფო და მედპერსონალის სახსრებიც თვითვე გაეღო. სოფელში პირველი გუთანიც ყარამანმა შემოიტანა და სხვებსაც თავის სახსრებით დაჰპირდა მის შეძენას, ვინც კი მოისურვებდა. რაც მთავარია, გზის გაყვანა ბაღდათიდან კიკნაველეთამდე თვითვე იკისრა ყარამანმა და მისი ხარჯთაღრიცხვაც გაკეთებული ჰქონდა.

ასეთ დიდი მეცენატობას ეწეოდა ყარამან კიკნაველიძე და ყოველივე ამას უახლოეს ხანებში გადაწყვეტდა.

ყარამანი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში გაჭაღარავდა და პირადი ბედნიერებისათვის არასოდეს უფიქრია, მხოლო 50 წლის ასაკში, როცა თავის და-ძმებს უპატრონა, გაათხოვა, დააბინავა, შეირთო ქუთაისელი იურისტის დავით ქვარიანის (ცნობილი მწერლის სიმონ ქვარიანის ძმისშვილი), მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალიშვილი ოლიკო. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, სიმამრი დიდი ფულით მოისყიდაო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. პირიქით, ყარამანმა პირველ შეხვედრისთანავე ისე მოხიბლა სილამაზით განთქმული ოლინკა, რომ უმალვე დათანხმდა ცოლად გაჰყოლოდა 32 წლით უფროს ყარამანს.[1]

---

[1] ***ოლიკო ქვარიანზე დაქორწინებისას ყარამან კიკნაველიძის ასაკი (50 წელი) სწორი არაა. იგი 40 წლის ასაკში იქნა მოკლული. ასევე არასწორია 32-წლიანი ასაკობრივი სხვაობა ოლიკო ქვარიანსა და მის მეუღლეს შორის.***

1914 წელი იდგა, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.

კიკნაველეთიდან ბევრი ახალგაზრდა გაიყვანეს. მათ შორის სიმონ კიკნაველიძის შვილები პაპალა, ამბროსი და ვლადიმერი, სახლში დატოვეს 66 წლის მამა. 1917 წლის დეკემბერში ბოროტმოქმედნი, ფულის წართმევის მიზნით, თავს დაესხნენ სიმონს, ყველაფერი, რაც გაიჩნდა გაიტანეს სახლიდან, თვითონ სიმონი წაუყვანიათ, უწამებიათ, დაუჭრიათ ხელ-ფეხი, ყურები და გადაუგდიათ კლდეში. ის იყო ოთხ წელიწადს ომში განაწამები შვილები დაბრუნდნენ, რომ სახლში ასეთი შემზარავი სურათი დახვდათ, უპატრონოდ დატოვებული პირუტყვი ამოხოცილი.

შვილებმა დაიწყეს მამის ძებნა, მაგრამ ამაოდ, ვერსად მიაგნეს მის კვალს.

ზარმა მთელი სოფელი შეძრა და ხალხი ეკლესიის ეზოში იხმეს. აღელვებულმა შვილებმა ხალხს მოსთხოვეს, ფიცი დაედოთ, რათა ეთქვათ, თუ ვინმემ რამე იცოდა ოჯახის გაპარტახების შესახებ.

ყარამან კიკნაველიძეს მონაწილეობა არ მიუღია ფიცის დადებაში, რადგან მან არაფერი იცოდა ამის შესახებ და ამ საქმეში მთლიანად უდანაშაულო იყო. მაგრამ ბოროტმა ენებმა სიმონ კიკნაველიძის საქმე ყარამანს და მის ოჯახს გადააბრალეს, ისედაც გაბოროტებულმა შვილებმა ანალიზი არ გაუკეთეს ვითარებას, კრიტიკულად არ განიხილეს შექმნილი მდგომარეობა და აღელვებული ბიძაშვილები მიუსიეს უანგაროს და მთელი სოფლის მოსარჩლე ყარამან კიკნაველიძეს.

1918 წლის 13 თებერვალს ცივი, თოვლიანი, მეტად სუსხიანი დილა გათენდა. ყარამანი თავის მეუღლით, ოლიკოთი, ძმებით – კოლათი, შალვათი ზესტაფონში მიდიოდნენ ნათესავთან. მაყვლარიანის სერზე გავლისას პაპალა, ამბროსი და ვლადიმერი რამდენიმე შეიარაღებულ მამაკაცთან ერთად დახვდნენ ზესტაფონისაკენ მიმავალ ყარამანს და ყველანი ამოხოცეს; იმ დღესვე სახლში მივარდნენ და საბრალო დედაც მოჰკლეს; ხოლო და ანეტა მესამე დღეს გამოასალმეს სიცოცხლეს.

იმავე წლის მარტში მწყემსებმა სადღაც ხევში იპოვეს სიმონ კიკნაველიძის გვამი. შემზარავმა სურათმა ყველა აღაშფოთა. შვილებს გადაუწყვეტიათ, მამის დაკრძალვა ღირსეულად ჩაეტარებინათ. გასვენების დღეს, გარიჟრაჟზე მათ თავს დაეხსნენ 160 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული პოლიცია და დაიჭირეს პაპალა, ამბროსი, ონისიმე, ხოლო ვლადიმერი გაქცევის გამო იქვე მოჰკლეს.

ყველაფერი სისწორე გამოძიებით დადგინდა, ყარამანი და მისი ოჯახი არაფერ შუაში იყვნენ, ისინი ბოროტი ენების დაბეზღებით ტყუილ-უბრალოდ ამოხოცეს. ძმებს 20-20 წლის პატიმრობა მიესაჯა, ხოლო ონისიმე სამუდამო კატორღაში გაგზავნეს.

შურმა და ბოროტმა ენებმა შავბნელი საქმე გააკეთა და სოფელს, ქართველ ხალხს ხელიდან გამოსტაცა უანგარო, მთელი ერისათვის თავდადებული ადამიანი და დიდი მეცენატი ყარამან კიკნაველიძე მთელ ოჯახთან ერთად.

ვინ იცის, რამდენი კეთილი განზრახვა ჰქონდა ჩაფიქრებული თავდადებულ და პატიოსან კაცს ყარამანს და არ დააცალეს მათი აღსრულება. გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა: „გამზრდელი მამიდა კატო კონსტანტინეს ასული ალშიბაიასი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ შაბათს მარტის 24 ქვაშვითის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ყარამან და ოლიკო კიკნაველიძეების სულის მოსახსენებლად“ (გაზ. „საქართველო“, 1918 წლის 23 მარტი).

ასე დასრულდა ამ დიდი მამულიშვილის სიცოცხლე, რომელსაც ვინ იცის, რამდენი კეთილი განზრახვა უნდა შეესრულებია და გაეხარებია ქართველი ხალხის გული.

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ქართული, სპარსული და რუსული წყაროები ძმები კიკნაველიძეების სპარსეთში საქმიანობის შესახებ

ძმები კიკნაველიძეები გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ისტორიის საყურადღებო და ტრაგიკული ფიგურები არიან. ძმების შესახებ ბევრი რამ დაწერილა, თუმცა მათი სრული პორტრეტის შექმნამდე კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი.

სტატიაში ვცდილობთ, ქართული, სპარსული და რუსული საარქივო, სამეცნიერო და სალიტერატურო მონაცემებით შევავსოთ ჩვენი ცოდნა სპარსეთში ძმები კიკნაველიძეების ყოფნისა და საქმიანობის შესახებ.

ძმები ყარამან, შალვა, ნიკოლოზ და მანველ კიკნაველიძეები 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ცარიზმის მოწინააღმდეგეთა რიგებში იდგნენ. რევოლუციის მარცხის შემდეგ მათ სპარსეთსა და შუა აზიაში (თურქესტანში) გადახვეწა მოუხდათ. სპარსეთის მაზანდარანისა და გილანის პროვინციებში ძმები ხე-ტყის ბიზნესით დაკავდნენ.

ძმები კიკნაველიძეების, განსაკუთრებით, უფროსი ყარამანის სამრეწველო და საქველმოქმედო საქმიანობა საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული იმდროინდელ და მომდევნო წლების ქართულ პრესასა და წიგნებში. ისინი ზრუნავდნენ მშობლიური სოფლის კეთილდღეობისათვის, აუშენეს და მოუწყეს სკოლა, გაიყვანეს გზა და ა.შ.[1]

ქართული მონაცემები ირანში კიკნაველიძეების ყოფნისა და საქმიანობის შესახებ:

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1917 წლის 24 ენკენისთვის (სექტემბრის) N37-ში აქვეყნებს სპარსეთში მანუილ[2] სიმონის-ძე კიკნაველიძის ტრაგიკული დაღუპვის წლისთავისადმი მიძღვნილ ინფორმაციას:

მანუილ სიმონის ძე კიკნაველიძე

სპარსეთს გადასული სამრეწველოდ, იდეური მუშაკი. ვერაგულად მოკლულ იქმნა სპარსეთში, მაზანდარანის რაიონში, სოფელ გურჯიმალაში[3]

---

[1] ანდრო კიკნაველიძე, თოხის მუშიდან აკადემიკოსობამდე, თბილისი, 2003. გვ.95-104; ბუხუტი ორჯონიკიძე, კიკნაველეთი ანუ მიწის ყივილის სადღეგრძელო, თბილისი, 2012, გვ.121-129.

[2] უმცროსი კიკნაველიძის სახელი ქართულ წყაროებში გვხვდება სამი სახით: მანუილ, მანველ, მანუელ.

[3] გურჯიმალა – ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფელი გორჯიმაჰალე მაზანდარანის პროვინციის ბეჰშაჰრის რაიონში.

1916 წ. მკათათვის 9. გადმოსვენებულ იქმნა სამშობლო სოფელ კიკნაველეთში (ქუთ.მაზ) წლის თავზე 1917 წ. მკათათვის 9 და იმავე თვის 23 დაიკრძალა.[1]

იქვე დართულია ლექსი, სადაც პოეტურად აღწერილია მისი მოღვაწეობა საქართველოსა და სპარსეთში. ლექსის ავტორი იწერება ფსევდონიმით ი. წ-ი.

ადრე მზე-დაბნელებული

გაგონილი ამბავი
(მანუილ სიმონის ძე კიკნაველიძის ხსოვნას)

ძღვნად სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს

ტანით ლერწამის მოცილე,
სახით მზეს ედარებოდა,
თვალ-წამწამით და ღიმილით
ვარსკვლავებს ექიშპებოდა,
გულით კლდე, რწმენით ფოლადი
შიშის ღმერთს ეჯიბრებოდა -
ქალი მის ერთხელ მჭვრეტელი
გულაფრენილი ბნდებოდა.

მისი სახელი – მანუილ,
ამოსულიყო სვეტადა,
ორგულთა თავზარდამცემი,
ერთგულთა იყო ბედადა,
ჩაგრულებისა მალამო,
მჩაგვრელებისა ელდადა,
ძმობის და ერთობისათვის
მოძღვრებდა სოფელ-ველადა!..

შავი დრო იყო მისი დრო:
მეფობდა სისხლის მწოველი, –
მეფე ნიკოლოზ მეორე,
ყოველ კეთილის მშთობელი:
სიბნელის ხელის შემწყობი,

[1] ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება, 1917, ენკენისთვის 24, N37, გვ.9.

სინათლის დამაქრობელი, –
ვინ მოსთვლის მისის ბრძანებით
რამდენს მიერგო დღე ბნელი!..

დევნა დაუწყეს მანუილს,
არ ზოგდნენ დასახვრეტადა,
ვაჟკაცმა თავი შეიდო
მტარვალთა გასაწყვეტადა;
სთქვა, თუ რაღად ვარ მე კაცი,
რად დავალ სოფელ-ქვეყნადა,
თუ ბოროტების მეუფეს
თავს მივცემ ალალ ბედადა“.

ადგა და სპარსეთს გაიჭრა
ბედისა საძებნელადა, -
რას არგებს, კაცსა ერთს ადგილს
შინ იჯდეს დედაბერადა.
რას გვარგებს ქედის მოდრეკა,
სხვა რომ თავს გვადგეს მტერადა?-
უჯობს არ იყოს ვაჟკაცი,
ვიდრე სხვის სახლის მხვეტადა!

მიმოვლო სპარსთა მიწანი,
სთქვა: მადანია აქაო.
იხილა ქართველ სპარსელნი,
ეს ძველი დროის ლაქაო.
საიდან საით მოგზიდეს,
თავს გადაგხდიათ ჯაფაო. -
ძმანო, აწ ვიცნოთ ურთერთი,
ეს არის ჩვენი სარფაო!

სთქვა და შეუდგა საქმესა:
მოძღვრებდა ქართველობასა,
თვის ტომთა ასამაღლებლად
შეუდგა მრეწველობასა.
ხმალი და თოფი მუდამო
არ მოგვცემს კეთილ წყობასა,
თუ შრომა-სასწორ-გუთანი
არ გვიწევს წინამძღვრობასა!

მანუილ გურჯის სახელი
გაითქვა შორით-შორადა;
სპარსეთის რაინდ ხანები
რაცხდენ თვის თანასწორადა.
ჩაგრულ-დევნილნი მამადა,
მუდამ გულდამწველ ტოლადა,
ბედს ანანებდა მანუილ
მტერსა – გამოსულს ბრძოლადა!

ძილი გაუფრთხათ უცხო ტომთ,
სპარსთა ქონებით მცხოვრებთა,
სთქვეს, თუ არ მოკვდა მანუილ,
მზეს დაუბნელებს ჩვენს დღეთა.
მოიმხრეს ავაზაკები,
მავალნი მუდამ კლდე-ღრეთა,
მუხანათობით მოკლეს და
გმირი მოსწყვიტეს მშობელთა!

ველარ იხილა ვაჟკაცმა
მტარვალთ მეფობის დამხობა,
ველარ იხილა თვის ქვეყნის
თავისუფლება, ლაღობა,
გულგანგმირულმა ესღა სთქვა:
ეგებ წამიღოთ შინაო,
მაღირსოთ ჩემი სამშობლო,
მამა-პაპათა ბინაო.

ძაძით შეიმკო, ვისაც-კი
სმენოდა გურჯის სახელი,
მხოლოდ წლისთავზე შეიქმნა
მშობელი მისი მნახველი,
სამშობლო მიწამ მიიღო
ნაადრევადა მზე-ბნელი,
ყვავილობს მისი ნათესი,
არ ქრება მისი სანთელი!..[1]

[1] ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, N37, გვ.9-10.

ეს ლექსი კომპაქტურად გვიჩვენებს ცარისტული რუსეთიდან სპარსეთში მ.კიკნაველიძის (და მისი ძმების) გადასვლის მიზეზებს. ასევე კარგად ჩანს, რომ სპარსეთში იგი დასაქმებულია მრეწველობაში („სთქვა: მადანია აქაო...“). თავისი საქმიანობის არეალში მას უწევს ურთიერთობა სეფიანთა ეპოქაში მაზანდარანში, მათ შორის გორჯიმაჰალეში დასახლებულ ქართველებთან, რომელთაც ის ელაპარაკება, ემეგობრება და მხარში უდგას.

ლექსის ავტორის თქმით, მანუილს კლავენ ადგილობრივი ავაზაკები შურიანი უცხოტომელების დაკვეთით. ერთი წლის შემდეგ კი ძმები მას გადაასვენებენ საქართველოში და დაკრძალავენ მშობლიურ კიკნაველეთში (საკრაულაში).

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაა დაფიქსირებული ზაქარია ჭიჭინაძის არქივში, საიდანაც ჩანს, რომ ყარამან კიკნაველიძე იცნობდა იმ დროის გამოჩენილ მრეწველსა და ქველმოქმედს აკაკი ხოშტარიას, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი სპარსეთი იყო. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ხელოვნების მუშაკისა და გამომცემლის ალექსანდრე არაბიძისადმი 1918 წლის 8 ოქტომბერს გაგზავნილია წერილი, სადაც მოხსენიებულია უკვე გარდაცვლილი ყარამან კიკნაველიძე, როგორც აკაკი ხოშტარიასთან მისი შუამავალი:

„...თქვენთან ერთი დავალება მაქვს, იმედია, რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ. საქმე აი რაში გახლავსთ: განსვენებულის ყარამან კიკნაველიძის სიტყვით, მის გარდაცვალებამდე, მისავე რჩევით მე მივმართე სპარსეთში პატივცემულს და ქართველობაში კარგათ ცნობილს, ქველ მომქმედს აკაკი ხოშტარიას და დავავალე, რომ მათის დახმარებით მე გამომეცა ერთი ქართული წიგნი, სახელდობრ „ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება“, სადაც მოთავსებული იქმნებოდა დღემდე არსად დაბეჭდილი წერილები.

უკანასკნელ მე გაუგზავნე წერილი და თან ვაახელ ჩემ მიერ გამოცემული წიგნების, უმეტესათ საქართველოს ისტორიული წიგნების თითო ცალი და ასევე დავალებანი აღნიშნული წიგნის გამოსაცემათ. ყარამან კიკნაველიძე რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთიდამ დაბრუნდა თფილისში და მე გადმომცა შემდეგი ცნობა:

აკაკი ხოშტარია პეტერბურგში წასულა და წერილი და წიგნები მის მეუღლეს დაუტოვე. როცა ჩამოვა აკაკი სახლში, მაშინ გადასცემენ მასა და მე იმედი მაქვს, იგი უარს არ გეტყვისო.

მის შემდეგ ყარამან კიკნაველიძე გარდაიცვალა და ამის გარდაცვალებით მე მომესპო ღონის ძიება აკაკისთან მიმართვის, ამისთვის მოგმართავ ჩემო ძვირფასო ალექსანდრე და იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ საქმეში სათანადო სამსახურს გამიწევთ და აკაკი ხოშტარიასთან

დამეხმარებით, რომ აკაკი ხოშტარიამ ეგება რამით დამეხმაროს, რათა მის დახმარებით გამოვსცე ერთი რომელიმე ისტორიული წიგნი...“ [1]

აღსანიშნავია, რომ ამ პუბლიკაციაში ყარამან კიკნაველიძის თაობაზე წერია, რომ „პიროვნება დაუდგენელია“.[2]

ამ წერილიდან არ ჩანს, სად გადასცა ყარამან კიკნაველიძემ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნები მინადორა ხოშტარიას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა ირანის გილანის პროვინციაში მდებარე კასპიისპირეთის საპორტო ქალაქ ანზალიში, სადაც აკაკი ხოშტარიას აშენებული ჰქონდა დიდებული სასახლე, რომლის სილამაზის შესახებ ლეგენდები დადიოდა. ქ.რაშთში (გილანი) რუსეთის კონსული ნეკრასოვი იმოწმებს ადგილობრივების მიერ ამის თაობაზე ენამოსწრებულ და გალექსილ ნათქვამს სპარსულად: ხოშთარ აზ ხოშთარია ქასი ნადარად დარ ანზალი მანზელი – არავის აქვს ხოშტარიაზე უკეთესი სახლი ანზალიში.[3] ეს სასახლე გადაღებული აქვს დიმიტრი ერმაკოვს.[4]

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიღებთ ქართული ენის დიალექტების კორპუსში დაცული იმერელი ერისტო შველიძისგან ჩაწერილი ტექსტიდან, სადაც ის იხსენებს ირანის „გურჯისტანში“ ყოფნის ამბებს. აქაც მოხსენიებულია „ზეგნელი კიკნაველიძის“ გვარი:

[ერისტო შველიძე, 75. გურჯისტანი] მე მაშინ ვიყავი გურჯისტანში, იქ არი, ირანში. მზემ დააღამა იმ დროს, ეხვერწებოდენ ღმერთს, – დაგვიფარეო – და დიდი ამბავი ქონდათ. საცა რო სპარსელეფს ჩვენ ხალხი მოუყვანიათ, იმა ახლა უძახიან გურჯისტანს. ძიელ მიჩოული თ'ვარ ხარ, ვერ გეიგეფ. ქართულს კი ლაპარიკობენ, მარა კარქათ ვერ გეიგებდი. ღორის ხორცი ჭამეს ჩენთან იმ ქართველმა: კაცო, ჩვენ ქართველის ჯიში გვაქო.

გურჯისტანში ყავარი ვხადეთ. ორ თვეს. ვიყავი შარუთში და ასტრაბადში, ბერდენგეზში[5]*. ჩამოვდიოდი იქიდანი...*

---

[1] ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ტომი II. ზაქარია ჭიჭინაძე, თევდორე ჟორდანია. (ტომის რედაქტორები პროფ. ქეთევან გიგაშვილი და პროფ. გიორგი გოცირიძე). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2021. გვ.60-61.

[2] იქვე, გვ.435.

[3] Mehrdad Oskouei, The province of Gilan as depicted in historic post cards; A project conceived by Mehrdad Oskouie; Director of Research-Masoumeh Almasi Mashak; Ilia Publications; 2014, გვ.55,142.

[4] Mehrdad Oskouei, Hadi M. Movahed. Guilan during the Qajar era in Dimitri Ermakov Collection. Nashr-e Farhang-e Ilia, 2020, გვ.123,142.

[5] შარუთი – ქ.შაჰრუდი სემნანის პროვინციაში, მაზანდარანის სამხრეთით; ასტრაბადი – დღევანდელი ქ.გორგანი, იმ დროს შედიოდა მაზანდარანის პროვინციაში, ამჟამად გოლესთანის პროვინციის ცენტრი; ბერდენგეზი – ირანის კასპიისპირეთის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე საპორტო ქალაქი ბანდარ-გაზი.

ირანში იყო ზეგნელი[1] კიკნაველიძე. იმან აქ მობოჭა ხალხი და წეიყვანა იქა. [700] შვიდასი კვამლი ყმა ყავდა იქა. შაჰი რო ჩამოაგდეს, მაშინ ისიც ჩამოაგდო შაჰ-აბასმა. სპარსეთის ნეფე გეიქცა და ჩოუტოვა ეს ნიკოლოზ ხენწიფეს. სამი კონსოლი იყო იქა რუსის. ის კონსოლები ხელს ჩამოართმევდენ, კითხევდენ, როგორ ხარო.

იქ ვაკეთებდით ჩვენე ხე-ტყეს. მუხისა ყავარ ვხთიდით. მერე გაგვიყვანეს სახერხზე, გვახერხიებდენ ხელის ხერხით.[2]

ეს ტექსტი კორპუსში შეტანილია ქეთევან ძოწენიძის 1973 წელს გამოცული ნაშრომიდან „ზემოიმერული კილოკავი“.[3] ტექსტის სათაურში „გურჯისტანი“ გაიგივებულია ფერეიდანთან, თუმცა რეალურად აქ საუბარია მაზანდარანის ქართულ დასახლებებზე.

ამ ტექსტიდან კარგად არ ჩანს, რომელია ეს „ზეგნელი კიკნაველიძე“, მაგრამ გამოკვეთილია, რომ ის ხე-ტყის დამზადებითაა დაკავებული. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სპარსული მონაცემების მიხედვით, მაზანდარანში ძირითადად შალვა და მანუილ კიკნაველიძეები იყვნენ, უფროსი ძმა ყარამანი კი, როგორც ხოშტარიასთან დაახლოებული პირი (თუ კომპანიონი არა?), საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ძმების საქმიანობას ირანის კასპიისპირეთსა და მის მიმდებარე სამხრეთ პროვინციებში. მას მოვლილი ჰქონდა ქართველებით დასახლებული სოფლები და სტატიებსაც აქვეყნებდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. როგორც ჩანს, საქართველოსა და ირანს შორის იგი ძმებზე უფრო ხშირადაც დაიარებოდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პიროვნება ყარამან კიკნაველიძეა, ყველაზე გავლენიანი ძმათა შორის. იმ დროს აკაკი ხოშტარიას სპარსეთის ხელისუფლებისაგან მიღებული ჰქონდა სრულიად კასპიისპირეთში (გილანი, მაზანდარანი, გორგანი, სემნანი) ხე-ტყის მოჭრისა და ექსპორტის ლიცენზია, რაც დეტალურად არის ასახული ირანელი მკვლევარის ჰოსეინ აჰმადის სტატიაში „ქართველი ხოშტარიას ქმედებები ჩრდილოეთი ირანის ტყეებში (1913-1926)“[4], ერასტი შველი-

---

[1] ზეგნელი – სოფ.ზეგანის მცხოვრები. იმერეთის მხარის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ამჟამად შედის ზეგანის თემი სოფლებით ზემო და ქვედა ზეგანი და სოფელი წიფა. ზეგანის თემი მდინარე საკრაულას ხეობაში სოფელ საკრაულას (ყოფილი კიკნაველეთის) ზედა მეზობელია.

[2] www.corpora.co/№/corpus №3091

[3] ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973. გვ.394-395.

[4] Hossein Ahmadi, Eqdamat-e Khoshtaria-ye Gorjestani dar jangal-haye shomal-e Iran (1913-1926). Faslname-ye Tarikh-e Ravabet-e Khareje, sale davazdahom, shomare-ye 47, tabestan-e 1390 (2011). pp.31-53

ძეს კი ამუშავებენ მაზანდარანში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყარამან კიკნაველიძე და მისი ძმები ამ ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობენ. მათ ამ რეგიონში აქვთ დიდი ავტორიტეტი და გავლენა. „ზეგნელ კიკნაველიძეს“ თვით რუსეთის სამი კონსულიც კი მოწიწებით ართმევს ხელს.[1] ფაქტია, რომ იმ პერიოდში სპარსეთის ჩრდილოეთი (აზერბაიჯანი, კასპიისპირეთი და ხორასანი) რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარებს ჰქონდათ დაკავებული, რუსეთის კონსულები თავს ადგილობრივ ხელისუფლებაზე უფრო მაღლა აყენებდნენ, ხოლო რუსეთის ქვეშევდრომ ბიზნესმენებს (მათ შორის, აკაკი ხოშტარიას და, როგორც ჩანს, ძმებ კიკნაველიძეებს) რუსული სამხედრო ძალისა და დიპლომატიური მისიების მხარდაჭერით მოპოვებული ჰქონდათ ფართო პრივილეგიები ამ რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის, რაზედაც მეტყველებენ ჰოსეინ აჰმადის ზემოხსენებული ნაშრომი და უკანასკნელ პერიოდში ირანში გამოქვეყნებული სხვა სტატიები, როგორიცაა:

– მორთეზა ნურაი, ელენა ანდრეევა – რუსი ემიგრანტები და მათი დამკვიდრება ირანში მეოცე საუკუნის დასაწყისში.[2]

– მორთეზა ნურაი, მინა საადათ. რუსების საკუთრების შესახებ სამ ქალაქში რაშთში, თავრიზსა და ასტრაბადში (1900-1921/1318-1340).[3]

– აბდულრაჰიმ ხეირანდიშ, აზამ რაჰიმი-სადათ. რაშთში რუსეთის საკონსულოს მიზნები და ქმედებები ყაჯართა ეპოქის მეორე ნახევარში[4]

– მოჰამად ჰასანნია, დოკუმენტები ხოშტარიას ნავთობის კონცესიის შესახებ ჩრდილოეთ ირანის ნავთობთან მიმართებაში[5] და ა.შ.

---

[1] სავარაუდოდ, მეფის რუსეთის კონსულები ირანის კასპიისპირეთში – რაშთსა და ასტრაბადში და ხორასანის პროვინციის ცენტრში – მაშჰადში.

[2] Morteza Nouraei, Elena Andreeva, Mohajeran-e rus va eskan-e anha dar Iran dar avayele qarn-e bistom. Pejhuhesh-haye tarikhi (elmi-pejhuheshi)-e daneshkade-ye adabiyat va olum-e ensani – Daneshgah-e Esfahan. Doure-ye jadid, shomare-ye 4, zemestan-e 1388 (2010). pp.21-36.

[3] Morteza Nouraei, Mina Sa'adat, Tabiin-e malekiat-e rus-ha dar se shahr-e Rasht, Tabriz va Astrabad (1900-1921 miladi/1318-1340 qamari). Faslname-ye Ganjine-ye asnad, shomare-ye 78, tabestane 1389 (2010), pp.12-30.

[4] Abdulrasul Kheirandish, A'zam Rahimi Jaberi. Ahdaf va karkard-haye konsulgari-e Rusie dar Rasht dar nime-ye dovvom-e 'asr-e Qajar. Pejhuheshname-ye tarikh-haye mahalli-e Iran. Sal-e chaharom, bahar va tabestan-e 1395(2016), shomareye dovvom (peyapey-e 8). pp. 59-70.

[5] Mohammad Hassannia, Asnadi az emtiaz-e naft-e Khoshtaria dar rasta-ye naft-e shomal-e Iran. Peyam-e Baharestan, doure-ye 2, sal-e 2, shomare-ye 7. Bahar-e 1389 (2010). pp.369-404.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ამბაკო ჭელიძის ფონდში არის სახუმარო ლექსთა კრებული, მიძღვნილი თურქესტანის მხარეში მცხოვრები ქართველებისადმი. როგორც ცნობილია, რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ დაწყებული რეპრესიების მიზეზით, ამბაკო ჭელიძე, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბოლშევიკებთან, 1910 წლიდან გადადის აშხაბადში, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდე საქმიანობს, როგორც კომპანია „მელაანის“ წარმომადგენელი. ამ კრებულიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობს თურქესტანის მხარეში (აშხაბადი, სამარყანდი, ბუხარა, ხივა, მერვი, კოკანდი) მცხოვრებ ქართველებს. ამ რვეულის მეთერთმეტე ლექსი ეძღვნება ოთხ ძმას. სხვადასხვა მინიშნებებისა და მონაცემების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ამ ოთხ ძმაში ყარამან, ნიკოლოზ, შალვა და მანველ კიკნაველიძეები იგულისხმებიან.

ოთხ ძმას

ჯერ ახალგაზრდა ხალხია – მეომრათ გამოსულები,
თვალტანადობით საქები, ვით კალმით დახატულები,
მათი შეხედვით კოპწია ქალებს უსკდებათ გულები,
ერთმა ერიშით აიღო ბლომად კულბიცკის ფულები,
მეორემ – ახლო ხანია, მოუწყო მოფარდულები,
მისკენაც მალე წამოვლენ ვერცხლისა ნაკადულები,
ორნიც ყოველ თვე მოდიან ომიდან დაქანცულები.
ვაი თუ ჩვენი ქვეყნისთვის შეიქნენ დაკარგულები?![1]

ამ სახუმარო ლექსში ეჭვს არ იწვევს ოთხი ძმის თვალ-ტანადობა, რაც კარგად ჩანს მათგან შემორჩენილ ფოტოსურათებზე. პირველი ძმა ყარამანი უნდა იყოს, მეორე – ნიკოლოზი, „ომიდან დაქანცული ძმები“ კი შალვა და მანუელი უნდა იყვნენ, რომლებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ სპარსულ წყაროებში, გარდა ხე-ტყის ჭრისა, ირანის კასპიისპირეთში შესული რუსული ჯარის ლოჯისტიკით არაინ დასაქმებული. სამწუხაროდ, გამართლდა ლექსის ბოლო სტრიქონში ამბაკო ჭელიძის მიერ გამოთქმული შიში და ოთხივე ძმა უდროოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამბაკო ჭელიძის ნაცნობობა კიკნაველიძეებთან თურქესტანის მხარეში დაიწყო 1910-იანების დასაწყისში,

[1] გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის ისტორიის მუზეუმიში დაცული ამბაკო ჭელიძის ფონდი 25804-2. მესტვირული „ხაჭაპურები“ საკურთხათ თურქესტანის მხარეში მცხოვრებ ქართველებს. 1917. ასხაბადი.

1916-17 წლებში კი მას ნაკლები კონტაქტი უნდა ჰქონდა ძმებთან, რადგან, ამ ლექსის მიხედვით, ამბაკო ჭელიძემ არ იცის მანუელ კიკნაველიძის დაღუპვის ამბავი.

თუ შევაჯერებთ ამ ლექსსა და ზემოთ მოყვანილ დიალექტურ ტექსტში დაცულ ინფორმაციას, დროისა და ადგილის თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს თურქესტანის მხარესა და მიმდებარე ირანულ პროვინციებში დასაქმებული ოთხი ძმის კიკნაველიძეობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხე-ტყის ბიზნესში უფროსი ძმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს იყო ჩართული და პარიზის სპეციალიზირებული გამოფენისათვის 1899 წელს გაგზავნილი ჰქონდა საკუთარი დამუშავების ხის მასალის ნიმუშები, რასაც იუწყება იმდროინდელი გაზეთი „ცნობის ფურცელი“[1], რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ სპარსეთში გადასულ ძმებს არ უნდა გასჭირვებოდათ ამ ბიზნესის იქ გამართვაც.

ჩნდება კითხვა, როდიდან დაიწყეს ძმებმა ირანის კასპიისპირეთის ხე-ტყის დამზადება? ჯერ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად თუ თავიდანვე აკაკი ხოშტარიას ბიზნესის ქვედა რგოლში იყვნენ ჩართულები? ბ.ორჯონიკიძე წერს, რომ კიკნაველიძეებმა „მუშაობა დაიწყეს რუსეთ-სპარსეთის ხე-ტყის მრეწველობის ამხანაგობაში, იჯარით აიღეს ტყის დიდი მასივები და ნავთობგადამამუშავებელი და თევზის სარეწებისათვის ამზადებდნენ ხის მასალას“.[2]

იმის გათვალისწინებით, რომ სარწმუნო წყაროების მიხედვით ეს ამხანაგობა აკაკი ხოშტარიამ 1913 წელს დააარსა, რასაც მერე მოჰყვა სპარსეთის ხელისუფლებისაგან 1916 წელს მიღებული კონცესია ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში ნავთობის, გაზისა და მადნეულის მოსაპოვებლად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ 1913 წლიდან ჩაერთვნენ კიკნაველიძეები აკ.ხოშტარიას პროექტში, მანამდე კი დამოუკიდებლადაც ეწეოდნენ მცირე ბიზნესს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1913 წლისათვის ყარამან კიკნაველიძეს უკვე შემოვლილი აქვს ირანის კასპიისპირეთისა და სამხრეთით მიმდებარე მხარეების საკმაოდ დიდი ნაწილი და შეგროვებული აქვს ინფორმაცია გასულ საუკუნეებში (სეფიანთა დინასტიიდან ყაჯართა ეპოქამდე) იქ გადასახლებული ქართველების შესახებ. ეს მასალა მას გადაუცია ზაქარია ჭიჭინაძისათვის, რო-

---

[1] გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. 31 ოქტომბერი, N 952. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ინფორმაციის თარიღად ბ.ორჯონიკიძე 1909 წელს ასახელებს (ორჯონიკიძე, გვ.123), როდესაც, ა.კიკნაველიძის მიხედვით, 1907 წელს ძმები უკვე გადახვეწილი არიან სპარსეთში.

[2] ორჯონიკიძე, გვ.122.

მელიც 1913 წელს დაუპატიმრებიათ და ამ დროს მის სხვა საბუთებთან ერთად ყ.კიკნაველიძის ჩანაწერებიც ოხრანკას წაუღია. ამ ფაქტს ზ.ჭიჭინაძე აცხადებს 1922 წლის 11 ნოემბრის გაზეთ „ტრიბუნაში“ (N341) გამოქვეყნებულ წერილში „სპარსელ ქართველთა შესახებ“, სადაც ვკითხულობთ: „ამ ცნობების გარდა მე მქონდა სხვა ცნობებიც, რომელიც შეეხებოდა სპარსეთში მცხოვრებთ ქართველი სოფლების ცნობებს. ეს ცნობები მე დავსწერე ყარამან კიკნაძის ცნობებით (იგულისხმება ყარამან კიკნაველიძე – ნ.ნ.), რომელიც კარგა ხანს სცხოვრობდა სპარსეთში და მას თითქმის მთელი სპარსეთი ქონდა დავლილი და მას სხვა ბევრს ალაგას ენახა ქართული სოფლები. ეს წერილი მე 1913 წელს დამეკარგა დაპატიმრების გამო. ამ ცნობებით არის დიდი ძალი სოფლები ქართველებისა, მათში მცხოვრებთა რიცხვი მილიონები არის და არა ასი ათასი“.[1]

როგორც ჩანს, ყარამან კიკნაველიძეს შერჩენია საკუთარი ხელით შეგროვებული ცნობები კასპიისპირეთის ქართული დასახლებების შესახებ, რაც მის გარდაცვალებამდე ნახევარი წლით ადრე გამოაქვეყნა გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ორ ნომერში (1917 წლის 17 და 18 აგვისტო, NN 27 და 28) [2].

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ წერილებში არსებული ინფორმაცია სპარსეთის ქართველობის შესახებ, ოღონდ ძალიან შემოკლებული, უფრო ადრე დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“ (N98, 1917 წლის 7 მაისი) სათაურით „სპარსეთის ქართველობა“ და მ.საირხელის ფსევდონიმით.[3] თვალშისაცემია ყ.კიკნაველიძისა და მ.საირხელის წერილების ზოგიერთი მონაკვეთების თითქმის სრული მსგავსება. მ.საირხელის ფსევდონიმით მოღვაწე პიროვნების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. გამოირიცხა ისიც, რომ თავად ყ,კიკნაველიძემ ისარგებლა

---

[1] ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ელენე ნაპირელი, მაია ბარიხაშვილი, ფერეიდნული ქრონიკები, „მერიდიანი“, 2020, გვ.224-225; მარინა კუტალაძე, „ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები“ (დისერტაცია), თბილისი, 1990წ. გვ.80.

[2] ამ სტატიების ტექსტი შეტანილია შემდეგ ნაშრომებში: მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, „მერიდიანი“, თბილისი, 2020, გვ.45-47; „ფერეიდნული ქრონიკები“,გვ.206-210; იგივე ტექსტი იქ მოხსენიებული დასახლებების იდენტიფიკაციითა და კრიტიკული ანალიზით იხ. ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა), „მერიდიანი“, თბილისი, 2020, გვ.53-65.

[3] ამ წერილზე ჩვენი ყურადღება მიაქცია მკვლევარმა მიხეილ ჩხიკვაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ამ ფსევდონიმით, რადგან „მ.საირხელი“ პროფესიონალი ჟურნალისტი ჩანს, რომელიც 1917-1918 წლებში შიდა თუ საგარეო პოლიტიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ წერილებს აქვეყნებს სხვადასხვა გაზეთებში („ჩვენი ქვეყანა“, „საქართველო“), ხოლო ფსევდონიმი ოდენ „საირხელი“ უკვე გვხვდება 1927 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ორ ნომერში (N 101, N181), როდესაც ყ.კიკნაველიძე უკვე 10 წლის წინ მოკლულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ან ყ.კიკნაველიძემ თავად მისცა ამ ჟურნალისტს თავისი მასალები, ან კი გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ან თავად მ.საირხელს ხელთ ჩაუვარდათ ყ.კიკნაველიძის ის მასალები, რომლებიც 1913 წელს დაპატიმრებისას დაეკარგა ზაქარია ჭიჭინაძეს.

ძმები კიკნაველიძეების შესახებ ხელთ არსებული ქართული მასალების ანალიზის შემდეგ, შევეხებით კვლევისას მოპოვებულ რუსულ და სპარსულენოვან მონაცემებს, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრულად და მრავალმხრივად წარმოვაჩინოთ მათი კოლექტიური თუ ინდივიდუალური პორტრეტი.

რუსული წყაროები

1911 წლის 25/12 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ანატოლი ანატოლის-ძე ნერატოვი ვრცელ საიდუმლო და სასწრაფო წერილს უგზავნის 1909-1916 წლებში თეირანში რუსეთის დესპანს, სტანისლავ ალფონსის-ძე პოკლევსკის, რომელშიც განხილულია სპარსეთში, კერძოდ კი გილანის პროვინციაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოჩენილი უყურადღებობა და პასიურობა რუსეთის ქვეშევრდომი მრეწველების წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის მიმართ. წერილში 6-ჯერ არის მოხსენიებული ბ-ნი კიკნაველიძე, რომელსაც, ამ წერილის მიხედვით, თავადაც მიუმართავს საგარეო უწყებისადმი გილანში საკუთარი ქონებრივი უფლებების დაცვის მოთხოვნით. მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ხაზს უსვამს, რომ დაუსჯელი არ უნდა დარჩეს ადგილობრივ მმართველთა უმოქმედობა კიკნაველიძის საქმის მიმართ, კიკნაველიძეს უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი, რომელიც მას მიადგა მისი საწარმოს შენობების გადაწვის შედეგად (ტექსტშია: дело поджога бараков русско-поданного Кикнавелидзе -ნ.ნ.). წერილის დასასრულს ა.ა.ნერატოვი მოუწოდებს ს.ა.პოკლევსკის აქტიური ქმედებებისაკენ, რადგანაც „პასიური დამოკიდებულება ყოველივე ამისადმი, რაც ხდება ამჟამად გილანში, გამოიწვევს ამ პროვინციაში ჩვენი პრესტიჟის დაცემას როგორც სპარსელების, ასევე რუსეთის ქვეშევრდო-

მების თვალში, რადგან ვერ ხერხდება მათი სამართლიანი საქმეებისა და პრეტენზიების გადაწყვეტა (კიკნაველიძე, ალიევები, ლევინები, კურბანოვები და სხვები).[1]

ამ წერილის მიხედვით, ბ-ნ კიკნაველიძეს (დიდი ალბათობით – ყარამანს) 1911 წლისათვის უკვე ისე აქვს აწყობილი საქმე გილანის პროვინციაში, რომ მისი პრობლემები ადგილობრივ ხელისუფლებასთან განიხილება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დროებითი ხელმძღვანელის დონეზე და თავად კიკნაველიძეც აწარმოებს მიმოწერას რუსეთის საგარეო უწყებასთან და მის წარმომადგენლებთან თეირანსა და რაშთში. ადგილობრივების მიერ გადამწვარი მისი კუთვნილი შენობები კი, სარწმუნოდ, ხე-ტყის სახერხები უნდა იყოს.

გაზეთ „რუსსკოე სლოვო"-ს 1916 წლის 31 ივლისის (13 აგვისტოს) ნომერში დაბეჭდილი იყო შემდეგი ინფორმაცია:

В Персии.

БАКУ, 30, VIII. Из Бендергяза (в Персии) телеграфируют: По дороге из селенья Гурджимахаль- Ашреф[2] сельчанами убит грузинский князь Манвел Кикнавелидзе, выехавший с братьями встречать экспедицию, производившую в провинциях Персии изыскания месторождений нефти. Убийство совершено из мести за суровое обращение князей с сельчанами. Князья Кикнавелидзе и их сельчане – грузины-мусульмане, выходцы из Грузии во времена шаха Абасса, заставившего их принять магометанство.[3]

ეს ინფორმაცია რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო:

1. მანუელ (მანველ) კიკნაველიძე ძმებთან ერთად არის მაზანდარანის სოფელ გორჯიმაჰალეში, ოღონდ არ ჩანს, ოთხივე ძმაა იქ თუ არა.
2. აკაკი ხოშტარიას მიერ სპარსეთის კასპიისპირეთში ნავთობის მოპოვების ლიცენზიის მიღების შემდეგ, ძმები ჩართული არიან ნავთობის საბადოების საძიებო სამუშაოებში.
3. ძმები კიკნაველიძეები მკაცრად ეპყრობიან ადგილობრივ ქართველებს;

---

[1] Международные отношения в эпоху Империализма (Документы из архивов царского и временного правительств 1878-1917г.г.). Серия вторая, 1900-1913, том 18, часть вторая. 14 сентября 1911 г. – 13 ноября 1911 г.). Государственное издательство политической литературы. Москва, 1938. დოკუმენტი N 721, გვ.233-234.

[2] გზა სოფელ გორჯიმაჰალედან ქალაქ აშრაფამდე (დღევანდელი ქ. ბეჰშაჰრი).

[3] http://starosti.ru/article.php?id=51074

4. წერილის ავტორი კიკნაველიძეებსაც, ადგილობრივი ქართველების მსგავსად, შეცდომით მიიჩნევს ქართველ მუსლიმებად, რომელთა წინაპრებიც შაჰ-აბასმა გადაასახლა იქ და ძალით გაამაჰმადიანა.

ამ საგაზეთო ცნობის მეშვეობით გასაღები მოეძებნა სპარსული წყაროების მიხედვით მაზანდარანის სოფელ გორჯიმაჰალეში „რუსი ოფიცრის მკვლელობის“ ბუნდოვან საქმეს.

სპარსული წყაროები:

როგორც ზევით აღინიშნა, ამ ერთმა მოკლე რუსულმა საგაზეთო ცნობამ შესაძლებელი გახადა მაზანდარანის ქართულ სოფელ გორჯიმაჰალეში შემონახულ ზეპირ გადმოცემებში და შემდგომ მაზანდარანელი ქართველი მკვლევრებისა და მწერლების მიერ გამოქვეყნებულ ისტორიებში[1] ნახსენები მოკლული რუსი ოფიცრის – მანუელის იდენტიფიცირება ქართველ მანუელ კიკნაველიძესთან.

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის მაზანდარანის სოფელ გორჯიმაჰალეს ისტორია და იქაური მამაცი ახალგაზრდის მოჰამად ჯაბეს მიერ მტარვალი რუსი ოფიცრის მანუელის მკვლელობის ამბავი ცნობილი გახდა მას მერე, რაც ალიაქბარ ოჯაქემ გამოსცა ბროშურა, სადაც შეიტანა აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის მიერ ამ ისტორიის გალექსილი ვერსია.[2] ამ ნაშრომზე დაყრდნობით 2008 წელს ქართველმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს წერილები, სადაც მოკლული მანუელის რუსობაში ეჭვი არც შეუტანიათ.[3] იგივე თვალსაზრისია გატარებული მა-

---

[1] Ojākeh, Aliakbar. *Tārixče-ye rustā-ye Gorji-mahalle va dāstān-e Mohammad-e Jabbeh.* Sāri: Našr-e Mehr-e Sājjadeh. 1382 (2003);

Ojākeh, Aliakbar. Farhang-e gorjihā (guyeš-e ahāli-e Gorji-mahalle-ye Behšahr. Sāri: Entešārāt-e Ide-e ayyām. 1390 (2011);

Heydari-Gorji, Abdolali. Tārix-e Gorji-hāye Irān. Tehrān: Negāh-e Bideh.1389 (2010);

Kāzemi-Gorji, Aliakbar. Azgilhā-ye vahši (Mohammad-e Jabbe – mobārez-e xastegināpazir). Qom: Mo'asesse-ye Bustān-e ketāb. 1392. (2013)

[2] Ojakeh-1382, ამ ნაშრომმა სოციალურ ქსელებში მაზანდარანელი ქართველების კრიტიკა დაიმსახურა, რადგან ეს შეფასდა, როგორც სამეცნიერო (ლიტერატურული) ქურდობა.

[3] პაატა ჯაფარიძე, ზვიად ცხვედიანი. ქართველების დასახლება მაზანდარანში (გორჯი მაჰალე). ჟურნალში: პერსპექტივა-XXI, N8. გვ.70-73;

ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ. ახალი ინფორმაცია ირანელი ქართველების შესახებ (ქართველები მაზანდარანში). ჟურნალში: *„ქართველოლოგია“,* 2008, №:5, გვ.100-103

ზანდარანელი ქართველების შესახებ 2017 წელს გამოსულ კოლექტიურ ნაშრომში.[1]

აბდოლალი ჰეიდარი გორჯის მიერ 2010 წელს გამოცემულ „ირანის ქართველების ისტორიაში“ მოჰამად ჯაბეს ცხოვრებისა და ბრძოლის ამბები აღწერილია როგორც პროზაულად, ასევე ლექსადაც.[2] რამდენიმე წლის შემდეგ კი, კიდევ ერთი მაზანდარანელი ქართველი, ყუმში მცხოვრები ალიაქბარ ქაზემი-გორჯი აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ნაშრომის საფუძველზე წერს რომანს “ველური ასკილი – მოჰამად ჯაბე, დაუღალავი მებრძოლი“[3]. ყველგან მოჰამად ჯაბეს მიერ მოკლული ოფიცერი მანუელი რუსად არის მოხსენიებული. გვარი „კიკნაველიძე“ და მანუელის ქართველობა არსად ჩანს.

2019 წლიდან დაწყებული პროექტის (FR 18/7653) მსვლელობისას, პროექტის უცხოელი კონსულტანტის, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორის გუდარზ რაშთიანის დახმარებით ხელი მიგვიწვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება რუსეთის ქვეშევრდომის, ქართველი თავადის (ქნიაზ-ე გორჯი) მკვლელობის საქმეს, სულ რამდენიმეგანაა ნახსენები მოკლულის გვარი „ქიქნავლიდზე“ ან „გიგნაველიდზე“. მანუელი იწოდება „მოკლულ კნიაზად“. იქვე ფიგურირებს ერთი ძმა, რომელიც მოხსენიებულია, როგორც „კნიაზის ძმა“ (ბარადარ-ე ქნიაზ).

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ნაშრომში მოჰამად ჯაბესადმი მიძღვნილ თავში არის ქვეთავი სათაურით „მოჰამად ჯაბეს მიერ რუსი მეთაურის მანუელის მოკვლა“, სადაც ნახსენებია სამი ძმა – მანუელ, შალვარ[4] და რითქა[5] – მაზანდარანში რუსული ჯარების მაღალი რანგის მეთაურები. მანუელის მკვლელობის ასეა აღწერილი:

მანუელი, შალვარი და რითქა სამი ძმა იყვნენ, რომელთაც მაზანდარანში გაგზავნილ რუსის ჯარში მაღალი თანამდებობები ეკავათ.

მანუელი მაზანდარანში რუსების ერთ-ერთი სარდალი იყო, რომლის სამეთაურო ცენტრი ქალაქ გორგანში იყო დისლოცირებული და მის დაქვემდებარებაში არსებული არეალი ქალაქ სარიმდე გრძელდებოდა.

---

[1] პაატა ჯაფარიძე, გრიგოლ ბერაძე, გიორგი გოცირიძე, თამარ დემეტრაშვილი, დავით შავიანიძე, ზვიად ცხვედიანი. მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2017. გვ.25-27.

[2] Heidari-gorji... გვ.208-256

[3] Kazemi-gorji, დასახ.რომანი.

[4] ირანელებისათვის უცხო ქართულმა საკუთარმა სახელმა „შალვა“-მ სპარსულ „შალვარ“-თან (ქართ.შარვალი) მიმსგავსებით მიიღო ასეთი სახე.

[5] რითქა-ს იდენტიფიკაციას ქვემოთ ვეცდებით.

იმ შენაერთს, რომელიც ბეჰშაჰრის გარეუბანში, გორჯიმაჰალეს რაიონში იდგა, მთის ფერდობზე მდებარე ათეშგასთან[1], გორჯიმაჰალესა და ასიაბსარს შორის ჰქონდა გაშლილი ბანაკი.

ამ რუსული შენაერთის სარდლობა მანუელს ჰქონდა დაკისრებული. იგი ხელყოფდა ამ რაიონის ტყეებს. მოჭრილი ხე-ტყე მისი მითითებითა და ხელმძღვანელობით რუსეთში იგზავნებოდა, ხოლო იმ მხარის ცხოველთა სამყარო, განსაკუთრებით კი გარეული ღორი, განადგურების პირას იყო მიყვანილი. მანუელი ტახის ხორცის ნაწილს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ძალებს ახმარდა, დანარჩენს კი რუსეთში გზავნიდა.

რუსები მხოლოდ ძელქვას ჭრიდნენ, რადგან მაღალი ხარისხისა იყო და იმ დროის მრეწველობაში გამოიყენებოდა „ოროსის“[2] დასამზადებლად. ეს წარმოება ირანში ძალიან განვითარებული იყო. ყველა თექიეს[3], იმამზადეს[4], გვაროვანთა და დიდებულთა სახლების კარ-ფანჯარა ოროსით იყო გაკეთებული, რადგან ძალიან ლამაზი ორნამენტები ჰქონდა. ახლა, თუკი სადმე შემორჩა ასეთი კარ-ფანჯარა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება და დაცულია.

მანუელის თავხედობა და ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ ერთ შუახნის ქართველ ქალს აიძულა თავისი ბანაკის სამზარეულოში მუშაობა.

ეს ამბავი მივიდა მოჰამად ჯაბეს ყურამდე. ამ უღირსი ქმედების გამო მან მკაცრი მუქარა შეუთვალა მანუელს: „სასწრაფოდ გაათავისუფლე დატყვევებული ქალი“.

მანუელმა არანაირი ყურადღება არ მიაქცია მოჰამად ჯაბეს შენათვალსა და მუქარას. პირიქით, თვალთვალი და დევნა დაუწყეს მას, რადგან მიხვდნენ, რომ იგი ერთი უბრალო რიგითი ადამიანი კი არა, არამედ მამაცი და ვაჟკაცი პიროვნება იყო და მას შეეძლო აესრულებინა რუსებისთვის შეთვლილი მუქარა.

რუსები მუდმივად სდევნიდნენ ქართველ ვაჟკაცს, მაგრამ უშიშარი ქართველი გმირი შუახნის ქართველი ქალბატონის განთავისუფლებისათვის ღიად და საფუძვლიანად ჩაერთო საქმეში.

მოჰამადი და მისი მეგობრები რამდენიმე დღე ჩასაფრებული იყვნენ. ერთ საღამოსაც ბადრაგმა ეს შუახნის ქალი სოფელ გორჯიმაჰალეში მიიყვანა საკუთარი დედ-მამის მოსანახულებლად.

რადგანაც გოლესთანის (ასე ერქვა ამ ქალბატონს) სახლი კონტროლდებოდა, მოჰამადი სწრაფად და გამიზნულად მიიჭრა სახლთან, ჯერ

---

[1] ათეშგა – სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემელთა საკულტო ნაგებობა.

[2] ოროსი – ირანში, განსაკუთრებით კასპიისპირეთში გავრცელებული ასაწევ-ჩარჩოიანი ფანჯრის სახეობა.

[3] თექიე – რელიგიურ-საკულტო შენობა შიიტურ ირანში.

[4] იმამზადე – შიიტი იმამების შთამომავალთა აკლდამა.

ქალი გაათავისუფლა, შემდეგ კი ჯარისკაცები დახოცა. ორი რუსი ჯარისკაცის სიკვდილი ეცნობა რუსების სარდალს.

რუსებმა ყოველი მხრიდან შეავიწროვეს ქართველი ვაჟკაცი იმ იმედით, რომ მას აიძულებდნენ დანებებას ან ბრძოლისაგან ხელის აღებას.

ერთხელაც რუსი სამხედროები ქოლეთისა და როსთამქოლას ტყეებში მოჭრილი ხის მასალით დატვირთული რამდენიმე ურმით მიემართებოდნენ საკუთარი ბანაკისაკენ სეიედ ქარიმის მოკირწყლული გზით. ქართველი მებრძოლი გადაეღობა მათ, ჩამოაცლევინა ტვირთი, რომელიც შემდგომ მოსახლეობას გაუნაწილა.

ამ ამბავმა გააბრაზა რუსი მეთაური და მან სოფელ გორჯიმაჰალეს გადაწვის ბრძანება გასცა.

გორჯიმაჰალეს გადაწვამ და მოსახლეობის გაუბედურებამ ძალიან შეაწუხა და აღაშფოთა ქართველი ვაჟკაცი. თავისი მეგობრების დახმრებით მან გადაწყვიტა მტარვალი რუსი სარდლის მოკვლა.

მებრძოლებმა ამგვარი გეგმა შეიმუშავეს: ისინი ჩაუსაფრდებოდნენ მანუელს იმ დროს, როდესაც ის ზედამხედველობას უწევდა ხე-ტყის გადაზიდვას რუსეთში და ერთბაშად მოათავებდნენ საქმეს (ანუ მოკლავდნენ მანუელს – ნ.ნ.).

ისინი სეიედ ქარიმის გზაზე, ბორუხილის[1] თექიეს მიმდებარედ, აბუთალების სახლში გამაგრდნენ.

ქართველი ვაჟკაცი თავის თანამოაზრეებთან ერთად ზედა სართულზე ისვენებდა, როდესაც ყარაულებმა მას აცნობეს მანუელის გამოჩენის შესახებ.

მოჰამად ჯაბე დასვენების დროს მათრახს ჭერში კიდებდა და ფეხებს მათრახის ყულფში ჰყოფდა, რათა ყოველდღიური სიარულის გამო დაღლილი ფეხები მოესვენებინა და გაეიოლებინა სისხლის მიმოქცევა.

როგორც ჩანს, რუსმა მეთაურმაც შეიტყო, რომ ქართველი მებრძოლები თექიეს მიმდებარედ იყვნენ ჩასაფრებულები.

მანუელი და მისი ძმა შალვარი როსთამქოლას მიმართულებით მოძრაობდნენ, როდესაც რუსმა სარდალმა აბუთალების სახლს სროლა აუტეხა.

მოჰამადი სასწრაფოდ წამოხტა, ხელთ აიღო ბრენდელის თოფი[2] და მისთვის ჩვეული ოსტატობით საპასუხო ცეცხლი გაუხსნა რუსებს.

---

[1] ბორუხილი – გორჯიმაჰალეს ერთი უბანი.

[2] ე.წ. ბერდანკა.

ქართველმა გმირმა პირველივე გასროლით ჩამოაგდო (ცხენიდან – ნ.ნ.) რუსების მეთაური მანუელი.

დაჭრილმა მანუელმა მოახერხა სოფლის საერთო აბანომდე მისვლა, კვლავ შეჯდა ცხენზე და მივიდა ათეშგას სიახლოვეს მდებარე ბანაკთან. იქ კიდევ ერთხელ ჩამოვარდა ცხენიდან და სული განუტევა.

მანუელის სიკვდილი მისმა ძმამ , შალვარმა აცნობა მთავარ სამეთაურო პუნქტს. გამოცხადდა განგაში. ზარბაზანი დააყენეს გორაკზე და დაიწყეს გორჯიმაჰალეს დაბომბვა. ქალებმა და ბავშვებმა მთას შეაფარეს თავი. რამდენიმე სოფლელი დაიჭრა. მოჰამადი და მისი მეგობრები ბალა ქილეს ნაკადულის უკან გამაგრდნენ და იქიდან პასუხობდნენ რუსების ცეცხლს.

მოჰამადის მეგობრებს ზარბაზნის შიში ჰქონდათ. რადგან მოჰამადს გავლილი ჰქონდა სამხედრო სამსახური და იცნობდა მძიმე შეიარაღებას, იგი ამშვიდებდა და აგულიანებდა თავის თანამებრძოლებს და ეუბნებოდა: ეს ზარბაზანი რამდენიმე გასროლის შემდეგ ცხელდება და მისი ნასროლი შორს ვეღარ წვდებაო.

ქართველმა მებრძოლებმა არაფერი დაუთმეს რუსებს. გამწარებული რუსები სოფელში შეიჭრნენ, ყველაფერი გადაწვეს, დახოცეს ხალხი და დაიტაცეს ქონება.

სოფლის უხუცესი მირსადოლა აჰმადიანი ყურანით ხელში წინ გადაუდგა რუსებს.

როგორც ირკვევა, მანუელის მერე დანიშნული მეთაური მაჰმადიანი იყო და ყურანის ხილვაზე შეწყვიტა სოფლის ძარცვა და გადაწვა.

სხვა სოფლელმა, კერძოდ ყასემმა, რომელიც ენას უკიდებდა, მაგრამ ცოტა რუსული იცოდა, რუსებს უთხრა: ქართველი მოჰამადი აქ არაა. პირობას გაძლევთ, რომ მას დავიჭერთ და თქვენ ჩაგაბარებთ.

მოჰამად-თასქი-მაჰალეში[1] რუსების ცეცხლი სრულიად შეწყდა.

რუსი მეთაურის, მანუელის ცხედრი ბანდარ-გაზში წაიღეს და შემდგომ გემით რუსეთში გადაასვენეს. მანუელის მოკვლის შემდეგ თანდათან შემცირდა რუსების ზეწოლა ადგილობრივებზე, ასევე დასრულდა ტყეების უმოწყალო გაპარტახება.

მოჰამად ჯაბესა და მისი თანამებრძოლების გარჯის წყალობით გორჯიმაჰალესა და მისი მიდამოების მაცხოვრებლებმა მშვიდად და უსაფრთხოდ იგრძნეს თავი.[2]

---

[1] გორჯიმაჰალეს ერთ-ერთი უბანი

[2] ჰეიდარი-გორჯი, გვ.218-221.

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ამ მონათხრობში ვერ ვხედავთ მანუელის უფროს ძმებს, ყარამანსა და ნიკოლოზს.

ალიაქბარ ქაზემი-გორჯის რომანში[1], რომელიც ეყრდნობა აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის მიერ აღწერილ მოჰამად ჯაბეს თავგადასავალს, „რუსი ოფიცერი მანუელი“ ჩნდება პირველი მსოფლიო ომის დაწყების თხრობისას, როდესაც რუსეთის სამხედრო გემები მიადგებიან ირანის კასპიისპირეთის კუნძულ აშურადეს და იქ გადასხამენ სამხედრო შენაერთებს. სპარსეთს ამ ომში ნეიტრალიტეტი უჭირავს, რუსები წინააღმდეგობის გარეშე მიიწევენ წინ და იკავებენ მიანქალეს ფალანგანის ციხეს:

„მანუელი – რუსების პოლკის მეთაური... მედიდურად და ამაყად ციხის ბანიდან ათვალიერებს მიდამოებს. იგი შორს ხედავს ზღვას და იმ თბომავლებს, რომლებმაც ისინი კუნძულზე მოიყვანეს. ცოტა ხანში ჭარბი ტენიანობისაგან მეთაურს შუბლზე ოფლი ასხამს და ბანიდან ქვედა სართულზე ჩადის. შემდეგ თავის პოლკს უბრძანებს ადგილიდან დაძვრას. ისინი გაივლიან ლელქაშებს, ადგილობრივების ხორბლისა და ბრინჯის ნათესებს და მიადგებიან სოფელ ყარათეფეს. მათ დანახვაზე შეშინებული ხალხი სახლებში შეიყუჟება, შიგნიდან გამოიკეტება და ელოდება, თუ რა მოჰყვება ამ თავდასხმას. თუმცა რუსი ჯარისკაცები იქ არ ჩერდებიან და პირდაპირ აგრძელებენ მსვლელობას სამხრეთის მიმართულებით, ვიდრე არ მიაღწევენ ქუჰესთანის ათეშგამდე, სადაც იწყებენ სამხედრო ბანაკის მოწყობას. ადგილობრივი ხელისუფლების პირით ისინი მოსახლეობას ატყობინებენ, რომ ირანის მთავრობის მიერ გამოცხადებული მიუმხრობლობის გამო, რუსებს არაფერი ესაქმებათ ხალხთან, მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ საკუთარ ხელისუფალთაგან განსხვავებით, ხალხს ეზიზღება რუსები!“[2]

გორჯიმაჰალელი ახალგაზრდა მოჰამად ჯაბე და მისი თანამოაზრეები, რომლებიც რუსების შემოსვლამდე წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და იცავდნენ თანასოფლელებს მათი ჩაგვრისაგან, ახლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან და მხარში უდგანან უბრალო მოსახლეობას. ასე გადის ორი წელი.[3]

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ალიაქბარ ქაზემი-გორჯის რომანი „ველური ზღმარტლი. მოჰამად ჯაბე – დაუღალავი გმირი“ მოკლებულია რაიმე მხატვრულ ღირებულებას, რაც კარგად ჩანს ქართულ თარგმანშიც. თხრობა პრიმიტიული და მონოტონურია.

[2] Kazemi-gorji, pp.135-136

[3] იქვე, გვ.140, 159-160

რომანის ოცდამეშვიდე თავი მთლიანად ეხება მანუელის მკვლელობას. მანუელის ბრძანებით ლეიტენანტ „რითქას“ (ريتكا), რომელიც ამავდროულად მანუელის ძმაა, სოფლიდან ბანაკში იძულებით მოჰყავს შუახნის ქალი, სახელად „გოლესთან“, რომელსაც ავალებენ მზარეულობას. სარწმუნოებრივი მოსაზრებებით გოლესთანი უარზეა, რუსებს საჭმელი დაუმზადოს გარეული ღორის ხორცისაგან. „უზომო ლოთობისაგან თვალებდასიებულ“ მანუელსაც უწევს გოლესთანთან სიტყვიერი ჭიდილი. იგი მეტყველებს დამტვრეული სპარსულით, არ თუ ვერ ხმარობს ზმნის პირის ნიშნებს. გოლესთანი საპასუხოდ ეუბნება, რომ მოჰამად ჯაბე გაიგებს მისი ტყვეობის ამბავს და შურს იძიებს რუსებზე, რის გაგონებაც მანუელს სიცილადაც არ ჰყოფნის. საბოლოოდ, მრავალი მუქარის შემდეგ გოლესთანი ერთი პირობით თანხმდება ღორის ხორცთან შეხებას – კვირაში ერთხელ მას უნდა მიეცეს სოფელში მიტოვებული მშობლების მონახულების უფლება. მანუელი და რითქა მსჯელობენ, ამგვარი თანხმობა რაიმე საფრთხეს ხომ არ შეიცავს. რითქა შიშობს, რომ გოლესთანის სახლში მისვლით გაცხადდება მისი უკანონო პატიმრობის ამბავი და ამის გამო სოფლის ახალგაზრდობა რუსებს პრობლემებს შეუქმნის. მანუელი კი ამაზე მედიდურად პასუხობს, რომ ისინი მას ვერაფერს დააკლებენ, რადგან თვით სპარსეთის მთავრობაც კი ვერ უბედავს მას ალმაცრად შემოხედვას. პირობის თანახმად, გოლესთანი რამდენიმე დღის განმავლობაში მორჩილად ამზადებს ღორის ხორცის კერძებს, რის შემდეგაც ორი ჯარისკაცის ბარდაგით ეძლევა ერთდღიანი შვებულება მშობლების მოსანახულებლად. მოჰამად ჯაბე და მისი თანამებრძოლები კლავენ რუს ჯარისკაცებს და ათავისუფლებენ გოლესთანს.[1]

„მანუელი ამ ამბის გაგონებაზე გიჟდება: არა! ეს შეუძლებელია! ცოტა ხნის შემდეგ რითქა ორი ჯარისკაცის გვამს მიიტანს ბანაკში და განუცხადებს: რაა შეუძლებელი? აგერ მათი გვამები.

– აი, ნახავ, მე მათ ყველას დავხვრეტ!

იგი ამ მუქარის შემდეგ ალკოჰოლის ერთ ბოთლს ცლის, იწმენდს ტუჩებს და აღელვებული უმატებს:

– აქვე, აქვე, ამ ბანაკში ყველას დავხვრეტ!

ამის შემდგომ, მანუელის ბრძანებით რუსი ჯარისკაცები ერთი კვირის მანძილზე შედიან სოფლის სახლებში სარდალ ჯაბესა და მისი თანამებრძოლების საპოვნელად, მაგრამ იქ მათ მცირეოდენ კვალსაც ვერ პოულობენ“.

---

[1] იქვე, გვ.218-223.

რამდენიმე დღის მერე მოჰამად ჯაბე ახალ თავდასხმას რუსების ხეტყით დატვირთულ ქარავანზე ახორციელებს. რუსები გარბიან, ხოლო მოჰამად ჯაბე წართმეულ შეშას მოსახლეობას ურიგებს:

მანუელი ისედაც ხომ გიჟი იყო, მაგრამ ამის გაგონებაზე კიდევ უფრო გიჟდება:

– რითქა. გადაწვი სოფლელთა სახლები! ისე ჰქენი, რომ აღარსად ედგომებოდეთ!

რითქა ემორჩილება უფროსის ბრძანებას, თავისი ამალით შეიჭრება გორჯიმაჰალეში და, ქეთხუდას სახლის გარდა, ყველა სახლს ცეცხლს უკიდებს. ცეცხლწაკიდებულ სოფელს ლაჩინის მთიდან დასცქერის მოჰამად ჯაბე და იღებს გადაწყვეტილებას, ნებისმიერ ფასად მოკლას მანუელი. ერთხელაც მანუელს მოღალატე ქეთხუდა შეატყობინებს, თუ სად არიან შეკრებილი მოჰამად ჯაბე და მისი თანამოაზრები. მანუელი თავის ძმასთან და ჯარისკაცებთან ერთად ალყას შემოარტყამს იმ სახლს და წინასწარი გაფრთხილების გარეშე გაუხსნის ცეცხლს. ალყაშემორტყმული სახლის სარკმლიდან მოჰამად ჯაბე ამოიცნობს მანუელს და ზუსტი გასროლით მას აყენებს მძიმე ჭრილობას. ამის დანახვაზე რუსები ფრთხებიან და გარბიან. დაჭრილი მანუელი დიდი წვალებით კვლავ შეჯდება ცხენზე და მიაღწევს ბანაკამდე, მაგრამ სისხლისაგან დაცლილი უსულოდ ვარდება ცხენიდან.

იმავე დღის საღამოს რითქა თავისი ძმის სიკვდილს აცნობებს მთავარსარდლობას ასტრაბადში. რუსები მყისვე ნიშნავენ ახალ მეთაურს, ვინმე რასულოვს, ზარბაზნებს განალაგებენ გორაკებზე და გორჯიმაჰალეს მძიმე ჭურვებით ბომბავენ. შემდეგ ქვეითები შეიჭრებიან სოფელში და აწიოკებენ მოსახლეობას. რომანის მიხედვით, მეტი მსხვერპლისაგან სოფელს გადაარჩენს რასულოვის მაჰმადიანობა. ერთი ადგილობრივი ყურანით ხელში მიდის მასთან და ავედრებს, ხელი აიღოს უდანაშაულო ხალხის დარბევისაგან. რასულოვის ბრძანებით, რუსები თავს ანებებენ სოფელს და მთებში მისდევენ მოჰამად ჯაბეს რაზმს. ბრძოლები უკვე მთის ხეობებში გრძელდება, ვიდრე არ დაიდება ვერსალის საზავო ხელშეკრულება, დასრულდება პირველი მსოფლიო ომი და რუსებიც დატოვებენ სპარსეთის ტერიტორიას.[1]

როგორც რომანის ამ პასაჟებიდან ჩანს, ალიაქბარ ქაზემი-გორჯის მხოლოდ ორი ძმა ჰყავს გამოყვანილი – მანუელი და რითქა. არ არიან მოხსენიებული შალვა (შალვარ), ნიკოლოზი და ყარამანი.

---

[1] ქაზემი-გორჯი, გვ.223-227

ორივე მაზანდარანელი მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს მანუელისა და რითქას ძმობას, რისი გაზიარებაც პრობლემატური ჩანს, რადგან ქართული მონაცემების მიხედვით სავსებით ნათლად ჩანს ოთხი ძმა კიკნაველიძის (ყარამანი, ნიკოლოზი, შალვა, მანუელი) არსებობა. გასარკვევია „რითქა"-ს ვინაობა. დიდი ალბათობით ეს უნდა იყოს რუსეთის არმიის მაღალი რანგის ოფიცრი ალექსანდრ იოსების-ძე რედკო Редько Александр Иосифович (1881-1931წწ). იგი იყო რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე (1904-1905წწ). 1909 წელს რუსულ ჯართან ერთად ილაშქრა სპარსეთში. შემდეგ მეთაურობდა თურქესტანის მეოთხე მსროლელთა ბრიგადას, რომელიც სპარსეთის ხორასანის პროვინციასა და მიმდებარე ოლქებს აკონტროლებდა.[1] აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ა.რედკოსა და ძმები კიკნაველიძეების ნაცნობობა და სამხედრო თანამშრომლობა. მართალია, ალიაქბარ ქაზემი-გორჯიმ 1917 წლიდან გენერალ-ლეიტენანტის წოდების მატარებელი რედკო თავის რომანში ლეიტენანტად წარმოაჩინა, მაგრამ „უბოძა" კიკნაველიძეების ძმობა. რაც შეეხება რედკო-ს გარდასახვას „რითქა"-ში, ეს პროცესი რუსულიდან სპარსულში სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია:

რედკო > რეძკო >რიძქა>რითქა – რამეთუ თანხმოვნები „ძ" და"კ" სპარსულში არაა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალაც გვიჩვენებს, რომ მანუელ კიკნაველიძე (ქნიაზ-ე გორჯი) და მისი ძმა (სავარაუდოდ, შალვა) უხეშად ერევიან ადგილობრივ საქმეებში, ხოლო მანუელის მკვლელობის შემდეგ ძმები რუსული სამხედროების მეშვეობით ატერორებენ გორჯიმაჰალეს მოსახლეობას.

ქვემოთ მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ძმები კიკნაველიძეები ხელს უშლიან ადგილობრივ ხელისუფლებას გორჯიმაჰალედან ჯარისკაცების გაწვევაში:

დოკუმენტი GH1333-K45-P57-3

მაზანდარანის შეიარაღებული ძალების სარდლის წერილი
ირანის ომის (სამხედრო) სამინისტროს

ომის სამინისტროს ღერბიანი ბლანკი
N563
თარიღი: უთარიღო
(სავარაუდოდ 1914-1915, რადგან მთვარის ჰიჯრის 1333 წლის საქმეებში დევს ეს დოკუმენტი – ნ.ნ.)

[1] https://baza.vgd.ru/1/26954/; http://www.rusgeneral.ru/general–r1.html

[მაზანდარანის პროვინციის] აშრაფის (დღევანდელი ბეჰშაჰრი -ნ.ნ.) რაიონის სოფელი გორჯი-მაჰალე იძლევა ჯარისკაცების გარკვეულ რაოდენობას. იქაური მაცხოვრებლების უმეტესობა ექვემდებარება გაწვევას. იქ ახლა იჯარით დასაქმებული და მობინადრე ქრისტიანი თავადის (იგულისხმება შალვა კიკნაველიძე – ნ.ნ.) თავნებობითა და მხარდაჭერით იჩენენ უპატივცემულობას [სამხედრო სამსახურის მიმართ – ნ.ნ.].

თავადი ისე გათავხედდა, რომ ადგილობრივ და ახლომდებარე სოფლების გლეხობას არაფერს უტოვებს.

ბოლო დროს [თავადი -ნ.ნ.] შეეხო ადგილობრივი მაცხოვრებლების სინდის-ნამუსსაც.

ერთი-ორჯერ დავაპირეთ დამნაშავე [დეზერტირი] ჯარისკაცების დასჯა, მაგრამ თავადი, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომია, წინ აღუდგა ჯარისკაცების წაყვანას.

ახლა თავადი რუსეთშია წასული და იქ დარჩენილია მისი უმცროსი ძმა [მანველ კიკნაველიძე, რომელსაც 1916 წელს კლავს გორჯი-მაჰალეში ადგილობრივი მაზანდარანელი ქართველი მოჰამად ჯაბბე – ნ.ნ] და განსაკუთრებულ ინტრიგებს აწყობს. ქართველობის მხრიდან განსაკუთრებით გაიზარდა ბოროტმოქმედება, რის გამოც ადგილობრივი ულემები, მოხელეები და უბრალო გლეხები ერთობლივად მიცვივდნენ ტელეგრაფში და გააგზავნეს ტელეგრამა მათ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის შესახებ.

არსებული შესაძლებლობით მოვახერხეთ მათი ამბოხის დაწყნარება და ისინი გავფანტეთ. ამ ვითარების შესახებ ვაცნობეთ მაზანდარანში საგარეო საქმეთა სამინისტროს აგენტს (წარმომადგენელს).

ახლა გიგზავნით აშრაფის მმართველის წერილის, ადგილობრივების ტელეგრამისა და აგენტის პასუხის ასლებს.

გთხოვთ, მიიღოთ ზომები ადგილობრივი მაცხოვრებლების დასამშვიდებლად და დამნაშავე ჯარისკაცების დასასჯელად, რათა ამაზე უფრო მეტად არ გაიზარდოს დამნაშავეობა და მესვეურებს (ხელისუფლებას – ნ.ნ) არ შეექმნათ დამატებითი პრობლემები.

თუკი მოხერხდება წინააღმდეგობის დაძლევა [იგულისხმება წინააღმდეგობა ქართველი თავადის მხრიდან – ნ.ნ.], მაშინ გაიოლდება [დეზერტირი] ჯარისკაცების დასჯა და ადგილობრივი მაცხოვრებლების დაშოშმინება.

მანუელ კიკნაველიძის მკვლელობის შემდეგ ირანის ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებებსა და რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს შორის იწყება მიმოწერა, რომლის მიზანიცაა ჭეშმარიტების დადგენა, მკვლელობაში დამნაშავეების დაკავება-დასჯა და რუსი სა-

მხედროების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოებული სადამსჯელო ოპერაციის შეწყვეტა:

GH1334-K46-P59-36

საგარეო საქმეთა სამინისტრო
რუსეთის საქმეთა სამმართველო
თარიღი 1334 წლის 3 შავვალი
[შეესაბამება 1916 წლის 4 აგვისტოს]
ტელეგრამა
ასტრაბადი
უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლობას [საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობას?- ნ.ნ.]

რა გახდა გორჯი-მაჰალეში თავადის ძმის მკვლელობის მიზეზი? მკვლელის მოძიებისა და დაჭერისათვის, ასევე არეულობის დასაშოშმინებლად გაატარეთ ყველა საჭირო ღონისძიება... ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცა სასწრაფო და მკაცრი ინსტრუქციები, რათა ენერგიულად იმოქმედონ მკვლელის დასაკავებლად.
[ხელმოწერა]

დოკუმენტი GH1334-K46-P59-3

საგარეო საქმეთა სამინისტროს ღერბიანი ბლანკი
საგარეო საქმეთა სამინისტროს მაზანდარანის წარმომადგენლობა
თარიღი: მთვარის ჰიჯრის 1334 წლის ლომის ზოდიაქოს 16
[შეესაბამება 1916 წლის 7 აგვისტოს.]
წარმომადგენლობისადმი მაზანდარანის გუბერნატორის ოფისის წერილის ასლი

საგარეო საქმეთა სამინისტროს მაზანდარანის პატივცემულ წარმომადგენლობას

რამდენიმე ხნის წინ გორჯი-მაჰალეში თავადის ძმის მკვლელობასთან დაკავშირებით ასტრაბადში მისი უდიდებულესობა იმპერატორის ხელისუფლების საკონსულოსგან მიღებული იქნა წერილი თავადის ძმის მკვლელობაში მონაწილე რამდენიმე ადამიანის დაკავების მოთხოვნით. გუბერნატორის ოფისმა მიიღო შესაბამისი ზომები, დააპატიმრა ორი პიროვნება, დანარჩენებმა კი მოახერხეს გაქცევა.

შავვალის თვის მეოთხე დღის [1916 წლის 4 აგვისტო – ნ.ნ.] რაპორტის თანახმად რამდენიმე კაზაკი თვითონ თავადის თანხლებით თავს

დაესხა გორჯი-მაჰალეს, გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ასევე მათ დააპატიმრეს რამდენიმე ადგილობრივი მაცხოვრებელი. აფორიაქებულმა მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს.

მაშინვე შევუდექით მოლაპარაკებას და პატივცემულ საკონსულოს ვთხოვეთ კაზაკების უკან გაბრუნება.

გუბერნატორის ოფისი გაატარებს საჭირო ღონისძიებებს დარჩენილ დამნაშავეთა დასაჭერად და დაპირისპირებულ მხარეთა მოსარიგებლად, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს პატივცემული საკონსულოს მოთხოვნა.

ველოდებით სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებების შედეგებს.

ასლი შეესაბამება დედანს

N1320. წარმომადგენლობის ბეჭედი.

შემდეგი დოკუმენტიდან ჩანს, რომ მოკლული თავადის ძმა, სავარაუდოდ, შალვა, 100 კაზაკის მეშვეობით თავს ესხმის სოფელს და ხოცავს უდანაშაულო მოსახლეობას:

დოკუმენტი GH1334-K46-P59-34

მინისტრთა კაბინეტის ღერბიანი ბლანკი

N2419

თარიღი: 1334 წელი, ლომის ზოდიაქოს 18

(შეესაბამება 1916 წლის 9 აგვისტოს)

[თავადი მანუელ კიკნაველიძე უკვე მოკლულია გორჯი-მაჰალელი მაზანდარანელი ქართველის მოჰამად ჯაბბეს მიერ- ნ.ნ.]

პატივცემულ საგარეო საქმეთა სამინისტროს

პატივცემულ სამინისტროს ცნობისათვის ვუგზავნით მაზანდარანის ვიცე-გუბერნატორის ტელეგრამას იმის თაობაზე, თუ რას მოიმოქმედებს გორჯი-მაჰალეში თავადი [იგულისხმება შალვა კიკნაველიძე, მოკლული მანუელ კიკნაველიძის ძმა – ნ.ნ.] 100 კაზაკის დახმარებით საკუთარი ძმის მკვლელის საპოვნელად.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს, რომ მოიძიოს და შეიპყროს მკვლელი, სრულიად მიუღებელია თავადის პირდაპირი ქმედებები, რომელსაც მოჰყვა უდანაშაულო ხალხის სიკვდილი.

ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის თანამდებობის პირებთან გამართეთ მოლაპარაკება და აუხსენით [თავადს -ნ.ნ.], რომ ნუღარ დაესხმება თავს უდანაშაულო მოსახლეობას, რადგანაც ხელისუფლების

მხრიდან ტარდება მკვლელის მოძიებისა და დაპატიმრების სერიოზული ღონისძიებები.

გატარებული ღონისძიებების შესახებ გვაცნობეთ.

წერილის კიდეზე არის ძნელად წასაკითხი რეზოლუცია (სავარაუდოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის ან მისი მოადგილის – ნ.ნ.)

რუსეთის საქმეთა სამმართველოს:

გევალებათ საკითხი სერიოზულად გამოიძიოთ და მოითხოვოთ ამ თვითნებური და ზღვარს გადასული ქმედებების შეწყვეტა.

GH1334-K46-P59-30

თარიღი: მთვარის ჰიჯრის 1334 წლის ?? ზიყადე

[შეესაბამება 1916 წლის აგვისტო/სექტემბერს]

საიდუმლო ტელეგრამა

[საგარეო საქმეთა სამინისტროს] ასტრაბადის წარმომადგენლობას

მას შემდეგ, რაც მაზანდარანის პატივცემული ხელისუფლებისა და ადგილობრივი მესვეურების მხრიდან იდგმება საჭირო ნაბიჯები გორჯი-მაჰალეში თავადის ძმის მკვლელობის ჩამდენი პირის დასაკავებლად, რაღა საჭიროებას წარმოადგენს გორჯი-მაჰალეში რუსი კაზაკების ყოფნა და ყველა იმ პრობლემების შექმნა [ადგილობრივი მოსახლეობისათვის – ნ.ნ.], რაც გამოიხატება ხალხის მკვლელობაში, სახლების გადაწვაში და ა.შ.

სასწრაფოდ გამართეთ მოლაპარაკება კონსულთან და მოითხოვეთ კაზაკების უკან გაწვევა, აშრაფის პატივცემული მმართველის განთავისუფლება, რათა ამ გზით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკეთესად იმოქმედონ საჭირო შედეგის მისაღწევად.

ამ დოკუმენტში საუბარია მკვლელობის გამოძიების მსვლელობაზე:

GH1334-K46-P59-31

რუსეთის საქმეთა სამმართველო

თარიღი: 1335/4/14

[შეესაბამება 1917 წლის 7 თებერვალს]

რუსეთის საელჩოს

ასტრაბადში [დღევანდელი ქ.გორგანი -ნ.ნ.] საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობიდან მიღებული ტელეგრამის თანახმად გაცნობებთ, რომ ბაშ-აჰმადი, რომელიც არის გორჯი-მაჰალეში მცხო-

ვრები ერთი ახალგაზრდა, უკვე დიდი ხანია, რაც თავადის ძმის [ანუ მანუელ კიკნაველიძის – ნ.ნ.] მკვლელობის ჭეშმარიტების გამოძიების მიზნით დაპატიმრებულია ასტრაბადში [დაკავებულია რუსული მხარის მიერ -ნ.ნ.]. ასტრაბადში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მოილაპარაკა რუსეთის პატივცემულ კონსულთან და მხარეები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ იგი [დაკავებული – ნ.ნ.] გადაყვანილი იქნას მაზანდარანში, რათა მოხდეს მისი დაკითხვა მკვლელობის ადგილზე. ოღონდ ხსენებული კონსული ამისათვის ითხოვს პატივცემული საელჩოს ბრძანებასა და ნებართვას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო პატივცემული საელჩოსადმი ადრე გაგზავნილი N3238/2638 წერილის თანახმად, უკვე მოითხოვდა მკვლელობის საქმის გამოძიების მიზნით ეჭვმიტანილთა დაკითხვას მკვლელობის ადგილზე.

გთხოვთ, მისცეთ განკარგულება რუსეთის პატივცემული ხელისუფლების კონსულს ასტრაბადში, რათა ეს საქმე მეტად აღარ გადაიდოს.

[ხელმოწერა]

მანუელ კიკნაველიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სხვა დოკუმენტების შინაარსიც დაახლოებით ზემოთმოყვანილი დოკუმეტების მსგავსია.

მაზანდარანელი ქართველების – აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის, ალიაქბარ ოჯაქეს და ალიაქბარ ქაზემი-გორჯის ვერსიები მანუელ კიკნაველიძის მკვლელობისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ შეესაბამება ზემოთწარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსს.

საყურადღებოა, რომ დღესაც მაზანდარანელები ტელეგრამში აგრძელებენ მსჯელობას 1916 წელს მომხდარი ამბის შესახებ. არხი "აჰურა" (https://telegram.me/Ahurn60) რ.მორადის ადმინისტრირებით აქვეყნებს რამდენიმე პოსტსა და დოკუმენტს მოჰმად ჯაბეს გმირობისა და „რუსი ოფიცრის" მკვლელობის შესახებ.[1] რუსი ოფიცერს ჰქვია „ქნიაზ". ტექსტებში ასევე ფიგურირებს მისი ორი ძმა სახელების გარეშე. რუსი კაზაკები „ქნიაზ"-ის მკვლელობის შემდეგ თავს ესხმიან გორჯიმაჰალეს, კლავენ 7 ადგილობრივ მოსახლეს, ბევრს აყენებენ ჭრილობებს, გადაწვავენ 100-ზე სახლს, აპატიმრებენ რამდენიმე ქართველს და აგზავნიან ასტრაბადში (გორგანში). იქვე აღნიშნულია, რომ ამ მოვლენების შესახებ არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალა (34 ფუ-

[1] **https://t.me/s/Ahurn60?q=%D9%85%D8%AD%D9%85%D8%AF+%D8%AC%D8%A8%D9%87** 2020 წლის 28 სექტემბერი.

რცელზე მეტი), საიდანაც 12 ფურცელი ხელთ აქვს ცნობილ მაზანდარანელ ქართველ მუსიკოსს მოჰამადრეზა ესჰაყი გორჯის.

რუსეთის იმპერიაში (საქართველო, თურქესტანი) და სპარსეთში ძმები კიკნაველიძეების საქმიანობის სრული შესწავლა და სხვადასხვა ენებზე არსებული დოკუმენტური მასალის მოძიება და ერთიანად გამოცემა მკაფიოდ წარმოაჩენს ამ პიროვნებათა რთულ, ტრაგიკულ და წინააღმდეგობრივ პორტრეტებს.[1]

ბიბლიოგრაფია:

ქართული:

ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ელენე ნაპირელი, მაია ბარიხაშვილი, ფერეიდნული ქრონიკები, „მერიდიანი“, 2020

მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, „მერიდიანი“, თბილისი, 2020

ანდრო კიკნაველიძე, თოხის მუშიდან აკადემიკოსობამდე, თბილისი, 2003

მარინა კუტალაძე, „ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები“ (დისერტაცია), თბილისი, 1990

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა), „მერიდიანი, თბილისი, 2020

ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ. ახალი ინფორმაცია ირანელი ქართველების შესახებ (ქართველები მაზანდარანში). ჟურნალში: *„ქართველოლოგია“,* 2008, №:5, გვ.100-103

ბუხუტი ორჯონიკიძე, კიკნაველეთი ანუ მიწის ყივილის სადღეგრძელო, თბილისი, 2012

სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან. თსუ-ს გამომცემლობა, 2015.

ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ტომი II. ზაქარია ჭიჭინაძე, თევდორე ჟორდანია. (ტომის რედაქტორები პროფ. ქეთევან გიგაშვილი და პროფ. გიორგი გოცირიძე). გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2021.

---

[1] აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ლევან თაქთაქიშვილმა იმედაშვილების საოჯახო არქივში მიაკვლია ანონიმურ ქართულ ტექსტს, რომელშიც აღწერილია კიკნაველიძეების საქმიანობა საქართველოსა და სპარსეთში და მშობლიურ სოფელში მათი მკვლელობის დეტალური ისტორია. ეს ტექსტი სათანადო კომენტარებითა და შენიშვნებით იბეჭდება წინამდებარე კრებულში.

ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973

პაატა ჯაფარიძე, ზვიად ცხვედიანი. ქართველების დასახლება მაზანდარანში (გორჯი მაჰალე). ჟურნალში: პერსპექტივა-XXI, N8. გვ.70-73;

პაატა ჯაფარიძე, გრიგოლ ბერაძე, გიორგი გოცირიძე, თამარ დემეტრაშვილი, დავით შავიანიძე, ზვიად ცხვედიანი. მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2017

ჟურნლი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, ენკენისთვის 24, N37

ჟურნლი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, 13 თებერვალი, N4

ივერია, 1903 წ. 25 ოქტომბერი, N227

გაზეთ „საქართველოში“ (N98, 1917 წლის 7 მაისი) სათაურით „სპარსეთის ქართველობა“ და მ.საირხელის ფსევდონიმით.

გაზეთი «საქართველო“, 1918, 23 მარტი, N 64

ცნობის ფურცელი, 1899, 31 ოქტომბერი, N 952

ცნობის ფურცელი, 1902 წ. 19 აგვისტო, N 1900

ცნობის ფურცელი, 1903, 19 ოქტომბერი, N 2297

გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული ამბაკო ჭელიძის ფონდი 25804-2. მესტვირული „ხაჭაპურები“ საკურთხათ თურქესტანის მხარეში მცხოვრებ ქართველებს. 1917. ასხაბადი.

https://www.corpora.co

სპარსული:

Hossein Ahmadi, Eqdamat-e Khoshtaria-ye Gorjestani dar jangal-haye shomal-e Iran (1913-1926)

Faslname-ye Tarikh-e Ravabet-e Khareje, sale davazdahom, shomare-ye 47, tabestan-e 1390 (2011). pp.31-53

Mohammad Hassannia, Asnadi az emtiaz-e naft-e Khoshtaria dar rasta-ye naft-e shomal-e Iran

Peyam-e Baharestan, doure-ye 2, sal-e 2, shomare-ye 7. Bahar-e 1389 (2010). pp.369-404.

Heydari-Gorji, Abdolali. Tārix-e Gorji-hāye Irān. Tehrān: Negāh-e Bideh.1389 (2010)

Kāzemi-Gorji, Aliakbar. Azgilhā-ye vahši (Mohammad-e Jabbe – mobārez-e xastegināpazir). Qom: Mo'asesse-ye Bustān-e ketāb. 1392. (2013)

Abdulrasul Kheirandish, A'zam Rahimi Jaberi. Ahdaf va karkard-haye konsulgari-e Rusie dar Rasht dar nime-ye dovvom-e 'asr-e Qajar. Pejhuheshname-ye tarikh-haye mahalli-e Iran. Sal-e chaharom, bahar va tabestan-e 1395(2016), shomareye dovvom (peyapey-e 8). pp. 59-70.

Morteza Nouraei, Elena Andreeva, Mohajeran-e rus va eskan-e anha dar Iran dar avayele qarn-e bistom

Pejhuhesh-haye tarikhi (elmi-pejhuheshi)-e daneshkade-ye adabiyat va olum-e ensani – Daneshgah-e Esfahan. Doure-ye jadid, shomare-ye 4, zemestan-e 1388 (2010). pp.21-36.

Morteza Nouraei, Mina Sa'adat, Tabiin-e malekiat-e rus-ha dar se shahr-e Rasht, Tabriz va Astrabad (1900-1921 miladi/1318-1340 qamari). Faslname-ye Ganjine-ye asnad, shomare-ye 78, tabestane 1389 (2010), pp.12-30.

Ojākeh, Aliakbar. *Tārixče-ye rustā-ye Gorji-mahalle va dāstān-e Mohammad-e Jabbeh.* Sāri: Našr-e Mehr-e Sājjadeh. 1382 (2003);

Ojākeh, Aliakbar. Farhang-e gorjihā (guyeš-e ahāli-e Gorji-mahalle-ye Behšahr. Sāri: Entešārāt-e Ide-e ayyām. 1390 (2011);

Mehrdad Oskouei, The province of Gilan as depicted in historic post cards; A project conceived by Mehrdad Oskouei; Director of Research-Masoumeh Almasi Mashak; Ilia Publications; 2014

Mehrdad Oskouei, Hadi M. Movahed. Guilan during the Qajar era in Dimitri Wrmakov Colleection. Nashr-e Farhang-e Ilia, 2020

https://t.me/s/Ahurn60?q=%D9%85%D8%AD%D9%85%D8%AF+%D8%AC%D8%A8%D9%87

რუსული:

Международные отношения в эпоху Империализма (Документы из архивов царского и временного правительств 1878-1917г.г.). Серия вторая,1900-1913, том 18, часть вторая. 14 сентября 1911 г. – 13 ноября 1911 г.). Государственное издательство политической литературы. Москва, 1938.

„რუსსკოე სლოვო", 1916 წლის 13 აგვისტოს გაზეთი http://starosti.ru/article.php?id=51074

https://baza.vgd.ru/1/26954/;

http://www.rusgeneral.ru/general–r1.html

ფოტოალბომი

თუთი შალვას ასული ჩიჯავაძე



კიკნაველიძეების სახლი

ნიკოლოზ კიკნაველიძე

ოლიკო ქვარიანი

ოლიკო ქვარიანი

ყარამან კიკნაველიძე და მისი მეუღლე ოლიკო ქვარიანი

ყარამან კიკნაველიძე

ყარამან, შალვა, მანუელ და ნიკოლოზ კიკნაველიძეები